ძველის ფეთი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№1 (260)
15 თებერვალი-
15 მარტი
2018

ფასი 1 ლარი

გამოდის
თვეში ორჯერ

ეროსი და პარტიურო

ნოველა

რევაზ მიშველაძე

სამი კვირის დაწყებული მქონდა კალინინის რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობა. რაიკომის მდივანმა, ფილიპე მახარაძემ (სათვალიანი, სიმპათიური კაცი იყო ბათუმიდან, სამოციან წლებში ხშირად იბეჭდებოდა, თუ გახსოვს, ძირითადად მარქსზე და ენგელსზე წერდა წერილებს) რომ გამომიძახა.

პროექტის წერა თუ იციო?

მეტი რა ვიცი-მეთქი.

რუსთაველის თეატრში პარტბიუროს გეგმიური შემოწმება ჩაატარე. ორ დღეში პროექტი უნდა მქონდესო.

ოცდაოთხი წლის ბიჭი ვარ.

ახლა თუ თავი არ გამოვიჩინე, ამით დამთავრდება ჩემი კარიერა.

თვითონ რაიკომის პირველი მდივანი მაძლევს დავალებას, რაც იშვიათზე იშვიათად ხდება.

განყოფილების გამგემ, ბერძენიშვილმა, რუსთაველის თეატრში პარტბიუროს მდივანი ეროსი მანჯგალაძეაო.

სხვა არაფერი უთქვამს. კაცმა რომ თქვას, მეც აღარაფერი მიკითხავს.

ყველაფერი გასაგები იყო.

მეორე სართულზე კიბის გვერდით კარებს აწერია „პარტბიურო“.

შევაღე.

მომცრო ოთახია.

ვიწრო მაგიდის გარდიგარდმო ორი სკამი დგას.

მეტი არც დაეტევა.

- შემოდი, დაჯექი. ვინ დამირეკა შენზე? ჰო, მახსოვს, მახსოვს... თითქოს მიკროფონში ლაპარაკობდეს. თვალებში არ მიყურებს.

- აი, რა, ჩემო... შენი სახელი?

- ხოზე.

- აი, რა, ჩემო ხოზე, საქმე ასეა. ჩვენ აქ არც ერთი ადგილი არა გვაქვს. ვერ გავიგე, რატომ გინდათ ყველა სამტრედიელს არტისტობა და ყველას მაინცდამაინც რუსთაველის თეატრში მუშაობა. ვიცი, შენ მეტყვი, ახლა მასიურ სცენებში დამასაქმეთო. არტისტობა ადვილი გგონიათ თქვენ? მე აგერ, მე რომ მიყურებ, პირველად მასსავიკად მიმიღეს და წელიწადნახევარი დათვივით დავძუნძულებდი სცენაზე ამხელა კაცი. არ გეწყინოს და, ცოტა აღნაგობაც უნდა გიწყობდეს ხელს. შენი ტანის და შენნაირ, არ გეწყინოს და, შეუხედავს თუ მიგიღებენ თეატრში, სულ მცირე იპოლიტე ხვიჩია მაინც უნდა იყო. არ გეწყინოს, დიდი ხათრი მაქვს იმისი, ვინც დამირეკა, მარა თავს ზევით ძალა არ არი. მერე და ვერ გავაგებინე ამ ხალხს, დოურეკეთ, თქვე კაი დედმამიშვილებო, მთავარ რეჟისორს, დირექტორს, მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ, პარტბიუროს მდივანს ვინ რას ეკითხება. - ჩაამთავრა მონოლოგი და ხელი გამომიწოდა.

- კარგად იყავი, აბა, და ეცადე, სხვაგან სადმე. მოკითხვა სამტრედიას.

- მე, ბატონო, სხვა საქმეზე ვარ მოსული.

- რა საქმეზე?

- რაიკომიდან ვარ, პარტბიუროს მუშაობა უნდა შევამოწმო გეგმიურად.

- რანაირად?

- გეგმიურად.

სათვალე მოიხსნა. წამოდგა. მომიახლოვდა. მხარზე ხელი დამადო.

- შენ აგაშენა ღმერთმა. რატომ თავიდან არ მითხარი, რამდენი ხანია გეგმიურ შემოწმებას ვითხოვ. ყოჩაღ, შენ... ასე ახალგაზრდა კაცს რამდენისთვის მიგიღწევია. რაიკომი...რაიკომი... რა ძვირფასი რამეა.

არ იცის, როგორ მომეფეროს, როგორ დამიყვავოს.

სად გაქრა წეღანდელი კატეგორიული ტონი.

წამოდგება, მომიახლოვდება, ხელებს იფშვნეტს, მერე ისევ თავის ადგილს უბრუნდება.

ისევ წამოდგება, ჯდება და ისევ ჭერს ასცქერის, გრძელ ტირადას იწყებს:

- მე აქ მეოთხე წელია ვმუშაობ, პარტბიუროს მდივნად. სულ მადლობები და სიგელები მაქვს. ერთი საყვედური არ მიმიღია. საერთოდ პარტიული მუშაობა მთავარია თეატრში, თუმცა შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება.

სათვალე გაიკეთა, შემომაცქერდა და ისევ ჭერს მიაპყრო მზერა.

- ვერ წარმომიდგენია, მსახიობმა რამეს მიაღწიოს პარტიული პოზიციის გარეშე. თუ პარტიის გადაწყვეტილებებს არ იცნობ, როლს ხორცს ვერ შეასხამ.

აშკარაა, დამცინის.

- მე და ჩემი ბიუროს წევრები რეპეტიციის შემდეგ ვიკრიბებით ამ ოთახში და იმაზე ვმსჯელობთ, როგორ განვახორციელოთ ცხოვრებაში პარტიის გენერალური მიზანდასახულობები.

- რეპეტიციამდე არ იკრიბებით? - ვითომ ავყევი, მთლად პარტიული ბაიყუში რომ არ ვეგონო.

ეჭვით შემომხედა.

- ხანდახან რეპეტიციამდეც ვიკრიბებით და რეპეტიციის შემდეგაც. არ არის დღე და საათი, მე რომ პარტიულ საქმიანობაზე არ ვფიქრობდე. მართალია, დამღლელი საქმეა, ზოგჯერ თავის მოსაფხანადაც ვერ იცლი კაცი, მაგრამ როცა ხედავ, რომ შენი თავდადებული შრომით საქმე წინ მიდის, სიამაყით ივსები...

თუ არ ჩავერიე, ძალიან გარეკა.

- ბატონო ეროსი, თუ შეიძლება, პარტბიუროს სხდომათა ოქმებს გავეცნობი.

- რასაკვირველია, რასაკვირველია, თუ შემოწმებაა, თანაც გეგმიური, ყველაფერი უნდა შემოწმდეს. თქვენი სახელი, შანშე ხომ?

- ხოზე.

- ასეა, ჩემო ზორგე. მიხარია, რომ ჩემს შესამოწმებლად შენნაირი წესიერი და ობიექტური ახალგაზრდა გამოაგზავნეს. ოქმები ხომ?

მტვრიან თაროზე ერთადერთი ცალხაზიანი რვეული აიღო და გამომიწოდა.

გადავშალე.

რვეულში ერთადერთი ოქმი ეწერა და ისიც სამი წლისწინანდელი.

გადავიკითხე.

აბდაუბდაა...

- ბატონო ეროსი, ეს 1960 წლის სექტემბრის ოქმია. ახლა 1964 წელია.

ისევ მივიდა თაროსთან. აფათურა ხელები .

- ოქმები...ოქმები... აქ არ იყო? მანდ არ არის? სად ჯანდაბაში შევჩურთე. გუშინ ხელში მეჭირა... მანდ არ არის?

მოვიდა. ორივე ხელი დამიჭირა თავისი უშველებელი ხელისგულებით.

- ხორხე, არ დამღუპო, მტრები მყავს. მპარავენ ოქმებს, მერე რა ოქმებს, რა სიმწრით დაწერილ ოქმებს.

- ოქმები ვის რად უნდა, ბატონო ეროსი, - გამეცინა.

- აბა, შენ ეგა თქვი, ამხანაგო ზორგე, აბა, სად წავიღებდი ამ ოქმებს. ხომ არ გავფლანგავდი. მე საერთოდ მოწესრიგებული კაცი ვარ, პარტიულ დოკუმენტაციას თვალისჩინივით ვუფრთხილდები. არ დამღუპო, ამხანაგო ცოტნე, თუ ძმა ხარ.

დავამშვიდე, რაც შემეძლო.

- მე კეთილი გულით ვარ მოსული. ნუ ნერვიულობთ, ბატონო

▸ 2 გვ.

▸ 1 გვ.

ეროსი. ყველაფერს კარგს დავწერ. უმნიშვნელო შენიშვნებს დავურთავ პროექტს. თქვენ ნუ ინერვიულებთ. ყველაფერი კარგად იქნება. მე ქუთაისელი კაცი ვარ, ქუთაისი და სამტრედია ვინ გაყო.

გარეთ რომ გამომაცილა, ხელი ღონივრად ჩამომართვა და მიჩურჩულა, რამდენადაც შეეძლო ჩურჩული მისი ბოხი, ხორხისმიერი ხმის პატრონს:

- ხოზე, ახლა ჩემი მთავარი სათხოვარი უნდა გითხრა, - თეატრის კარებისაკენ მიიხედა, არავინ გვისმენდესო, - შენა ხარ ახლა ჩემი პატრონი, შენ უნდა მიშველო. ორი წელიწადია წამოსვლა მინდა პარტბიუროდან და არ მეშვებიან ეს ჩემი „გათახსირებული“ ძმაკაცები. არტისტებზე ვერაგი ხალხი არი სადმე? ყოველ წელიწადს ზარზეიმით მირჩევენ. არადა, რა ჩემი საქმეა პარტბიურო. დაწერე, ჩაშლილია მუშაობა-თქო. დაწერე, ეროსი მანჯგალაძე დაუყოვნებლივ უნდა გავათავისუფლოთ-თქო.

ისე მემუდარებოდა, ეჭვს ვერ შეიტანდი.

დავთანხმდი.

დავწერე პროექტი: თეატრში პარტიული პროპაგანდა სრულიად არ იგრძნობა, არ ეცნობიან ყრილობის მასალებს, არ მუშაობს თვითმოქმედი პარტიული სემინარი, არ ტარდება პარტბიუროს სხდომები და თეატრის პარტორგანიზაციის კრებები. არ იწერება ოქმები და ა. შ.

მესამე დღეს რაიკომის მდივანმა, ფილიპე მახარაძემ მიხმო.

პირგამეხებული უზის მაგიდას.

შენაო, ჭკუაზე ცოტა ილაოთ ხომ არა ხარო?

ეს რა სისულელეები დაგიწერიაო.

ეგღა გვაკლია ჩვენს უპირველეს თეატრში პარტიული მუშაობა ჩაშლილად გამოვაცხადოთო.

წაიღე ეს პროექტი და რადიკალურად გადააკეთე. სიტყვები „არ“, „ჩაშლილი“ და „მოისუსტებს“ ამოიღე და რაც შეიძლება შორს გადაყარეო.

ორი კვირის თავზე ბატონი ეროსი რაიკომის ბიუროზე დაიბარეს და წარმატებული პარტიული საქმიანობისათვის მადლობა გამოუცხადეს.

ბიუროს სხდომიდან გამოსვლისას რომ ულოცავდნენ, პასუხობდა: „ვცდილობთ, ბატონო, ვცდილობთ!“

კედელსმიყრდნობილი რომ დამინახა, ხელი ჩამომართვა და ღიმილ-საყვედურით მითხრა:

- ეს იმედი მქონდა შენი?!

თბილისი. 5 იანვარი. 2018 წ.

გოჩა ხარანაული

***

ირგვლივ ბინდია უსაშველობის,
მტკივა „გალა“ და მერიც მტკივდება
და მეოცნებე საქართველოში
კითხვის ყულფები მიტივტივდება...

ვერც შენი გავლით მიველ ეზომდე,
ვერც ტაძარს შევხვდი გეზით დათმენის,
მე სიყვარულში ვიყავ ეზოპე
და არეული მქონდა დავთრები.

რად გამიმეტე ასე სამეხოდ?!
შენ ხომ აპრილებს გიგავს ღაწვები,
შენს ლოგინს ვტოვებ, როგორც სამეფოს
და ალბათ სხვასთან ვეღარ დავწვები!

იქნებ ჰგონია ვინმეს, ვწუწუნებ,
(ნეტა ვინ არის ის იდიოტი),
ადამიანებს როგორც მუწუკებს
საკუთარ ხორცზე ვიწვავ იოდით.

მერე ყანწს ვითხოვ, როგორც იარაღს
და მოპარულით ჩემთვის წამებით,
დროჟამს ვაწვალებ, როგორც იარას,
სამყაროს მიღმა ნაწანწალები.

***

რაღა მიწა, რაღა ცა,
უნდა გითხრა რაღაცა...
უნდა წაგეჩურჩულო
ბაგის გულზე მიდებით,
მენატრება შენი მზე,
ბაღები და მინდვრები.
რაღა მიწის, რაღა ცის,
ძაან მიჭირს რაღაცის.
გეტყვი, არ დაგზარდები
და მტერს არ დავზავდები!
შენ არ მისმენ, სხვაგან ქრის
შენი ფიქრის ქედნები,
პოეტები მგლები ვართ,
არასდროს ვიხედნებით!

***

დასავლეთურ ქარს ველი,
ქარში ფიცით რებული,
ხელში შემრჩა ქართველი
ფალსიფიცირებული!

***

ცივდება ჩემი ქვეყანა,
სიცხეს გვაძლევს და გვახველებს,
ვეღარც ჩვენ ვინმეს ვნახულობთ,
აღარც ჩვენ ველით მნახველებს.

ცივდება ჩემი ქვეყანა,
მიტოვებული კერია,
ქართველებს მტერი რას უზამს!?
ქართველი თავის მტერია!

***

(დავით წიკლაურს,
საშა კოროლიოვს,
„ბაბუს“, „კოკოშას“)

წვიმას წვიმა ეზარება,
ვერ დაუშვა კაცურად,
თვალში ბინდი მეძალება,
გულმაც დაიტკაცუნა...

მიწას ვკოცნი გამკაცრებით,
ქართულ სისხლით მოზელილს,
მიყვარს ლოთი ძმაკაცები -
მთვრალი ანგელოზები!

***

პირი რომ დაგიფჩენია -
გინდ ახტი, გინდა დახტიო -
ერთი დრო ვის შერჩენია,
მალე მიიღებთ „ბახტრიონს“!

ქაქი ვერ ამოიცოხნეთ,
ქართვლის ძენო და წულებო,
ყველას დაგიმხეთ სიცოცხლე,
ღირსება მიწუწულებო!

***

ჩაიხვია ტალღამ ტივი,
შეესიენ ქვითკირებს,
ღვთისმშობელი კი არ ტირის,
ღვთისმშობელი ქვითინებს!

***

ახლა გაღებულ სარკმელთან ვდგავარ,
ძვირფასი ქუჩა ვეღარ მიცვნია,
არდაბრუნებულს ომიდან ვგავარ,
არადა, სახლში როგორ მიცდიან!

ვხედავ ბიჭუნას, მერე კი ყმაწვილს,
მერე ჭაბუკს და მერე ჭაღარას...
ღმერთო, რად მიეც კლანჭები არწივს,
ფარსაგი სისხლი თუ ვერ დაღვარა!

რა ვუყო კალამს, ვერ ვხმარობ შუბად,
თან დრო წასულა ღირსეულ მტრობის.
რა ვქნა, ქვეყანა რომ არის ჩუმად
და თავზე აზის გარეშე ტომი.

ვუსმენ ჩავლილი ტყეების შრიალს,
იმ წყაროების ჟღურტული მწყურის,
რა ვქნა, როდესაც ვიღაცას შია
და რომ ვაჭამო - არა მაქვს პური.

მილოცავს ბებო, თან მისმევს ნახშირს,
ვუღიმი ნისლებს შეფენილს მთებზე,
...შენ დააბრუნე, უფალო, სახლში
გამარჯვებული უდღეურ მტრებზე!

ხათუნას

ხარ ანგელოზი, ჩემი მფარველი,
მე სატევრებად ვჭედე ლექსები,
სამშობლოსაგან კეთილს არ ველი,
ვერც ბედისწერას ვერ გავექცევი.

ასე მგონია - დროს ვაჩერებდი,
თვალს ვადევნებდი მუხის ჩეროდან,
მტრები აღმოჩნდნენ ბოლოს ჩვენები,
მე კი გულწრფელად მათი მჯეროდა.

ვცდილობ უდაბურ მოუსავლეთში
გზები ვიკვლიო საწაღმართონი,
მეფე ავგიას ბინძურ თავლებში
მე და შენ ისევ ვრჩებით მარტონი.

არ დამიღონდე, ჩემო ძვირფასო,
რადგან ვერასდროს ვიღებ ჩემ კუთვნილს,
ცდილობენ ისიც გადამიფასონ,
რასაც ისედაც აღარ ვეკუთვნი.

მე ვარ ღატაკი, ხელმოცარული,
თუმც სასო მრჩება ზეცით ცვარული...
- არ ვარ გაჩრილი მძლავრთა ტრიკოში
წევრი ამ ბინძურ საროსკიპოსი!

***

სამშობლოს ებრძვი ვირთხიანს,
მის ბედისწერას, კრულს,
გულმა გიმტყუნოს, იტყვიან,
- „გული მოუკვდა გულს!“

„გიხაროდეს“

ამ ცვედნებმა ვირთხებისგან
გამოზარდეს ვირთაგვა,
ობოლო და მათხოვარო,
გათელილო შვილთაგან.

შელახულო, შებღალულო,
ამღვრეულო სამსალავ,
კვლავ მოკლულმა ჭავჭავაძემ
ხელი გაასავსავა.

რასაც მისდევ, რითიც ზომავ
კვირიკების ნიხრია,
თუ ამათ გსურს დაუჯერო,
თავში ლოდი გიხლია.

ბარემ ტყვია გესროლა და
წირვა გამოგეყვანა,
შენ არა ხარ, შენ ვერა ხარ
ჩემი „კარგო ქვეყანა“.

მე არა ვარ შენი შვილი,
მე არა ვარ შენი ძე,
თუმც შენნაირ გულის ტკივილს
მეორეს ვერ შევიძენ.

ხმას ნუ გამცემ, მე ნუ მელი,
ავდარს ვწურავ დარიდან...
ამიღია შენზე ხელი,
გიხაროდეს, მკვდარი ვარ!

***

გაქურდულია დროის ხაზინა,
შევსებულია ტყვიით მჭიდები,
ჩემსავ სიცოცხლეს თავზე ვაზივარ
და დედამიწის ღერძს ვეჭიდები...

შენ კი არც იცი, რარიგ ნაზი ხარ,
რარიგ პური ხარ, რარიგ ვაზი ხარ,
რადგან დედა ხარ, რადგან ქალი ხარ,
მცირენი შენით ვხდებით დიდები.

აღარ მანაღვლებს ზმნა და ზმნიზედა,
რომ შემიყვარეს - ჯაჭვით დავები,
აღარც სამოთხე აღარ მიზიდავს,
თავის ფერადი ზედსართავებით.

ჩალის ფასი აქვს ახლა სინანულს,
გროშის ფასი აქვს წერას პირჯვრების,
ახლა თავიდან ვიწყებ სიარულს,
თან ეჭვი მაქვს, რომ ფუჭად ვირჯები.

ფრანსუა ვიყო - შეგიკურთხებდით,
ჩამოგკიდებდით ხეზე შვეულად,
ზოგი ჭა არის, ჯერაც უთხრელი,
ზოგიც - ვულკანად მიმონთხეულა!

ჩვენი ცხოვრება წიხლით გაზილა,
ვიღაცამ თავის ნორჩი კვირტებით,
შენ კი არც იცი, რა ლამაზი ხარ
და დაჟინებით რად გაკვირდები.

რეზო სტურუა

მაინც ვრჩებით ბიჭებად

იმის მიუხედავად,
ვინ წავიდა, ვინ რჩება ...
მაინც ვრჩებით მეოცე
საუკუნის ბიჭებად.

ცაში მზეებს ვეძებდით,
სული გვქონდა ქართული,
არა ინტერნეტით და
„ფეისბუკით“ მართული.

სიტყვას ვაღმერთებდით და
შინ და გარეთ ვბიჭობდით,
სხვის ზეიმებს ვხარობდით,
სხვის ტკივილებს ვიყოფდით.

იმის მიუხედავად,
ვინ წავიდა, ვინ რჩება...
მაინც ვრჩებით მეოცე
საუკუნის ბიჭებად.

ნადირობა

ჭიუხს შეყოლილ მოხევეს
შვლის აუღია კვალიო,
პატარას, დაღალულს კუნტრუშით
მოსწყურვებია წყალიო.

თოფი შემართა მოხევემ,
არ ადარდებდა ბრალიო,
მაგრამ გაშეშდა, შვლის თვალებს
რომ გაუსწორა თვალიო.

თვალწინ დაუდგა წინ ღამით
ლხინში ნანახი ქალიო,
ეგონა შემოსცქეროდა
იმისი ტყუპის ცალიო.

შემობრუნდა და ის თოფი
მშვიდად გაიდო მხარზეო...
ღმერთო, დალოცე ის ქალი
და იმის სილამაზეო!..

ხარ-ირმის ღაღადი

ავედევნები ფურ-ირმის
ვნებით ატეხილ ხმობასა,
რქებს შევხსნი გოროზ ღრუბლებს და
ბარს ჩავალ მყვირალობასა.

მარეკს ვაფიცებ მზე-მთვარეს
ნუ დამიდგება გზაზედა,
ნუღარ მატარებს მოჩქარეს
ჩახერგილ ეკალ-ნარზედა.

იმ წყეულ მონადირესაც
ვაფიცებ ქალის ვნებასა,
ჩახმახს ხელი არ გამოკრას,
ნუ იზამს ბოროტებასა.

ნუ გამიწბილებს მოლოდინს,
ნუ იქმს უკადრის მტრობასა,
სანამ სატრფოს არ შევხვდები,
არ ავისრულებ ნდომასა.

ოი, საოცრებავ,

იმ დღეს მეზობლების
ეზოს ჩავუარე,
გოგონა დავლანდე,
ათქვიფირებული,
არ ვიცი, საიდან
ჩემდა უბედურად,
ძაღლი გამომენთო
ბრაზით ანთებული.
უი, მოშურნევ და,
ოი, საოცრებავ!...
ავი აზრებიო...
აბა რას მიქვიან...
და მაინც, იმ ძაღლმა
საიდან გაიგო,
ისე გავიქრე,
თქმით ხომ არ მითქვია!...

ღამე

გუშინდელი
მაგონდება ღამე,
სასიამო
სიო, მომთაბარე,
ვარსკვლავებით
მოჭედილი ზეცა
და მათ შორის
მოარული
მთვარე.
სოფლის ძაღლის
მოწყენილი ყეფა,
ჭრიჭინების
უთავბოლო ჭრიჭი
და მეზობლის
ოდის ფანჯარაში
ძილნატეხი,
მეოცნებე ბიჭი.
გუშინდელი
მაგონდება ღამე ...

სალაღობო

მთა-თუშეთს გოგო შემომხვდა
ერთი შეხედვით დამდაღა,
ვატყობ, მომიწევს მთვარესთან
ღამის გათევა ამაღამ.

ერთი-ორი დღე ამ მთების
ხიბლით მინდოდა მეხარა...
ის ჩემი ცოდვით ავსილი,
რაღა მე გადამეყარა.

რა კარგი იყო

რა კარგი იყო,
რა ლამაზი
ბებიაჩემი,
ამბებს, სოფლისას,
შუა ცეცხლთან
რომ მოყვებოდა,
ახლაც არ მტოვებს
მწვანილების
ნედლი სურნელი,
ფილთაქვის ცემის
მელოდიას
რომ მოყვებოდა.
რა კარგი იყო
ცხონებული
ბაბუაჩემი,
ჯორკოზე დანით
დაჭრილ თუთუნს
რომ აბოლებდა,
ახალგაზრდობის
თავის ამბებს
რომ იხსენებდა
და ბებიაჩემს
ძველებურად
თავს აწონებდა.

მინდა დავლოცო

ის კაცი მინდა
დავლოცო,
პირველი რომ დგას
ლაშქარში,
მშობლის საფლავს რომ
უჩოქებს,
როგორც უფლის ხატს
ტაძარში.
ის კაცი მინდა
დავლოცო,
ჩიტს რომ არ ესვრის
ზამთარში,
მეგობრის სახლში
რომ შედის,
როგორც საუფლო
ტაძარში.

გადარჩენა

(შალვა ნუცუბიძის ხსოვნას)

ალესილ რითმებს
ალისფერი
სისხლი სდიოდა,
ხბოს ტყავზე დასმულ
სტრიქონებში ვნება
ღვიოდა,
მათხოვარივით
ხელგამოწვდილ
სიბრძნეს შიოდა,
და სასოება,
ვით მანანა,
ციდან ცვიოდა.
ღვთისმშობლის წილხვედრ
წმინდა მიწას
სული სტკიოდა,
როცა სისხლდაცლილ
ყრმა შავლეგოს
მზე ჩადიოდა,
მაგრამ იმედი
არ კვდებოდა,
რადგან რუსთველის
აღმოსავლური
რენესანსი
ამოდიოდა!...

ილია II –ს

(აღსაყდრების 40 წლის თავზე)

როგორც ორმოცი
წელი მოსემ
მოდგმა თავისი,
ატარა სინას,
ქანაანის
მიწის ძებნაში,
შენ მიუძღოდი
იბერიის
შეწირულ შვილებს,
შველად ედექი
ძმათამკვლელი
მტრობის ღელვაში.
ორმოცი წელი,
მზის ამოსვლის
ვედრება ცრემლით,
ცოდვების შვილთა
ცოდვათ ზიდვის
ორმოცი წელი,
საქართველოა
დღეს თავმდაბლად
მოსული მთხვევად,
გთხოვ, გაუწოდო
ლოცვისაგან
დაღლილი ხელი.

გიორგი ანწუხელიძის ხსოვნას

(გიორგი ანწუხელიძე სამაჩაბლოში
წამებით მოკლეს, მაგრამ ვერ გატეხეს)

სულის ტკივილით გმინავს
სვეტიცხოველის ზარი,
უკვდავებაში მიდის
ანწუხელიძის გვარი.

უფლით კურთხეულ მიწას
არ გაუცვდების ფარი,
სანამდე ცოცხლობს, იბრძვის
ანწუხელიძის გვარი.

სამაჩაბლოდან მოსულ
არაკებს ყვება მტკვარი,
სამშობლოს უდგას ფარად
ანწუხელიძის გვარი.

ზეიმობს თავდადების
მამა-პაპათა ნიჭი,
უკვდავებაში მიდის
ანწუხელიძის ბიჭი!...

საკითხი ისევ დგას

საკითხი ისევ დგას
ყოფნის თუ არყოფნის...
რაც უფრო მეტი გაქვს
მით უფრო არ გყოფნის.

ფულს კვალში ჩაუდგე
უდავოდ ნაკლია,
რაც უფრო მეტი გაქვს,
მით მეტი გაკლია.

ასეა ცხოვრებაც,
წლები რომ ახლდება,
რაც უფრო მატულობს,
მით უფრო გაკლდება.

თხოვნა

უფალთან საჩივრით
მივიდა მოკვდავი,
ვწვალობ და ვშრომობო
დღე და ღამე,
საჩუქრად უამრავ
ნატვრისგან, თუნდაცო,
ამიხდინეო.
ერთი რამე.
დაგეთანხმებიო,
— მოუგო უფალმა,
— რადგან მე ვწყვეტო
კაცის ბედსო.
ოღონდ შენს მეზობელს,
ავუხდენ იგივეს,
შენგან ნანატრებზე
ორჯერ მეტსო.
როგორც უდაბნოში
დასიცხულ მოგზაურს,
აცოცხლებს ცინცხალი
ცივი წყალი,
ის კაციც აენთო
და თხოვნაც აჯახა —
ღმერთო, დამივსეო
ცალი თვალი.

* * *

სუფრასთან ღვინით
ვყელყელაობდი
და ვმკურნალობდი
სულის იარას,
როცა იღბალმა
მოიცალა და
ჩემთან ანაზდად
შემოიარა.
იმ ბალაგანში
სმენას ახშობდა
ჭიქაზე ჭიქის
მჭახე ჭახუნი,
ალბათ, ამიტომ
ვეღარ გავიგე
კარებზე მისი
მორცხვი კაკუნი.

მართალი სიტყვა მწერლისა

ნომადი ბართაია

რეზო მიშველაძეს საქართველოს ისტორიიდან გამოუყვია ბოლო ოთხი საუკუნე, შეუსწავლია ყველა ძირითადი და გარდამტეხი მოვლენა მისი, გაუაზრებია ყოველივე ცივი გონებით, გამოუტანია ლოგიკური დასკვნები, შემდგომ ამისა შესდგომია მის მხატვრულად შემოსვას და მკითხველისთვის შემოუთავაზებია თავისი ახალი, ორიგინალური, მესამე რომანი - „წამება“.

მართლა უნდა გაწამებდეს სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე ფიქრი, რომ ასეთი ნაწარმოები შექმნა. აწმყოსა და მომავალზე ფიქრს კი მაშინა აქვს აზრი, როცა შეგიძლია სწორად გაიაზრო წარსული, გამოიტანო სწორი დასკვნები და შეძლო ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის.

რომანი აგებულია ასე: პროფესორი ლევან კაკაბაძე სტუდენტებს, ლექციების სახით, მოუთხრობს საქართველოს ბოლო საუკუნეთა ისტორიას. თითოეული მონაყოლი თითო შეკრული ნაწარმოებია, თითო ნოველაა, რომლის დიდოსტატიცაა რევაზ მიშველაძე და რომლებიც მარგალიტებივით არიან აცმული, ასე ვთქვათ, აბრეშუმის ძაფზე.

ნაწარმოები სამი ნაწილისგან შედგება: „არჩევანი“, „ბეღურა გემის ანძაზე“ და „შიში“.

პირველი ნაწილი იმ დროიდან იწყება, როცა ქართველმა მეფეებმა ჩრდილოეთს მიაპყრეს მზერა და მისკენ აიღეს გეზი.

მეორე ნაწილი მოდის 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომიდან და მოდის დღემდე, რომელიც ნაწარმოების დიდ ნაწილს შეადგენს.

ირივეგან ის ქარბორბალებია მხატვრულად დახატული, რომლებიც გადახდა თავს ჩვენს ქვეყანას ისტორიის ამ მონაკვეთზე.

მესამე ნაწილში მწერალი ხატავს შიშისმომგვრელ მომავალს, მაგრამ მკითხველი მისადმი რწმენას მაინც არ ჰკარგავს.

ნაწარმოები მთავრდება მთავარი მოქმედი გმირის, უნივერსიტეტიდან გაგდებული, 85 წლის ლევან კაკაბაძის ბერად აღკვეცით, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება უნივერსიტეტში ახალგაზრდობის აღზრდასა და მეცნიერების წინსვლას შეალია.

რომანში, სადაც ოსტატურად ერწყმის ერთმანეთს სინამდვილე და გამონაგონი, მწერალი, ფაქტებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად და ემოციურად ავითარებს თხრობას, სადაც, მწერლური ოსტატობით, ერთმანეთს ენაცვლება ღიმილი და ცრემლი, რომლებიც ამბის მსვლელობისას, შეიძლება მონაწილეობდნენ, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთად. რეზო მიშველაძე ხომ, იუმორის დიდი ნიჭით დაუჯილდოებია უფალს.

რომანში წარმოჩენილ ცალკე ისტორიულ ფაქტებსა და ცალკე ამ ნაწარმოებზე, როგორც მხატვრულ ქმნილებაზე, რა გამოლევს სათქმელს. ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით - ეგრეთწოდებულ აფხაზთა ანუ აფსუათა ისტორიის პრობლემას.

ვნახოთ, განსხვავებით ოფიციალური ისტორიოგრაფიისგან, როგორ არის იგი გააზრებული მხატვრულ ნაწარმოებში.

მოვიტანოთ ამონარიდი რომანის ერთი თავიდან, სადაც ნათლად ჩანს თუ ვინ არიან ეგრეთწოდებული აფხაზები ანუ აფსუები. ამონარიდი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა, რადგან მისი კიდევ უფრო შემცირებით ავტორის სათქმელს ბოლომდე ვერ მივიტანდით მკითხველამდე.

მორიგი მიტინგიდან მობრუნებულ უჯუშ კაპბასა და მის მეზობელ სილოვან მორგოშიას შორის ასეთი დიალოგი იმართება:

-ცუდი რაც არის იცით თქვენ ძალიან კარგად, იცით, მაგრამ რაკი ჩვენ ბევრჯერ დაგითმეთ და წაგიყრუეთ ჩვენი სულელური სიკეთის გამო, თქვენ იფიქრეთ, რომ ქართველებმა არ ვიცით რაშია საქმე და მეტი და მეტი მოინდომეთ.

-რა მეტი მოვინდომეთ. არა გვაქვს უფლება ჩვენ, აფხაზებს ჩვენს მიწაზე ყოფნის?

-რომელ აფხაზებს, უჯუშ ბატონო. აფხაზი მე ვარ.

-მე ვინ ვარ აბა? - აიმრიზა უჯუშ.

-თქვენ ვინც ხართ, იცით თქვენ, ძალიან კარგად. მარტო თქვენი დამსახურება არა არის თქვენ რომ დღეს თავს აფხაზებს ეძახით, ჩვენი ბრალიცაა.

-ჩვენ კი არ ვეძახით, ისტორია გვეძახის აფხაზებს. მართლა ასე კი არ არის საქმე, თქვენ რომ გინდათ. ჩვენ მერვე საუკუნეში ცალკე სამეფო გვქონდა.

-მერე ვინ ცხოვრობდა თუ იცი იმ სამეფოში? ჩვენ ვცხოვრობდით, ქართველები, აფხაზეთი ყოველთვის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის სახელი იყო. ერის სახელი არასოდეს ყოფილა. არავითარი აფხაზი ერი და აფხაზური კულტურა არასოდეს ბუნებაში არ არსებულა და მითუმეტეს აფხაზური ენა.

-აბა, რა ენაზე ლაპარაკობდა აფხაზთა სამეფო?

-რასაკვირველია, ქართულ ენაზე, იცით თქვენ ეს ძალიან კარგად, უჯუშ ბატონო.

-აბა, ჩვენ ვინ ვართ შენი ჭკუით?

-თქვენ ვინ ხართ და მეთვრამეტე საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ადიღეური ტომების - აბშილებისა და აბაზგების შთამომავალნი.

-საიდან იცი?

-რა ცოდნა უნდა, ამას, უჯუშ ბატონო. თქვენ და ადიღეველნი ერთ ენაზე ლაპარაკობთ. ერთი საერთო კულტურა გაქვთ, ერთი გვარ-სახელი გაქვთ და ერთი ხალხი ხართ.

-როგორ ფიქრობ, რაში დაგვჭირდა სხვისი სახელების მითვისება?

-როცა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენ, ქართველებმა, როგორც მეზობლებს, კავკასიის ჩვენი მხარის საძოვრები დაგითმეთ, თქვენ ეს „დროებითი დათმობა“ ჩუქებად ჩათვალეთ. გაგიტკბათ მზის გულზე ყოფნა და თანდათანობით ძირს ჩამოიწიეთ. რაკი აბაზგი და აფხაზი თითქმის ერთნაირად ჟღერს, ადექით და თქვენ თავს აფხაზი უწოდეთ.

-რატომ გავაკეთეთ-მეთქი ეს. რა ფასი ჰქონდა ჩვენთვის აბაზგები ვიქნებოდით თუ აფხაზები?

-მე გითხრათ მაინცდამაინც? ჩემგან გინდათ, რომ გაიგონოთ? ეს იმიტომ გააკეთეთ, რომ თქვენი ჩამოსვლის კვალი წაგეშალათ. ადგილობრივი ქართული მოსახლეობისთვის თვალში ნაცარი შეგეყარათ და მოგემზადებინათ ის, რასაც ახლა აკეთებთ - თავი სხვისი მიწის ბატონ-პატრონებად გაგესაღებინათ.

-ახლა რატომ გვინდა ცალკე ვიყოთ? თქვენი მიწა დაგითმიათ, როგორც ამბობ, ჩვენთვის და ასეთი უმადურები ხომ არ ვართ, გამოყოფა მოვითხოვოთ?

-ამას იმიტომ აკეთებთ, რომ რაც



დრო გადის, თანდათან რწმუნდებით, რომ თქვენ - სტუმრებს, მასპინძელი ქართველების წინაშე უმადურობითა და უპირობით საკმაოდ დიდი დანაშაული გაქვთ ჩადენილი და ახლა გსურთ თქვენს „გააფხაზებას“ არაფერი გახსენებდეთ. ძველი ხიდები ჩატეხოთ და წარსულის ქვა და გუნდა მიაყაროთ.

-მაშ ჩვენ უკულტურო და უწარსულო ხალხი ვართ? „ნართების“ შემქმნელი ერი!

-„ნართების“ ეპოსი მთიელთა საერთო საკუთრებაა და თუ სიმართლე გინდათ, ყველაზე მეტი უფლება მისი დაპატრონების ოსებს აქვთ.

-სადმე წერია, რომ ჩვენ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩამოვსახლდით?

-ეს საკამათო არ არის, უჯუშ ბატონო. თქვენ ჩვენს ისტორიაში მანამდე არსად იხსენიებით. თუ ენის და რჯულის ერთობა ადიღეურ ტომებთან არაფერს გეუბნებათ, ერთ ამბავს მაინც რატომ არ უფიქრდებით.

-რა ამბავს?

- თქვენ ქართველების გვერდით საუკუნეთა მანძილზე რომ გეცხოვრათ, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ცოტათი მაინც არ გადაგედებოდათ ქართული კულტურა?

-კულტურა ტიფი არ არის, რომ გადაგედოს.

-ოღონდაც, მაგრამ მოთხოვნილება ხომ გაგიჩნდებოდათ რაიმე ისტორიულად ღირებულის შექმნისა. მეხუთე საუკუნეში ჩვენ რომანებს ვწერდით. მეთორმეტე საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ დავწერეთ. თქვენ რა შეჰქმენით, რა გააკეთეთ? გელათისა და სვეტიცხოვლის მშენებელი ერის გვერდით ასე ყუჩად, უინტელექტოდ და უპრეტენზიოდ ცხოვრობდით?

-რატომ ყუჩად, მაშ, ეს ბედია და ბიჭვინთის მონასტერი ვინ ააშენა?

-ეგ არ თქვა არსად, უჯუშ ბატონო. სწორედ ბედიისა და ბიჭვინთის მონასტრებია თქვენს უწარსულობას რომ ამტკიცებს. რა სინდისით, რა პირით მიითვისეთ ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები? სირცხვილი მაინც არ გიწვავთ ყურებს, იმ ძეგლებზე ქართულ წარწერებს რომ კითხულობთ? იქნებ ისე გიყვარდათ შუა საუკუნეებში ქართველები, რომ თქვენს ენაზე უარი თქვით და ქართულ წარწერებს აკეთებდით ქრისტიანულ ძეგლთა კედლებზე? რომ არ გეტყობათ ეს ტრადიციული კეთილშობილება?

-ეკლესია-მონასტრების მშენებლობა აუცილებელი იყო?

-აბა სად ჩანს წარსულ საუკუნეებში თქვენი არსებობის კვალი, ბატონო უჯუშ? იქნებ ცეკვა-სიმღერებში? მეგრულ მელოდიებს ახლახან ადიღეური სიტყვები რომ მოარგეთ და თქვენს სიმღერებს ეძახით, ვარგა ასე? ანბანი რომ სხვისგან ისესხეთ და მთელი თქვენი მწერლობის ისტორია ას წელზე მეტს არ ითვლის, იქნებ ეს გაამაყებთ? მეძროხე, მწყემსი, ჩამორჩენილი ხალხი იყავით, რა არის ამაში დასაძრახი? ჩვენს შორის დარჩეს და, კულინარიის საქმეც ჩვენგან შეითვისეთ. რა პირით ასაღებთ თქვენ სამზარეულოდ მეგრულ ღომს და შებოლილ ყველს? ფაცხაც კი არა გაქვთ თქვენს ენაზე და ესეც მეგრულს ესესხეთ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზღვისპირა მცხოვრები ხალხის სიტყვები თქვენს ენაში ტრადიციულად არ მოიპოვება.

-რა ვქნათ აბა ჩვენ, შენი ჭკუით, სილოვან ბატონო?

-რა ჰქნათ და, მამაჩემსა აქვს ცხონება, ისტორიის წინაშე თავს კიდევ ნუ გაიმასხარავებთ. ჩამოიხსენით აფხაზური ნიღაბი და თქვენ თავს უწოდეთ ის, ვინც ხართ ადიღეველები - აფსუები და აბაზგები. აფხაზობა ჩვენ ქართველებს დაგვიბრუნეთ და ყველაფერი რიგზე იქნება. აღარ დაჭირდებათ თქვენს ისტორიკოსებს სიმპოზიუმებზე გაწითლება და არც ლოთი ენათმეცნიერების მოსყიდვა „მაიკოპური წარწერების“ წასაკითხად“... (145-148).

უფრო ნათლად რა უნდა ითქვას ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ვიდრე ამ დიალოგიდან ჩანს, რომლის სიმართლის დასტურად დავიმოწმებთ თვით ეგრეთწოდებულ აფხაზ ხალხს, ანუ აფსუებს.

აი, როგორ არის გამჟაღავნებული მათი ნამდვილი წარმომავლობა მათსავე შექმნილ ხალხურ ლექსში „აირგის სიმღერა“.

აირგი ეგრეთწოდებულ აფხაზთა ანუ აფსუათა მფარველი მითოლოგიური გმირია, ხოლო სადაური და როგორია იგი ამას ხალხის მიერ მიძღვნილ დასახელებული ლექსის ბოლო ორი ტაეპიც ნათლად წარმოგვიდგენს:

„აირგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ, მაღალ მწვერვალებს ჰყავხარ დარაჯად“.

▸ 3 გვ.

ამ პოეტური ორი სტრიქონის მიხედვით, რომელიც მთელი ეგრეთწოდებული აფხაზთა ანუ აფსუათა გულშია გამოტარებული, აირგის საცხოვრისი კავკასიონის მაღალი მწვერვალებია, ხოლო ზღვისპირეთი ანუ საქართველოს მიწა-წყალი მისთვის სათარეშო ადგილია.

არა და ეგრეთწოდებული აფხაზები ანუ აფსუები, ენციკლოპედიების მიხედვით, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ერად არიან წარმოჩენილნი, რომლებიც თითქოს ოდითგანვე ცხოვრობდენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთა ეთნოტიპად ჩამოყალიბება მოხდა ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებში (რუს. საბჭ. ენციკლ.). ამავე დროს თითქოს ისინი მოხსენიებულნი არიან ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. XII ს.) წარწერებში („ქართ. საბჭ. ენციკლ“.), რაც თითქოს უძველეს ცივილურ სამყაროსთან მათი კავშირის უტყუარი დასტურია.

მართალია, ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა ასე არ ფიქრობს, მაგრამ ამასობაში სინამდვილის მიჩქმალვა და ტერმინოლოგიური აღრევა თავის საქმეს წარმატებით აკეთებს.

შედარებით მეტი სიცხადეა შეტანილი ნამდვილ აფხაზთა ისტორიასთან დაკავშირებით საქართველოს ენციკლოპედიაში, რომელიც, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მერე, 1997 წელს არის გამოცემული.

აქვე დავსძენთ, რომ 2016 წელს გამოვიდა ნინო ჯაველიძის სქელტანიანი წიგნი „აფხაზეთი და აფხაზნი“, სადაც დღემდე არსებული ლიტერატურის ღრმამეცნიერული ანალით, შეიძლება ითქვას, ამომწურავად არის გადმოცემული ნამდვილი ისტორია აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ.

დიახ, რევაზ მიშველაძის ახალ რომანში მწერლის მიერ წამოწეულ მხოლოდ ერთ პრობლემაზე გავამახვილეთ ყურადღება, პრობლემები კი ამ ნაწარმოებში უამრავია, რომლებიც შემოქმედის მიერ ორიგინალურად და მისეული მხატვრული ოსტატობით არის წარმოჩენილი.

2017.

თამარ ხოჭოლავა

***

(დ. დიორს)

უნეტარეს შენს თბილ სხეულს
კლავიშებად აღვიქვამ, ფოთოლივით გარხევს
სიტყვა, სიყვარულად რაც მითქვამს.

როცა მიჭირს, თუ კი მიჭირს, იქვე წამში
გაჩნდები,
მთიდან მთაზე მონავარდე ჭიუხების
არჩვივით.

შენი სული, ხასიათი- ატლასი და ღუნღული,
ოქროსნისკარტა მიმღერი, - მოუღლელი
ბულბული...

სული ჩემი შენ მახლობლად ედემის ხედ ყვავდება,
ეს სამყარო შენ რომ გგავდეს
ნეტავ რა დაშავდება?

სიცოცხლე ხარ, შენით კლდეზე გამხმარი
ხეც ვყვავილობ,
თუმცა ჟამი გვექადნება სიბერით და არ
გვინდობს...

ზეცად ჩვენი შეხვედრები გაზაფხულზე მეტია,
სხვას ვწილადობთ ჩვენს ოცნებებს, რაც
სულს არ დაგვეტია....

დაიღვარა და მოედო სიყვარულად პლანეტას,
უსასრულო ღიმილებით გვსურს მოკვდავი
არ გვერქვას...

ეს ცხოვრება ნირვანაა, დარია, ხან ავდარი,
რადგან შენი სუნთქვით არის მზის სხივები
გამთბარი...

არ იღლება გალობით და ზეცად ილტვის
მზეწვია,
ჩვენც არ გვჯერა ამ ასაკში გაზაფხული გვეწვია...

სული ჩემი შენ მახლობლად ედემის ხედ ყვავდება,
ეს სამყარო შენ რომ გგავდეს ნეტავ, რა
დაშავდება?

თარგმანები

უფრო მშვენიერი
ხარ ვიდრე ცა და მიწა

როდესაც გიყვარს ჯობია გაცლა ჯობს
მიტოვება ცოლის და შვილის გული თუ ოდეს
ლოდინით გაცვდა ყველას
ღალატის გაუძლო ტკივილს როდესაც
გიყვარს ჯობია გაცლა

აღვსილი არის სამყარო ვრცელი ათასი
ჯურის ქალით და კაცით მაღაზიების
ძვირფას საქონელს მეეტლეს ამ კაცს ამ
ქალს მეეტლეს წამისად თვალი შეავლე მკაცრი
არის ჰაერი და არის ქარი მთები და
წყალი ეს ცა და მიწა ნახშირი ვერცხლი
კაცი და ქალი ბავშვი ცხოველი მცენარე
ქვიშა ღვთით მოვლენილი სასწაულ არის
თუ გიყვარს ვინმე უნდა ისწავლო ყიდვა
გაყიდვა მოგება სარფი თუ გიყვარს
ვინმე უნდა იცოდე სიმღერა ჭამა
სირბილი ფანდი სიყვარულისთვის
იცოდე ტანჯვაც შრომაც ძვირფასო
ისწავლე ნაღდი

როდესაც გიყვარს ჯობია გაცლა ნურც
ცრემლებს დაღვრი ღიმილმორევით ორი
ქალიდან ირჩიე ერთი
რომ არვინ იყოს შენი მომრევი

დავდივარ ვსუნთქავ ვბანაობ გხედავ
ვხედავ შენს ბაგეთ - ნაცნობ თოლიებს
ნეტარ სხეულის ბანგით შემცბარი შენი
სურვილი ამიყოლიებს

შეყრილა ერთად ხალხი მილეთის
საკვირველია ცხოვრება ჩვენი შენს
მონატრებას ვერაფრით ვძლიე კვლავ
სასწორიდან მსუბუქი ფრთებით
ჩამოვდივარ და...მიყვარხარ ძლიერ.

ბლეზ სანდრარი
(1887 - 1961)

უცხო

-იდუმალებით მოცულო ადამიანო,
მითხარი, ვინ გიყვარს ყველაზე მეტად:
მამა, დედა, და თუ ძმა?
-არც მამა მყავს, არც დედა,
არც და და არცა ძმა.
-შენი მეგობრები?
-თქვენ ისეთ რამეს მეკითხებით,
რომლის აზრი დღემდე უცნობია ჩემთვის.
-იქნებ სამშობლო?
-არც კი ვიცი, რომელ განედზე მდებარეობს ის.
-მაშ, მშვენიერება?
-მერჩივნა მშვენიერება უკვდავი და
ღვთაებრივი შემეყვარებინა.
-ოქრო?
-მე ის ისევე მძულს, როგორც თქვენ გძულთ
ღმერთი.
-მაშ, რაღა გიყვარს ამ ქვეყნად უცნაურო
ადამიანო?
-ღრუბლები მიყვარს....ნისლში მობანავე
ღრუბლები, იქ, დაბლა, დედამიწასთან
ახლოს მყოფი....ის მშვენიერი და
ზღაპრული ღრუბლები.

შარლ ბოდლერი
(1821 - 1867)

ლევან კესიდი

***

შენს მთას უხდება სიმარდე ორბის,
სიმძიმე ხარის შვენის ჩემს მიწას,
შენთან ზვირთები შმაგურად მორბის,
ჩემთან ზმორებით მოაქვს ცხენისწყალს.
შენს მთას სხვაგვარი სიმაღლე მისცეს და
მზერა ფრთხილი გმართებს გუშაგის,
მე ვავლებ ხნულებს და მივდევ სივრცეს
როგორც გამრჯე და დინჯი მუშაკი.
შენ განდეს მთები ურღვეველ ბჭედ და ჩემს
მძიმე მკლავებს ანდეს ბეღელი, განგება
ერთი ბედისთვის გვჭედდა და გვქონდა
ძმობა გაუტეხელი. ჩვენ მაინც ერთი
დინება გვმართავს, ერთად ვიტვირთეთ
ძმობის უღელი, გზას ასე ქართულს და
ასე მართალს, მივყვებით
ასე მუხლჩაუხრელნი.

***

შეშლილი თვალებით მდუმარედ
ვლოცულობ, ღამეა უკუნი გამეფდა
წყვდიადი, განათდი ქალაქო ბურუსით
მოცული, ო მზეო ამოდი რატომ
დაგვიანდი, ღამესთან ნაბრძოლი
შიშველი კედლები, გრგვინვა და
ქუხილი, ელვა და ნათება, თვალები
შეშლილი შიშით და ვედრებით,
მზე როდის ამოვა, ნუ დაგვიანდება,
ცრემლები თვალებთან ნიაღვრად
მოსული, თანაბრად შიში და იმედი
დილის მზის ვლოცულობ განათდეს
ბურუსით მოცული, და ხილვა მაშინებს
ნაგვემი თბილისის

***

მიდიხარ ტოვებ ღია იარას, მიდიხარ
რადგან დარჩენა არ ღირს, მალე
ცხოვრებაც ამყრის იარაღს, მიდიხარ
მთოვებ იარაღ აყრილს, მიდიხარ მთოვებ
წასვლას არ გიშლი, მიდიხარ ვიცი
არასდროს მიხმობ, თვალებში ცრემლო
როგორ დამიშრი, როგორ დამიშრი
ძარღვებში სიდხლო, ყველასგან
დევნიალს და უარყოფილს მალე
ცხოვრებაც ამყრის იარაღს, მიდიხარ
ტოვებ ველს უნაყოფოს მიდიხარ
ტოვებ ღია იარას,

***

მე ვარ პოეტი ქვემო ქალაქის, დამაქვს
სხვაგვარი ფერთა მარაგი, მე სულ
სხვაგვარად მჭედდა მჭედელი, მე ვარ
ნაკვეთი სხვა საჭრეთელით.

ხმადაშაქრული მე ვარ აშუღი, მე სუნ
სხვაგვარი შუქით ვაშუქებ, მე სულ
სხვაგვარი ნათებით ვიწვი, მე ვარ
მეხოტბე და შვილი მიწის.

ჩემი ხმა ხმაა დილის საარის, ჩემი ხმა
სულ სხვა დროის ხმა არი, მე სულ
სხვანაირს ვუმღერი ქალაქს, მე სულ სხვა
დროის ტკივილი დამაქვს.

მე სულ სხვაგვარად მჭედდა მჭედელი, მე
ვარ ნაკვეთი სხვა საჭრეთელით, მე სულ
სხვაგვარი შუქით ვაშუქებ, ქვემო
ქალაქის მე ვარ აშუღი.

***

მოგიყვებოდი რომ მე ახლა ,,დაღუპვის
წინ” ვარ, რომ ეხლა უფრო იშვიათად
ვკითხულობ ლოცვებს, რომ ეხლა უფრო
იშვიათად ვესწრები წირვას, რომ ეხლა
უფრო იშვიათად ვიხსენებ მოძმეს,
მაგრამ ეხლა მე სხვა რამეზე ვიწყებ
ლაპარაკს, ახლა იქ ვდგევარ სადაც ქუჩა
სახლისკენ უხვევს, აქ თოვლმა ირგვლივ
ყველაფერი თეთრად დაფარა, თოვლმა
რომელიც სადაცაა აცდება მუხლებს,
მინდა სირბილით გავიარო სახლამდე
ქუჩა, მაგრამ ბეღურა შემეცოდა თოვლით
დამფრთხალი, თეთრია ეხლა სულ
თეთრია ჩვენი მუხურჩა, თეთრად
დაფარა თოვლმა შენი მწვანე დაფნარიც,
დღეს ვინახულე ჩვენი სოფლის სადა
ტაძარი, დღეს გულითადი საუბარიც
მქონდა მოძღვართან, და მცირე ძალა რაც
მიწაზე ყოფნას მაძალებს, ისევ
ძარღვებში ამოძრავდა, ისევ მოზღვავდა,
ვეღარ გავბედე მეგალობა მლოცველთა
გუნდთან, ვეღარ დავენდე ხმას უგემურს,
ხმას უმარილოს, ახლა ვბრუნდები
და ბავშვობაც დაბრუნდა გულთან,
ბავშვურ მოტივზე გულში
ვმღერი შობის ალილოს.

გურამ ბათიაშვილი – 80



80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ აბრამის ძე ბათიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გურამ!

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს და გილოცავენ სახელოვან იუბილეს – დაბადების 80 წლისთავს.

ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი მრავალწახნაგოვანი, უაღრესად საინტერესო მწერლური ცხოვრება. თქვენი პირველივე ნაწარმოები – პიესა „ძახილი“ 1969 წელს წარმატებით დაიდგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში. მას შემდეგ მართლაც რომ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. დიდი რწმენითა და რუდუნებით ემსახურებით ქართული მწერლობის წინსვლას, როგორც დრამატურგი, რომანისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში არაერთი საყურადღებო ნაწარმოები შესძინეთ სიტყვაკაზმულ ქართულ ლიტერატურას და მის ორგანულ ნაწილად იქეცით.

თანამედროვე ქართული დრამატურგია წარმოუდგენელია თქვენი ჩინებული პიესების გარეშე, ისეთებისა, როგორიცაა „მარჯანიშვილის ოთხი დღე“, „ვალი“, „სტუმარი“, „ლალი, სიყვარული და სხვები“, „1832 წელი“, „მარად და ყველგან“, „წერილები შვილებს“, „მინა თუ სამშობლო“, „კოტე მარჯანიშვილი“, „სიყვარული უსიყვარულოდ“. ამ პიესებში მაღალმხატვრულად აისახა როგორც საქართველოს წარსულის, ისე დღევანდელობის არაერთი წყევლა-კრულვიანი პრობლემა. არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ „ვალი“, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების ლამის სამიათასწლოვანი ჭეშმარიტი, უხინჯო, დაუმადლებელი ძმობისა და მეგობრობის საგალობელსა თუ ოდას წარმოადგენს. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ სცენაზე თქვენს მიერ თარგმნილი არაერთი პიესა დაიდგა, მათ შორის მიხეილ შატროვის „ექვსი ივლისი“ და „ბოლშევიკები“, აზათ აბდულინის „მეცამეტე თავმჯდომარე“ და „პატრიარქი“, გიორგი გულიას „აჩრდილები“... ნოდარ დუმბაძის პროზის მიხედვით დიდებული პიესა „ცა რომ სარკე იყოს“ შეჰქმენით, სიღნაღის ახალგაზრდულ თეატრში რომ დაიდგა და მერმე ტრიუმფალურად მოიარა კანადის, მექსიკისა და სლოვაკეთის თეატრალური ფესტივალები. თქვენი პიესების კრებულები ცალკე წიგნებადაც გამოიცა („სერობის შემდეგ“, „ვალი“, „წერილები შვილებს“, „შეთქმულება“).

ქართულ რომანისტიკას თქვენი სახით ერთი გამორჩეულად საყურადღებო პროზაიკოსი ჰყავს. თქვენი რომანები „თუ დაგვიწყო, იერუშალაიმ“, „მეათე კაცი“, „ჟამი დუმილისა, ჟამი უბნობისა“, „ერთი, მხოლოდ ერთი“, „ელიგულა და ხავა“ მწერლური ძალმოსილების, მწერლური სიმართლის ბრწყინვალე ნიმუშებია.

არაერთი მნიშვნელოვანი მხატვრული თარგმანით გაამდიდრეთ ქართული ლიტერატურა. ჩინებულად თარგმნეთ თურქული მწერლობის კლასიკოსების საბაჰათინ ალის, ნაზიმ ჰიქმეთის, აზიზ ნესინის, ფაჰრი ენდიჩის ნაწარმოებები, აგრეთვე ვიქტორ როზოვის, მარ ბოიაჯიევის, ლაიოშ მეშტერხაზის, მიხეილ შატროვის, ადინ შტეინზალცის თხზულებანი. ნაზიმ ჰიქმეთს კი ფრიად საგულისხმო მონოგრაფია მიუძღვენით.

ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“, „მზე ღრუბლებში“, „შენაკადები“, „კვალი „ყურადღებას, უპირველესად, განსწავლულობითა და ფართო თვალსაწიერით იპყრობს. სულ ახლახან გამოიცა თქვენი კრებულები „სახეები და სიტუაციები“, რომელსაც დრამატურგის ჩანაწერები უწოდეთ. ამ წიგნმა საყოველთაო დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა როგორც სამწერლო, ისე თეატრალურ სამყაროში. რა გასაკვირია, ამ წიგნით ჩვენს წინაშე წარსდექით, როგორც ქვეყნის აწმყოსა და, უფრო მეტად, მის მომავალზე პასუხისმგებელი შემოქმედი, რომელიც მართლად, შეულამაზებლად და, რაც მთავარია, სიყვარულითა და სევდით მოგვითხრობს ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე, კაცობის, ვაჟკაცობის გაკვეთილებზე...

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ლიტერატურულ მუშაკად, ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „საქართველოს ებრაელობის“ მთავარ რედაქტორად, ამჟამად თავკაცობთ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ და გაზეთ „მენორას“ რედაქციებს. არჩეული იყავით და ხართ საქართველოს მწერალთა და თეატრის მოღვაწეთა კავშირების პრეზიდიუმებისა და გამგეობების წევრად, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად. საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის გამგეობის, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრად, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარედ, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სტრატეგიული საბჭოს წევრად, საქართველო-ისრაელის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს მწერალთა კავშირის (2), დავით კლდიაშვილისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიებით. გვახარებს, რომ მათ რიცხვს სულ ახლახან პოლიკარპე კაკაბაძის პრემია მიამეტა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ისრაელის პრეზიდენტის ეზერ ვაიცმანის ღირსების სიგელით. მონიჭებული გაქვთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. არჩეული ხართ ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო გურამ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულ თანამებრძოლს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ემენ დავითაძე — 70



70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ემენ ავთანდილის ძე დავითაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ემენ!

ქართული სამწერლო ოჯახის ღირსეულო წარმომადგენელო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედსა და მეცნიერს, აჭარაში ქართული ლექსის, ქართული სულიერების მეცხოვნეს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ შემოქმედთა იმ გუნდს ეკუთვნით, რომელიც აჭარაში — საქართველოს ამ ძირძველ, ულამაზეს და მრავალჭირნახულ კუთხეში, ხმალამოღებული იბრძვის, რათა უცხოტომელთა სამასწლოვანი ბატონობის საცეცები საბოლოოდ მოსცილდეს საქართველოს მარგალიტს, რათა ქართულმა გენმა და სულმა მარადიულად იყივლოს ჩვენი ქვეყნის სადიდებლად.

თქვენი პირველი ლექსები წინარე საუკუნის 60-იან წლებში გამოქვეყნდა და მას შემდეგ ხუთი ათეული წლის განმავლობაში ქართული პატიოსნებით, ქართული გზნებით, დედაეკლესიის მადლით მირონცხებული ღირსეულად ატარებთ ქართული მწერლის საპატიო სახელს.

დედაეკლესია ვახსენეთ და სიამაყის გრძნობით უნდა განვაცხადოთ, რომ თქვენი რაინდული ბუნების უმშვენიერესი გამოვლინება იყო დაბრუნება ჩვენი ეკლესიის წიაღში, რითაც სანიმუშო მაგალითი მიეცით თანამოძმეთ.

მართლაც რომ ჩინებული პოეტი ბრძანდებით. ამის დასტურია თქვენი ლექსებისა და პოემების ისეთი კრებულები, როგორიცაა „დაწყვეტილი სიმები“, „თეთრი მიხაკები“, „ზღვის სიმღერები“, „რწმენა“, „მრთელი და წილადი“, ეპიკური პოემების ორტომეული, „ლირიკა“ (ორ ტომად). ამ კრებულებში დაივანა თქვენმა მაძიებელმა სულმა, რომელიც მუხლმოდრეკილი ევედრება არსთაგამრიგეს, დაიცვას მისი ათასგზის ნახმლევი და ნაიარევი კუთხე, დაიცვას სრულიად საქართველო. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი მზადაა საკუთარი გულის ფიცარი ფარად გაუთალოს სალოცავ ქვეყანას, რადგანაც კარგად იცის, რომ თუ გადარჩა, თუ სძლია ვერაგ და დაუნდობელ მტერს, მხოლოდ იმიტომ, რომ სული უდგას საქართველოთი...

თქვენი პოეზიის ლოგიკურ გაგრძელებად გვესახება თქვენივე პროზაული ნაწერები. აჭარისა და ტაო-კლარჯეთის ისტორია იქცა მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნის „სოფლის აღმაშენებელის“ უმთავრეს ლაიტმოტივად, ეს მრავალტომიანი წიგნი მართლაც რომ თქვენი გულის სისხლით იწერებოდა და უკვე სამაგიდო ნაშრომად იქცა მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირძველი კუთხეების ისტორიის ცოდნა. ფეხით გაქვთ შემოვლილი ტაო-კლარჯეთი, — ჩვენი გაუყუჩებელი ტკივილი, ძირის-ძირობამდე გაქვთ შესწავლილი ქართულ ტაძართა (იშხანი, ოშკი, ექექი, ხახული, პარხალი, ბანა, ტბეთი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი...) მდგომარეობა, რომელთა კედლებსაც ამჩნევიათ სანთლებად დანთებული თქვენი ცრემლები.

მნიშვნელოვანი კვალი გაავლეთ ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლას, რომლის საინტერესო ასპექტებსაც ეძღვნება თქვენი როგორც საკანდიდატო („ქართული (აჭარული) ფოკლორი, ანუ მელექსეობის ტრადიცია აჭარაში“), ისე სადოქტორო („ქართული (აჭარული) შაირი“) ნაშრომები. დიდი ღვაწლი დასდეთ აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგიის გამოცემას.

აღსანიშნავია, რომ ქართულად თარგმნეთ თურქეთში მოღვაწე ერთადერთი გურჯი პროფესიონალი მწერლის ყარა-შავიშვილის დოკუმენტური რომანი „მაჭახლის უღელტეხილი“.

წლების განმავლობაში მუშაობდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, გამომცემლობა „აჭარის“ მთავარ რედაქტორად, შემდეგ კი — დირექტორად. ამჟამად აბუსერიძე ტბელის უნივერსიტეტის სრული პროფესორი ბრძანდებით და სტუდენტებს ჭეშმარიტ ქართველებად ზრდით.

თქვენი ღვაწლი ღირსების ორდენით აღინიშნა, მონიჭებული გაქვთ საქართველოს სახელმწიფო პრემია, აბუსერიძე ტბელის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მემედ აბაშიძის სახელობის პრემიები. დაჯილდოებული ხართ დავითაძეთა საგვარეულოს ოქროს კალმით, არჩეული ხართ შუახევისა და მარეთის ხეობის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო ემენ!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ღირსეულ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ლეილა მესხი – 80

80 წლისა შესრულდა ღვაწლმოსილი ქართველი მწერალი ლეილა ლევანის ასული მესხი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ლეილა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს, კდემამოსილებითა და სისპეტაკით გამორჩეულ ბანოვანს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

ექვსი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, რაც პირველი მოთხრობები გამოაქვეყნეთ. ამ ხნის განმავლობაში ძალდაუტანებლად დაიმკვიდრეთ თავი ჩვენს სალიტერატურო ყოფაში როგორც ერთმა გულმართალმა შემოქმედმა, რომელსაც ზუსტად, ზედმიწევნით ზუსტად აქვს გასიგრძეგანებული მწერლის მოვალეობა ჩვენს ურთულეს, ფათერაკებით სავსე ყოფაში როდესაც ქართულ სახელმწიფოს ბეწვის ხიდზე უწევს სიარული ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

თქვენი შემოქმედებაც იმ დიდი და უთანასწორო ბრძოლის ორგანულ ნაწილად გვესახება, რომელსაც საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლა ჰქვია.

თქვენი რომანები „ფაიფურის თოჯინა“, „დუმილის დედა“, „სიზმრის ანგელოზები“, მოთხრობების კრებულები „მზე ხელისგულზე“, „ჩემი ახლობლები“, „ლანდი გაორთქლილ მინასთან“, „ბიჭს მამა ელანდებოდა“, „თავდავიწყება“, „ლტოლვა“, „ამერიკელი სიძე“, „მთავარი სასეირ(ნ)ო ქუჩა“, „ძველი სახელი“, „რჩეული“ ქართველი მკითხველის ინტერესითა და მოწონებით სარგებლობს. ამ ქმნილებების განწყობილებას, მათ ტკივილსა თუ სიხარულს თქვენი მშობელი მიწის მადლი და მირონი კვებავს. მათი პერსონაჟები უბრალო ადამიანები არიან, რომლებსაც დიდი სიყვარულიც შეუძლიათ და ბრძოლაც ამ სიყვარულის გადასარჩენად. თქვენი მწერლური ძალმოსილება განსაკუთრებული სიმძაფრით ბოლო წლებში შექმნილ მოთხრობებში („ქედანო თურმანაული“, „მგალობელთა გუნდი“, „მარადი მძევალი“, „ოტელ კარაიანი“, „ჯიში საკალმახე„, „კოლხური თილისმა“...) წარმოჩინდა, როდესაც ქვეყანას ძალიან გაუჭირდა...

არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი უძღვენით მანანა ჩიტიშვილის, თამარ ერისთავის, გულო კობიაშვილის, დოდო ჭუმბურიძის, შარლოტა კვანტალიანის შემოქმედებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბოლო დროს გამოცემული თქვენი ბიოგრაფიული ნოველების კრებული „ფიქრის კრიალოსანი“. მოგონებების ამ ციკლში არაერთი საინტერესო ფაქტი აისახა, როგორც ჩვენი წარსულიდან, ისე დღევანდელობის ურთულესი და უმძიმესი ყოფიდან.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა გერმანულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე.

მართლაც რომ ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრად, პროზის სექციის პასუხისმგებელ მდივნად; მუშაობდით ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ-მუშაკად, განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილედ, ქუთაისის ისტორიული არქივის დირექტორად, ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ მხატვრულ რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორად და ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდით...

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ნიკო ლორთქიფანიძისა და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ქალბატონო ლეილა!

მართლაც სამაგალითოა თქვენი სულიერი სიწმინდე, სისპეტაკე და სათნოება...

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი ოცნებების ახდენას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მედეა როგავა

უნივერსიტეტის სცენიდან მილანის საოპერო თეატრ „ლასკალამდე“

ძალიან უყვარდა პატარას ზღაპრები ძილის წინ. ვინ მოთვლის, მერამდენედ ეკითხებოდა დედას: რით მოარჩინაო ოქროსფერთმიანმა ჭაბუკმა მეფის ასული? - სიმღერითო, - უპასუხებდა დედა და ისევ აკოცებდა შვილს ლამაზ თვალებში. მთელ დღეს თამაშობით დაქანცულს ჩაეძინებოდა და ძილშიც იღიმებოდა. ვინ იცის, ეგებ სიზმარშიც სიმღერით წამლობდა მეფის ასულს. ვინ იცის?! სიმღერით „დაღლილი“ მამა ფეხაკრეფით მიუახლოვდებოდა მძინარე ნოდარს, ხუჭუჭა თმებზე ხელს გადაუსვამდა... სიზმარშიც სიმღერა გრძელდებოდა.

დილით მზესა და დედასთან ერთად ოთახში ნაცნობი მელოდიები შემოდიოდა. ეს მამაა, სიმღერით რომ უთენდება და უღამდება. მამამისის მოსკოველი მეგობრები ამბობენ, მაშინაც მღეროდაო დავით ანდღულაძე, როცა თბილისიდან თოვლის ფიფქებით „დამძიმებული“ დეპეშა „ჩამოუვიდა“, ძეობას ულოცავდნენ!

გაიღვიძა ბიჭუნამ, უსმენს მამას და ბაძავს კიდეც. მამა მუხლებზე დაისვამს და იწყებს: აქედან შორს, საქართველოს ულამაზეს კუთხეში, გურიაში, არის ულამაზესი სოფელი ბახვი. უყვართ გურულებს სიმღერა. ჩვენს ოჯახშიც ყველა მღეროდა: დედა, მამა, ძმები, დები. ოჰ, როგორ უკრავდა ბებიაშენი ჩონგურზე. ისევ მუსიკის ხმა - მღერის დედა. მორჩა თუ არა საქმეებს, დედამაც თავის საყვარელ საქმეს მიაშურა. ასე გადიოდა დღეები. სიმღერით აძინებდნენ და სიმღერით იღვიძებდა.

მოსკოვში (მაშინ მამამისი მოსკოვში მღეროდა), შვიდი წლის „მომღერალი“ სიყვარულითა და მონდომებით „ასრულებდა“ ათასჯერ მოსმენილ არიებს. განსაკუთრებით უყვარდა მანრიკოს კაბალეტა ვერდის ოპერიდან „ტრუბადური“ (დღესაც რომ ბრწყინვალედ მღერის). მისი მუდმივი მსმენელები და „თაყვანისმცემლები“ იყვნენ: მოსკოვის დიდი თეატრის მაშინდელი დირიჟორი კუბაცკი, გამოჩენილი მომღერალი რაიზენი და ვინ მოთვლის, რამდენი ვინ?!

ჯილდოდ სათამაშო გემებს უკეთებდნენ, რომლებსაც პატარა „მეზღვაური“ მთელ დღეს მდინარე ოკაზე დააცურებდა და მაშინ ვერავინ დაარწმუნებდა, რომ ის შორეული ნაოსნობის კაპიტანი არ იყო!

უკან დარჩა ბავშვობის წლები... ახსოვს, კარგად ახსოვს პირველი სექტემბრის დილა... დედამ „დედა ენით“ ხელში სკოლამდე მიაცილა.

...ყველაფერი იტაცებდა, ყველაფერს ასწრებდა, კითხულობდა, უკრავდა, სპორტზე დადიოდა, ტოლებს არაფერში ჩამორჩებოდა. ექსკურსიების, დღეობების სული და გული იყო. იცოდა მეგობრობის ფასი. დღესაც ასეთია!

მიქელანჯელო, რაფაელი, შოპენი, ჩაიკოვსკი, ნიუტონი, ფალიაშვილი, ტატო, ილია, აკაკი, ვაჟა... კვებავდა ჭაბუკის გონებას. რომ გეკითხათ, არჩევანს ვერც ერთზე შეაჩერებდა. ასე გზის ძიებაში ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და ნელა ამოჰყვა ვარაზისხევს... ნოდარი ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების წარჩინებული სტუდენტია, სახელობის სტიპენდიანტი, სპორტსმენი, ლექტორებისა და მეგობრების უსაყვარლესი პიროვნება. მისი სამეცნიერო მოხსენებები საყოველთაო მოწონებას იმსახურებს, ზოგს სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში შეჭდავენ. სამეცნიერო მივლინებით აგზავნიან: ხევსურეთში, ფშავში, ხევში, სვანეთში, ქისტეთში...

მთებთან განმარტოებული ჭაბუკი ოცნებობს სიმღერაზე, სცენაზე... სისხლი თავისას შვრება!

ადრე შეამჩნია მასში ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, ენათმეცნიერებისადმი თავისებური დამოკიდებულება აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ... ნოდარი ასპირანტია...

შრომაში გათენებული ღამეები... სადისერტაციო შრომა: „გრამატიკული კლას-კატეგორიები იბერიულ-კავკასიურ ენებში“... საკითხი ძალიან აქტუალურია. ყველაფერში მისთვის ჩვეული სიდინჯე და ნებისყოფა უწყობდა ხელს. მისი ყოფილი ლექტორები, დისერტაციის დაცვის დღეს მისი შრომის ოპონენტები - პროფესორი ქეთევან ლომთათიძე და პროფესორი ილია ცერცვაძე შრომასა და ნიჭს, მეცნიერულ ალღოსა და უნარს უქებდნენ დისერტანტს.

...ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნოდარ ანდღულაძე კავკასიურ ენათა კათედრაზე კითხულობს ლექციებს, არის სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, მათი მეცნიერ-ხელმძღვანელი... მაგრამ ამას მასში სცენისა და სიმღერის სიყვარული არ ჩაუკლავს, პირიქით, მისი, როგორც მომღერლის ნათლობა უნივერსიტეტის სცენას უკავშირდება. უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კავარადოსისა და კანიოს არიებით მოიარა მრავალი საოპერო თეატრის სცენა და ასე დადგა 1956 წლის 26 ოქტომბერი... ოპერაში ნოდარის დებიუტია, მღერის ხოზეს პარტიას ბიზეს ოპერაში „კარმენი“. ღელავს ნოდარი, მას ამშვიდებს გამოცდილი პედაგოგი, მამა და მეგობარი, თავისი დროის ბრწყინვალე ხოზე დავით ანდღულაძე, თუმცა მამა უფრო ღელავს. არცაა გასაკვირი, მამის გული სულ სხვაა! დღეს გაირკვევა, შერჩება თუ არა ქართულ საოპერო სცენას ანდღულაძეთა გვარი. ყოველთვის ბრწყინვალეა ხოზე-ნოდარი, მაგრამ ამბობენ, პრემიერაზე განსაკუთრებული იყო, ისე მღეროდაო ხოზეს პარტიას, რომ კარმენთან ერთად მაყურებელსაც სჯეროდაო მისი. უნივერსიტეტელი მეგობრები და ძმაკაცები ხუმრობით „დოცენტ ხოზესაც“ ეძახიან!

ძალიან ძნელია იმ საოპერო პარტიების ჩამოთვლაც, რომლებიც ამ რამდენიმე წელში შეარულა. 1957 წლის 8 მარტს ბრწყინვალედ შეასრულა თავისი უსაყვარლესი საოპერო პარტია პუჩინის ოპერაში „ტოსკა“.

...და...1957 წელი, სტუდენტთა და ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალი, ნოდარი ფესტივალის ლაურეატია. 1958 წელი, 2 მარტი, იგი ასრულებს მალხაზის პარტიას ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“... ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა და ა. შ.

1959-60 წლები, ახალგაზრდა შემოქმედისათვის ფრიად ნაყოფიერი, გასტროლები ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში. დიდი სიყვარულით მაინც პოლონეთი აგონდება. პოლონეთში ქართული კულტურის დღეების დამაგვირგვინებელთა შორის იყო ნოდარ ანდღულაძეც.

შესრულებული მრავალი საოპერო პარტიის ჩამოთვლას გვერდებიც არ ეყოფა, მაგრამ ნოდარის სულის წვდომა საოცრება იყო ოთარ თაქთაქიშვილის სიმფონიურ პოემაში „პოეტების გზა“, სადაც მან რამდენიმე რომანსი შეასრულა. იმ უდიდესმა კლასიკურმა განათლებამ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, მისეული შესრულება მიუწვდომელი გახადა.

რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი, მომღერალი, ენათმეცნიერი, ქართული საენათმეცნიერო სკოლისა და ქართული საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი ნოდარ ანდღულაძე ამჟამად ვერდისა და პუჩინის, კარუზოს და ჯილის ქვეყანაშია. ქართული სული და მუსიკისადმი სიყვარული „მძიმე ტვირთია“, მაგრამ ნოდარს იმდენად უყვარს სიმღერა, სცენა, რომ ყოველთვის შეუძლია თქვას: „მაშ, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად“.

13 დეკემბერი, ოთხშაბათი,
1961 წელი.

P.S. 2017 წლის 13 დეკემბერს, ოთხშაბათს, საოპერო მომღერალი, ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე 90 წლის გახდებოდა!

ვიცი, „ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო“, მაგრამ ახლა შალვა დადიანისეულმა „რაც გამახსენდამ“ იმძლავრა. ძალიან მიყვარს მემუარული ჟანრი! წარსულთან დაბრუნება ჩემთვის სიცოცხლის თავიდან დაწყებაა!

1961 წლის 21 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა იმ ურთულეს ეპოქაშიც კი შეძლეს ნოდარი სწორედ „ალმა მატერ“-ის კედლებიდან გაეცილებინათ იტალიაში. ახალგაზრდა ლექტორი, „სიმღერის ამირანი“, მოჭიდავე, ცხენოსანი, ყოველივე ქართულზე უზომოდ შეყვარებული, ადამიანის სულში წვდომის დიდოსტატი, სიმღერასთან ერთად შესრულებული როლის შეცნობის თავისებური უნარის მქონე, სტუდენტთა უსაყვარლესი ლექტორი, „არდავიწყების“ სიმბოლოა.

ისევ 1961 წელი, 13 დეკემბერი, ოთხშაბათი, საღამოს 9 საათი და 45 წუთი. მიუხედავად „დიდი დაბრკოლებისა“, საქართველოს რადიოთი შევძელით, იტალიაში, მილანში ნოდარისთვის მიგველოცა დაბადების დღე და მისივე შესრულებით მოგვესმინა საოპერო პარტიები და განსაკუთრებით მისთვის და ჩვენთვისაც უსაყვარლესი გასტოლდონის „აკრძალული მელოდია“. ეს იყო 1961 წლის 13 დეკემბერს, 56 წლისა და 1 თვის წინ. იმ დღეს ახალგაზრდა ქართველი მომღერალი, ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი 34 წლის გახდა... და, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, „არ მესმის, მწირი ფანტაზიის მქონე ადამიანებს რაზე აქვთ პრეტენზია“ (სალვადორ დალი). თუმცა, ჩემთვის მაინც: „ცოდვაა, როცა ვაჟკაცი უნდა გადიქცეს თიხად“ (ვაჟა).

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი,
2017 წელი.

ჯემალ ბაშარული

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

აღსაყდრების 40 წლისთავზე

ქართველი ერი შენით ამაყობს,
შენს წინაშე ხრის თავსა,
შენი ლოცვით და კურთხევით
გვაშორებ ბოროტს, ავსა.
წინ აღუდექი მკერდითა,
მთიდან მოვარდნილ ზვავსა,
ერს რწმენა, მადლი შემატე,
მედგრად შემოჰკარ ზარსა.
ერის წინაშე, ჩვენო იმედო,
პირნათლად იხდი ვალსა,
მოყვარეს გულსა უხარებ,
მტერს კი უბრმავებ თვალსა.
ჩვენ ყველა ერთგულად მივდევთ
შენ გავლებულსა კვალსა,
წყვდიადიდან რომ გაგვიყვან
ღრმადა გვჯერავს და გვწამსა.
ვინც შენი გზიდან გადაუხვიოს,
ჭაობს დაადგეს მყრალსა,
სჯობია ჭკუას მოუხმოს
და გამოვიდეს მშრალსა -
ერის და ბერის წინაშე,
ამით მოიხდის ვალსა.
დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ
ყველა დიდი და პატარა,
ჩვენო იმედო და ნეტარებავ,
სულ გამარჯვების გზებით გატარა.

სიკვდილ-სიცოცხლე შეიბნენ

ვაჟა-ფშაველას

სიკვდილ-სიცოცხლე შეიბნენ,
ცა ჩამობნელდა შავადა,
მთის ბუმბერაზი არწივი,
ვაჟა გაგვიხდა ავადა.
ადგომის თავიც აღარ აქვს,
სულ დაუძლურდა, დავარდა,
ველარ იცოცხლებს, კვდებაო,
ხალხში მეხივით გავარდა.
ღონემიხდილი მგოსანი
თავისთვის ჩუმად ჩურჩულებს -
ვერ შემაშინებ, სიკვდილო,
სულით ვერ დამცემ ფშაველსა,
ერთადერთს რასაც განვიცდი,
ველარ ვიხილავ მთა-ველსა,
ცოტა ხანს კიდევ მაცადე,
მუხლში მომეცი ძალაო,
ჩარგალზე დარდმა და ფიქრმა
სიცოცხლე გამიმწარაო.
ვიცი, რომ ველარ ვიხილავ
ჩარგლის ჭიუხებს, ხევებსა,
ველარ შევავლებ ბერდულას
ამ ჩემს გამხმარსა ხელებსა.
მაღალო ღმერთო, ერთსა გთხოვ,
ბარში ნუ მომკლავ მთიელსა,
აქ მაძღრად ყოფნას მირჩევნის,
სული იქ გამძვრეს მშიერსა.

ხორცით ლამაზი ჯერ კიდევ

ხორცით ლამაზი ჯერ კიდევ,
ქალი არ არის სრული,
საჭირო არის ასევე,
ლამაზი ჰქონდეს სული,
მაგრამ ასეთის მოძებნა
არის მეტადა რთული,
ვეძებ და ვერ მიპოვია,
გულში გამიჩნდა წყლული.

ამ ქვეყანაზე ვინ რისთვის ცოცხლობს

ამ ქვეყანაზე ვინ რისთვის
ცოცხლობს
ვისი მისია რა არის,
ზოგის ცხოვრება გუბეა მხოლოდ,
ზოგის უძირო ზღვა არის.
ზოგი ჭამს მისთვის, რომ იარსებოს,
ზოგი არსებობს მხოლოდ ჭამისთვის,
ვინ ერს, ქვეყანას ემსახურება,
ვინ კი ფაფხურობს მხოლოდ
თავისთვის.
ზოგი ცხოვრებას წინ უსწრებს,
ზოგი უკანა რჩება,
ზოგი დიდხანსა ცოცხლობს,
ზოგი კი ადრე კვდება.
ზოგი ვერ სწვდება მოვლენებს,
ზოგი ადვილად ხვდება,
ამ ქვეყანაზე ადამიანი,
ნეტავი რისთვის ჩნდება?
სიკეთეს სთესდე, ღმერთს ადიდებდე,
გული გერჩოდეს ათას რამისთვის,
იყო ნამდვილი ადამიანი,
სიცოცხლე ხომ ღირს თუნდაც
ამისთვის.



რეზო ადამია – 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მხატვარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე რეზო (ემელიანე) მიხეილის ძე ადამია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ბატონო რეზო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ, ნიჭიერებით გამორჩეულ მრავალმხრივ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 80 წლისთავს.

დიახაც რომ ღვთიური მადლითაა გასხივოსნებული თქვენი მხატვრობა და არა მარტო იმიტომ, რომ გამორჩეული ხატმწერი ბრძანდებით და ამ ურთულეს და უაღრესად საპასუხისმგებლო ჟანრში ფერწერისა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეთ, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ თქვენს მიერ შექმნილი ხატები დასვენებულია საქართველოსა და უცხოეთში მდებარე ტაძრებსა და ეკლესიებში. მაგრამ უპირველესად ისაა ხაზგასასმელი, რომ თქვენ მრავალწლიანი, მუხლჩაუხრელი შრომის, მართლაც რომ ტიტანური შრომის შედეგად მოახერხეთ საკუთარი ნიშის გამოძებნა თანამედროვე ქართულ მხატვრობაში, რომელიც ნამდვილად არ უჩივის თვითმყოფადი, თავისთავადი შემოქმედების ნაკლებობას. გვახარებს, რომ არაერთი პერსონალური გამოფენა მოაწყვეთ როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰოლანდიასა და ესპანეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში, ლატვიასა და რუსეთში, ჩეხეთსა და პოლონეთში. რაც მთავარია, თქვენმა ტილოებმა ფართო აღიარება მოიპოვა პარიზში, მხატვართა საუფლოში, სადაც სისტემატურად გიწვევენ შემოქმედებითი მივლინებებით.

მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი მშვენიერი მხატვრობა ქართული პოეზიით საზრდოობს, მისი თვალუწვდენელი ლაჟვარდებიდან იღებს სათავეს... რა გასაკვირია, თუ სწორედ ამ გარემოებამ ჩაგაყენათ ქართველ მწერალთა რიგებში და აქაც გათქმევინათ თქვენი მართალი, წონადი სიტყვა.

თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნები, რომლებშიც ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ესეისტიკა, პროზაული თუ მეცნიერული წიაღსვლები („ერი, აკაკი და სამყარო“, „ვაჟა-ფშაველა და დრო“, „სისხლიდან ცრემლით“, „უკვდავებაა სიკვდილში“, „შედევრები და მარადიულობა“) ქართული მწერლობის კლასიკოსებს ეძღვნება და ღრმად გვახედებს მათი სულის ლაბირინთებში. თუნდაც ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი კრებული რომ ვახსენოთ, რომელშიც ახლებურად დაგვანახეთ ცალთვალა გენიოსის ფართო თვალსაწიერი, რომელსაც განახევრებული მხედველობა ხელს არ უშლიდა ადამიანის არსში სრულად გარკვეულიყო და ამის გამო ამქვეყნად წვიმად მოსვლა ენატრა...

როგორ მოეფერეთ, როგორ მოუოხეთ სული მარტოობისთვის განწირულ ეულ ტერენტი გრანელს, რომელსაც ორი წიგნი უძღვენით. ამ წიგნებში კიდევ ერთხელ დაგვანახეთ შემოქმედი, რომელიც კოსმოსურ პოეზიას ჰქმნიდა და ანგელოზის დაჭრილი ფრთებით ესალბუნებოდა მშობელი ქვეყნის იარებს. დაგვანახეთ მის სულში დასადგურებული სერაფიმთა სიმშვიდე და არაამქვეყნიური ნათება, შეისწავლეთ მისი ნახატები და ქვეყანას ამცნეთ, რომ ტერენტი გრანელი ვასილ კანდინსკის, ფერნარდ ლეჟეს, ხუან მიროს, პაბლო პიკასოს, კაზიმირ მალევიჩის, მარკ შაგალის დარი ხელოვანი ყოფილა გრაფიკაში... „შედევრები და მარადიულობა“ - ასე ჰქვია იმ წიგნს, რომელშიც მსოფლიოს ფერწერის ტიტანთა მშვენიერებასა და ძალმოსილებას, ფერთა სიმფონიის ფანტასტიკურ სამყაროს გვაზიარებთ...

ბოლო წლებში შექმნილი თქვენი რომანი წმინდა ნინოზე მწერლური ძალმოსილების ერთი მშვენიერი დასტურია. სულ მალე გამოვა თქვენი ახალი რომანი „მზე“.

საინტერესო წერილები მიუძღვენით მიქელანჯელოსა და ნიკო ფიროსმანაშვილის, ზაქარია ფალიაშვილისა და ლადო გუდიაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის, სხვათა შემოქმედებას.

ბატონო რეზო!

თქვენი ღვაწლი დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო რეზო!

ყოველდღე თავს მახსენებს შენი დიდებული შემოქმედება.

„შემოქმედებას“ იმიტომ ვამბობ, რომ დღეს მეორე არ მეგულება შენსავით ჟანრმრავალი ხელოვანი.

სანამ ჟურნალს გადავშლიდე, ჯერ შენი განუმეორებელი ფრესკებით უნდა დავტკბე.

ჟურნალს გადავშლი და ლოცვად დამაყენებს შენი „წმინდა ნინო“, შენი განუმეორებელი „მზე“ - ოდა სიცოცხლისა და სიყვარულის.

ხომ ზღაპრულია შენი პარიზული სანახები, მაგრამ შენს მეგრულ ოდებს და შენს თოვლიან „ფაცხებს“ ვერაფერი შეედრება იმიტომ, რომ შენ აქ ხარ, კოლხეთი შენი ფუძე და ოდაბადეა.

გალაკტიონი კი დიდებულად გააფერწერე!

შენ ყველგანა ხარ. ოთხმოცი წლის ლომი არცერთ შეკრებას არ აცდენ, არცერთ „დაჯგუფებას“ არ ეკუთვნი და დიაღაც, რომ არავის გააწბილებ ეროვნულ საქმეზე თანადგომაში.

არ ვიცი, მხატვართა კავშირს აქვს თუ არა ეს წოდება, მაგრამ შენ ჩემთვის ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი ხარ.

რევაზ მიშველაძე

***

ჩვენი გულითადი მილოცავ 80 წლის იუბილარს, მხატვარ-მწერალ რეზო ემელიანე ადამიას!

მან თავისი შეგნებული შემოქმედებითი ცხოვრება პირნათლად განვლო, მთელი პერიოდი არ გაკარებია არცერთ პარტიას, ისე ეწეოდა ხელოვნების კეთილსა და უმძიმეს უღელს, იყო ერთგული პატრიოტი და ქმნიდა სრულიად ქართული სულიერების ხელოვნებას. ხელოვანმა თავისი სამშობლო ასახელა უცხოეთშიც, კერძოდ, პარიზში, სადაც ფრანგებისვე მიწვევით მუშაობდა მსოფლიოს ხელოვნების ცენტრში, თერთმეტი წლის განმავლობაში პერიოდულად. გახლავთ მრავალი პერსონალური გამოფენის ავტორი, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, კერძოდ, საფრანგეთში რვა პერსონალური გამოფენის ავტორია.

მხატვრის ფერწერული ტილოები ინახება საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ მუზეუმში, გალერეებში და კერძო კოლექციებში. ბატონი რეზო ღრმადმორწმუნეა და გახლავთ მრავალი ფერწერული ხატის შემქმნელი. ავტორის ხატები ასვენია, როგორც საქართველოს ეკლესიებში, ასევე მსოფლიოს მრავალ ტაძარში. ჩვენთან, მეცნიერებათა აკადემიის შენობაში მოაწყო ორი პერსონალური გამოფენა: „გალაკტიონი და კოსმოსი“ და „ადგილზე შექმნილი პარიზული პეიზაჟები“. ბ-ნი რეზო ადამია გახლავთ წარმატებული მწერალი, შვიდი წიგნის ავტორი, აქედან ორი რომანია: „წმინდა ნინო“ და „მზე“. როგორც მწერალმა, მან მიიღო ხუთი ლიტერატურული პრემია: დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და გურამ რჩეულიშვილის სახელობის.

ჩვენს სასიქადულო მხატვარსა და მწერალსა, ბატონ რეზო ემელიანე ადამიას ვუსურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე და წარმატებები შემოქმედებით მოღვაწეობაში!

გიორგი კვესიტაძე

ყალმით და კალმით

დიდი ხანია ვიცნობ რეზო ადამიას, ვიცნობ მის მხატვრობას, პროზას, ესსეებს, მინახავს მისი გამოფენები.

იგი ყოველთვის იყო სიახლის მაძიებელი, ეროვნული სულის შემოქმედი, რომელიც ხატავს პარიზისა და ტრაპიზონის პეიზაჟებს, მაგრამ კიდევ უფრო გატაცებითა და საინტერესოდ - სამეგრელოს ეზოებს, ოდა-ქოხებს, თოვლს, დათოვლილ ქედებს.

რეზო ადამიამ მიაგნო და ლიტერატურულ მიმოქცევაში შემოიტანა ტერენტი გრანელის უამრავი გრაფიკული ნახატი. თურმე, ამ მისტიკოს პოეტს, დავით გურამიშვილისა და გალაკტიონის მსგავსად დაუხატავს სხვადასხვა ფორმის სურათები, რაც ეხმიანება იმჟამინდელ ავანგარდისტულ ტენდენციებს.

ღმერთმა დიდხანს, დიდხანს ნუ მოგიშალოს ქვეყნისადმი სამსახური ყალმით და კალმით.

სოსო სიგუა

მზეში დანახული სიცოცხლე

რეზო ადამია თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანია, რომელსაც უფალმა ორი მუზის მსახურება დაავალა, უპირველესად მხატვრობის, შემდეგ კი პროზაიკოსობის.

რეზო ადამიას ნიჭიერება მხატვრობაში პარიზსაც გადაწვდა, ის ათჯერ იყო მიწვეული საფრანგეთში, სადაც შედევრები შექმნა. მან პარიზის პეიზაჟებში წარმოადგინა ისეთი პარიზი, როგორიც არც ერთ მხატვარს არ აღუბეჭდავს აქამდე ტილოზე. ამიტომაც შეიყვარა რეზო პარიზმა, სადაც მისი ნამუშევრები წარმატებით იყიდებოდა. მას მიღებული აქვს პარიზის, მარსელის, შერბურგის და დიჟობის დიპლომები.

უაღრესად შთამბეჭდავია რეზო ადამიას მხატვრული სერიალები: „თოვლი სამეგრელოში“, „კოლხური ოდები“, „მზეებზე მიძღვნილი“ და ა.შ. ასევე საინტერესოა დიდი ნიჭიერებით შექმნილი პორტრეტები ლადო გუდიაშვილის, თამარ ციციშვილის, შოთა ნიშნიანიძის, ზინაიდა კვერენჩხილაძის, გურამ საღარაძის. ხატვის დროს შემოქმედის მთავარი მიზანია აჩვენოს განწყობა, სულ ერთია რა სიუჟეტი იქნება, მთავარია მნახველს შეუქმნას განწყობა, რასაც მშვენივრად აღწევს კიდეც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რეზო ადამიას პროზაული ნაწარმოებები. მას გამოცემული აქვს შესანიშნავი წიგნები ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, ტერენტი გრანელზე, „შედევრები და მარადიულობა“, რომელმაც მიიღო ვაჟა-ფშაველას პრემია ოქროს მედლით. ასევე წიგნი ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც შარშან გამოიცა ავტორისავე ილუსტრაციებით. ეს წიგნი გადაეცა ლიტერატურის მუზეუმს. ასევე ავტორმა მუზეუმს შესწირა ორი სურათი ამ წიგნიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის გრაფიკული პორტრეტი და ფერწერული სურათი „მერანი“ ავტორისეული პლანეტარიუმის მიმართულებით. ეს სურათები გამოფენილია ლიტერატურის მუზეუმში. ამ წიგნთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეზო მიშველაძეს ძალიან მოეწონა გამონათქვამები.

რეზო ადამია ავტორია ორი რომანის: „წმინდა ნინო“, რომელიც გამოცემულია და „მზე“, რომელსაც მალე იხილავს მკითხველი. ამ შესანიშნავ პროზაულ ნაწარმოებებში, ისევე, როგორც მხატვრობაში, გამოჩნდა ხელოვანის მაღალი პროფესიონალიზმი. წიგნები დაწერილია გამართული ქართულით და საინტერესოდ იკითხება.

ძალიან ცუდია, რომ დღეს ასეთი დონის ხელოვანებს ყურადღება არ ექცევათ, რადგან ბიუჯეტი მოუხსნა წინა ხელისუფლებამ, ამიტომ მხატვრები იძულებულნი არიან თვითონ იზრუნონ გაყიდვაზე, გაიტანონ საზღვარგარეთ ნამუშევრები. ასე გაედინება ჩვენი ეროვნული სიმდიდრე ქვეყნიდან. არადა სწორედ ეს უნდა იყოს ხელისუფლების საზრუნავი, რომ ჩვენი საუნჯე ჩვენთან დარჩეს, რადგან საქართველო დიდი ნიჭიერების და კულტურის ქვეყანაა და თუ ამას არ შეეწყო ხელი და არ გავუფრთხილდით, ხელიდან გამოგვეცლება ეს სულიერი საგანძური და დავრჩებით გაძარცვულები, გამოცარიელებულები და იმ უსახური სახლების მშენებლობით თავს ვერ მოვიწონებთ.

ჩვენო ძვირფასო რეზო, გვინდა გისურვოთ მხნეობა, რომ არასდროს გაგნელებოდეს მზის სიყვარული, რომელიც სიცოცხლის სიმბოლოა და დიდი ადგილი აქვს შენს შემოქმედებაში. ველოდებით შენგან ახალ-ახალ შედევრებს და გამოფენებს!

შენი მეგობრები
ვაჟა აზარაშვილი, მანანა დანგაძე

თეიმურაზ ჯულაყიძე

„ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“ (შესავალი)

იოანე საბანისძის აგიოგრაფიული ნაწარმოები ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქვეყნის გადასარჩენად სასულიერო მწერლობა გადამწყვეტ სიტყვას ამბობს სწორედ მაშინ, როცა ქვეყანა განსაცდელშია, დაღუპვის პირასაა!

იოანე საბანისძის ღრმა რწმენით „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“, მამა-პაპური თვისება ჭირთა მოთმენისა“ ერთადერთი გზაა საქართველოს გადარჩენისა! თავისუფალ ევროპულ ოჯახში სწორედ ამ სამი ღვთაებრივი საუნჯით დავმკვიდრდებით და შევინარჩუნებთ ინდიიდუალობას... „ენა, მამული, სარწმუნოება“ ჩვენი არსებობის ერთადერთი პირობაა!

აღნიშნული ნაწარმოები მეტად აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვის... ამიტომ მისი ექსპრესიულ-ემოციური აღქმისთვის პოეტურ ვარიანტს შემოგთავაზებთ, ასევე სრულადაა ჩართული 118-ე ფსალმუნი - ანბანთქება, რასაც წარმოსთვამს აბო იმ გზაზე, რომელსაც გაივლის საპყრობილედან მსაჯულამდე! აღნიშნული ფსალმუნის შინაარსი ნათლად გამოხატავს იმ სულისკვეთებას, რითაც შთაგონებულია ახალგაზრდა ყრმა არაბი... სწორედ ეს ფსალმუნი აახლოებს უფალთან, ღვთაებრივ სულს შთაბერავს ქრისტეს რჩეულს.

პოეტური ვარიანტი „აბოს წამებისა“ ჩემს მოსწავლეებს გავაცანი მას შემდეგ, რაც ნაწარმოები საფუძვლიანად შეისწავლეს. მინდა აღნიშნული ვარიანტი თქვენი გაზეთის საშუალებით სხვებსაც მოკრძალებით შევთავაზო. „აბოს წამება“ საქართველოს სიცოცხლის, არსებობის უპირველეს, ერთადერთ პირობას გვთავაზობს: „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვას“... „წმინდანების სამშობლო“ - საქართველო ამ გზით - ქრისტეს გზით - მარადიულობას დაიმკვიდრებს მზისქვეშეთს... სულის გადარჩენა ფიზიკური გადარჩენის უპირველესი პირობაა!...

აბო
(პოეტური ვარიანტი)

აბომ ქრისტეს სასწაული უქადაგა სულით მონებს,
ვერ არჩევდნენ მარგალიტებს, დაემსგავსნენ იმ ბილწ ღორებს!
ზოგს შიშისგან ადედლებდნენ, ზოგიც ვერცხლით მოაღორეს!
ქართულ სისხლს რომ ადედებდნენ, რწმენას იმათ მოაგონებს!
დატანჯულნი ირყევიან, ვით ლერწამნი ძლიერ ქარში,
აბო მარტო მხოლოდ ბერძნებს, ჩვენაც გვერგო ღვთის პატივი:
წმინდანების სამშობლოა! ნუთუ გახლავთ ეს მარტივი?!
ბოროტ კაცთა დაბეზღებით ნერსეს დაატყვევებს მუმნი,
ქართლს ეხვია არაბები, ვითარც მუხას ირგვლივ მუმლი...
უფლის ნებით მუმნი მოკვდა, ნერსეს გამოიხსნის მაჰდი!
სწორედაც რომ ღვთის წყალობა... ღვთის რჩეულო, მას რომ ახლდი.
ნერსეს, ქართლის ერისთავსა, ბაღდათიდან ის ჩამოჰყვა,
ქართულ სულსა შეეთვისა, ქრისტიანებს დაემოყვრა,
ხაზარეთში მოინათლა ყრმა არაბი ქრისტეს რჯულზე,
სარკინოზებს ეცნობებათ, შურისგება აწვთ გულზე,
სადაც სულის ზეიმია - აფხაზეთში ნერსეს ახლდა...
- შენზე შურსა იძიებენ! არ დაბრუნდე თბილისს ახლა!
აბო მშვიდად ისმენს რჩევას, ქართველთ მთავარს ის პასუხობს:
- ვერ შეძლებენ სულის ძლევას! თან ერთადერთ მხსნელს მოუხმობს.
- არ მეშინის, რადგან ქრისტეს სულით უკვე ვეზიარე,
სასანთლეზე სანთელს ვანთებ, ჩემებრ სხვებსაც ვაზიარებ!
თბილისს დააბეზღეს უმალ: - დათმო მან მაჰმადის რწმენა,
ქალაქს დადის, კვლავ ქადაგებს და აგრძელებს ჩვენსა წყენას.
აფრთხილებდნენ მოკეთენი: აბო, ჩქარა დაიმალე!
ტანჯვისათვის გამზადებენ, დროც არ ითმენს, წადი მალე...
- მზად ვარ მოვკვდე ქრისტესათვის, არა მარტო სატანჯველად.
შეიპყრობენ და მიჰგვრიან მსაჯულს მკაცრად დასასჯელად.
პირველად რომ დაატყვევეს, აბო სტეფანოზმა იხსნა,
თუმცა ისევ დააბეზღეს, არ დაყოვნდა მათი რისხვა.
მსაჯული კი ურჩევს აბოს: - დაუბრუნდი შენსა რწმენას,
გონს მოეგე, არაბი ხარ, ნუ აჰყვები ბედისწერას.
- არაბი ვარ! მანამ ვიყავ ალაჰისა მოზიარე,
ხელოვნური დავგმე, აწ კი, ჭეშმარიტ სულს ვეზიარე!
- სიგიჟეა, რასაცა იქმ, დაუბრუნდი ისევ შენს რჯულს,
ოქრო-ვერცხლსა თან მიიღებ, უზღვავ სიმდიდრესა და ფულს...
- ოქრო-ვერცხლი შენა გქონდეს, შენის თავის წარსაწყმედად,
სწორედაც რომ ვემზადები ღვთის წინაშე წარსადგენად.
უფლის გზისკენ არ ილტვიან თვალთა ცრემლთა დასადენად,
ცხონებას და უხრწნელობას ვიღებ ეშმას გასადენად.
- უმალ ჩასვით საპყრობილეს! - წამს მსაჯულმა რისხვით ბრძანა,
ხელ-ფეხს დადეთ ბორკილებში, დაანახეთ ჩვენი ძალა!
ნეტარ აბოს უხარია, ახლა ჰმადლობს თვით უფალი:
- ვინც გაშინებს, ვინც გამცირებს, ვერ დაგაკლებს, ეს უთხარი...
საპყრობილეს მარხულობდა, ღვთის ფსალმუნებს აყურებდა,
ყველაფერი გაყიდა და მშიერ-მწყურვალთ აპურებდა...
ცხრა დღე ცისმარ დაუჯდომლად კითხულობდა ის ფსალმუნებს,
ლოცულობდა ორ სანთელზე, თან სიფხიზლეს არ ადუნებს!
მეათე დღეს, 6 იანვარს, ნათლისღების ჟამი დადგა:
- დიდი არის უფლის ეს დღე, ზეცის კარი ჩემთვის გახსნა.
ერთი მხრივ ჩანს თვით იესო, იორდანეს ინათლება,
ჩემთვის შიში გაიფანტა, ღამე დღედ რომ ინათება.
მოვიშორო ხორციელი შიში სულის სამოსელი,
ახლა ზეცის სისპეტაკით ზეცისათვის ვიმოსები.
ქრისტეს ხორცი! ქრისტეს სისხლი! ეპკურება შუბლზე ოფლად,
- აწ ლოცვით მომიხსენიეთ... ვერ მიხილავთ ცოცხალს სოფლად!
მიჰყავთ აბო დასაკითხად, ცრემლით მიაცილებს ხალხი,
სხეულს, ვით მკვდარს, დაჰყურებდა, ცას ეფინა გლოვის თალხი.
მიჰყავთ არაბი ჭაბუკი ამირასთან დასასჯელად,
ღვთის ფსალმუნებს გულით ამბობს, დღემდე ვისიც არა სჯერათ:
- ნეტარ არიან გზიანნი, დადიან უფლის რჯულზედა,
მის მცნებებს უფრთხილდებიან, თან ითარჯავენ გულზედა.
ცუდიც არ ჩაუდენიათ, არ უცხოვრიათ ავადა,
არ შემრცხვებოდა, თუ ვიღწვი წესდების დასაცავადა.
რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმინდე თავისი გზისა?
გულით დაგეძებ, უფალო, ვიფერებ სხივებს შენს მზისა!
ჩემს ბაგეებით ვაწვდიდი სამართალს შენი პირისას,
მცნებათა გზაზე ვხარობდი, ვით ქონებაზე ძვირისა.
მიეც სიკეთე შენს მორჩილს, მუდამ შენს სიტყვას დავიცავ,
თვალთ ამიხილე, რომ ვჭვრეტდე, რა საოცრება გავიცან!
მწირი ვარ ქვეყანაზედა, ნუ დამიმალავ შენს მცნებებს,
შენი მორჩილი შენს წესებს კვლავაც დაიცავს უცილოდ,
ვისაც არ ესმის უფლისა, მანვე სატანას უცქიროს.
სხედან და ჩემ წინააღმდეგ ითათბირებენ მავანნი,
მე არც კი მაინტერესებს, რას იტყვის ავან-ჩავანნი.
მტვერს მიეკრა სული ჩემი, გამაცოცხლე, შემინყალე,
გზანი ჩემნი გაგიცხადე, სამუდამოდ შენ გიწამე,
გზა უფლისა ავირჩიე, ყველაფრის წინ დავაყენე,
მიკრული ვარ შენს მცნებებზე, თუ დავეცი, ამაყენე!
ცქერას ამაოებისა ჩემი თვალი ააცილე,
შენი სიმართლით მაცოცხლე, სიცოცხლისკენ გამაცილე!
ვისაუბრებ მეფეთა წინ შენს მცნებებზე,
განა მასზედ არს უმჯობეს რომელი?
ვლი ხალვათად, არასოდეს არ შემრცხვება,
რადგან შენსა სამართალსა მოველი!
გაუხსენე მორჩილს სიტყვა, რითაც დამაიმედე,
მანუგეშე განსაცდელში, მხოლოდ შენ ერთს მოგენდე,
დამცინოდნენ ამპარტავნი, ვინც რჯულს გადაუხვია,
ვცადე, თუმცა რას შეასმენ ურწმუნოს და უხიაგს!
სიმღერებად იქცა ჩემთვის შენი რჯულის წესები,
ჩემსა საცხოვრებელ სახლში აწ ჟღერს წმინდა ლექსები,
შენთა სიტყვათა დაცვაა, ვთქვი, უფალო, ჩემი ხვედრი,
მთელი გულით შენთანა ვარ, შემიწყალე, ამას გვედრი!
ვინაც შენი მოშიშია, თანაზიარი ვარ მათი,
ვინაც იცავს შენსა მცნებებს, სწორედაც მაქვს მათი ხათრი,
ტყუილს „ჩმახავენ“ ამპარტავანნი ზიზღით და გესლით,
ტალახს არ იკრავს ჩემი სხეული, თუნდ ისევ მესვრით.
კარგია ჩემთვის, რომ ვეწამე... თუნდაც აწ დამწვან ცეცხლში,
მე მინდა რჯული შენი ბაგისა, ვიდრე ოქრო და ვერცხლი!
შენმა ხელებმა შემქმნა და თან შთამაგონა, უფალო,
მოშიშნი გაიხარებენ! უღვთოსა შერცხვეს, უხანოს!
რადგან ტყუილად მჩაგრავენ, უგანაჩენოდ, უწყალოდ,
დადნა მოლოდინში სული, დადნა თვალნი შენი ცქერით,
გამითხარეს ავსულთ ორმო, გადამცელეს ბასრი ცელით.
როდის გაასამართლებენ ჩემს მდევნელებს, ამპარტავნებს,
მათი ურცხვი ბოროტება ქრისტიანებს კვლავაც ავნებს,
შენი ვარ და შენ მიხსენი, ვეძიებდი შენს ბრძანებებს,
მაწამებენ ბოროტები, თუმცა ჩემს სულს ვერ ვანებებ!
რარიგ მიყვარს რჯული შენი დღენიადაგ საფიქრალი,
მტრებზედ მეტად დამაბრძენე... სიცრუის გზა არის მხდალის!
თაფლად ატკბობს ჩემს ბაგეებს სიტკბო შენი სიტყვებისა,
საზრიანი გავხდი, ღმერთო, შენი სიბრძნის ტყვეობისგან,
ბოროტებმა შენსა ერთგულს მახე მრავალგზის დამიგეს,
შენ მაცოცხლებ, ჩემო ღმერთო, ვიცი, მხოლოდ შენ გამიგებ,
ბოროტები შევიძულე, შევიყვარე შენი რჯული,
შემეწიე, რომ გადავრჩე, შენ გენდობა ჩემი გული,
ოქროსა და ბაჯაღლოზე მეტად მიყვარს შენი მცნება,
ვინც სიცრუის გზას მიჰყვება, საბრალოა, ძალზე ცდება,
შენი სიტყვით წარიმართოს ნაბიჯები გადადგმული,
ბოროტს ნუღარ მიბატონებ, ნუ დავრჩები სოფლის მდგმური,
დამიხსენი ჩაგვრისაგან, კვლავ დამიგეს ფეხქვეშ მახე,
წყლის ნაკადი დამდის თვალთა, მომაშუქე შენი სახე!
დამღრნა ეჭვმა, დაივიწყეს მტრებმა უფლის ეს სიტყვები,
განსაცდელი მომეწია, ღმერთო, მხოლოდ შენ გიტყდები,
ჩემმა თვალებმა დაასწრეს განთიადსა, შენაც უწყი,
კვლავ ვსაუბრობ შენს ნათქვამზე გულმხურვალედ, როგორც უწინ,
ახლოს მომდგნენ ის მდევრები, ვინაც რჯულსა ჩამოშორდნენ,
ჩემი ტანჯვა იხილე და ურჯულოთგან განმაშორე,
ჩემი ტანჯვა იხილე და ბოროტისგან დამიხსენი,
შენი წყალობით მაცოცხლე, ეგ ხუნდები ამიხსენი,
ვხარობ შენი ნათქვამითა, ვით მპოვნელი ნადავლისა,
ყველა გზა კი შენსკენ მოდის, შემეწიე მანამდისა,
სიცრუე მძულს, შენი რჯულის ერთგული ვარ მარადისა!
შენგან შველას მე ვნატრობდი, რჯული სასიამოვნოა ჩემთვის,
დე, იცოცხლოს ჩემმა სულმა, შენს სამართალს სული ერთვის,
დავიბენი, ჩემო ღმერთო, ვითარც ცხვარი დაკარგული,
აწ მომძებნე მე მორჩილი გულზე მცნებად დათარჯული.
სანამ მსაჯულს ეახლება, აბო კართან შეჩერდება,
ჯვარს გადასწერს კარს, თავადაც უფალს ლოცვით ევედრება.
მსაჯულის წინ დადგა აბო, უშიშარი და ურყევი,
ამირა მას შეახსენებს: რწმენა ჩვენი არს ურღვევი,
რაა ესე სიტკბოება, რომ ქრისტესთვის თავსა სნირავ?
- შენც იგემებ, თუ იწამებ, სული ზეცას როგორ ფრინავს!
თავად მსაჯულს ურჩევს აბო: ეზიარე სიტკბოს თავად,
განეშორე უმეცრებას, რომ არ დარჩე სულით ავად.
ამირა კვლავ გააფრთხილებს: - სასიკვდილოდ თავს იმეტებ!
- დაე, მოვკვდე ქრისტესათვის, ვინაც დღემდე მაიმედებს,
შენი სიტყვა აღარ მესმის, ვერ შემასმენ ვით ამ კედელს,
წმინდა წყაროს დავეწაფე, ცხადში ვხედავ ღვთიურ ედემს!
გაწყრა, განრისხდა ამირა, ბრძანა თავი მოეკვეთათ.
თვითმხილველნი შეაძრწუნა, ფეხი ლამის მოეკვეთათ!
გახსნეს „საკრველთა“ შეკრული, აბო სამოსს შემოიხვევს,
სასოებით უფლის წინა უმალ პირჯვარს გადაიწერს.
- გმადლობთ, ღმერთო, და მაკურთხე, სამებაო, შენ წმინდაო,
ღირს მყავ მეცა შეუერთდე მოწამეთა მათ ღვთისაო!
რა ესა თქვა გადაიჭდობს ჯვარედინად ხელთ ზურგს თვისსა,
გაბედული გულით ქრისტეს უმალ სულით შეეთვისა,
სამგზის შემართა მახვილი, არ შემდრკალა წამით აბო...
- მე იესოს მივეახლე! - გულში რწმენით ამას ამბობს...
ჯალათი რომ თავსა მოჰკვეთს, არ დაჯერდნენ თავის მოჭრას,
ქრისტიანებს არ ჩაუგდონ აბოს გვამი, ესეც ბოჭავთ,
ახლა ისევ აღივსნენ და შურით მსაჯულს მოახსენეს:
- ქართველები აბოს ცხედარს, როგორც წმინდანს მიასვენებს!
სასწაულებს ახდენს მკვდარი, ტყუილებით პატივსა ცემს,
ამიტომაც ბრძანეთ, გვამი დასაწვავად ჩვენვე მოგვცეს.
შიში ჰქონდეთ ქრისტიანებს, არ გაბედონ ქადაგება!
საგოდებელს აბო დაწვეს, მოწამისა შეკრეს ძვლები...
უმალ მტკვარში გადააგდეს, კრავსა გაუსწორდნენ მგლები!
შიში მტრისა სძლია ერმა, ყველა იქით მიაშურებს,
როგორც ქრისტეს საფლავისკენ... შარავანდედს მია შუქებს...
მიწას იმავ ადგილიდან, როგორც წმინდას აიღებდნენ,
სნეულები განიკურნა, რა წამს ღვთის მადღს მიიღებდნენ.
ღამის პირველ საათზე კი სასწაული მოხდა უფლის,
მოკაშკაშე ვარსკვლავი ცით ფერფლსა სასოებით უვლის...
მეორე დღეს, ღამით წყალი გამოსცემდა ღვთიურ ნათელს,
მტკვრის ზედაპირს უფლის ძალა ცის მნათობზე მეტად ანთებს!
ამ საოცარ ნათელს უცქერს თვით ქალაქის ბინადარნი,
- მარტვილი არს იესოსი, ძე ღვტაების ვინაც არის!
ხუთასწლოვან მორწმუნეებს ქართველთ რწმენა განუმტკიცა,
ყრმა არაბმა თვით ქართველებს ქრისტეს ძალა დაუმტკიცა!
ადრე ამდგარ დღიურ მუშებს, აბო, შენაც არ დააკლდი,
სანატრელო მოწამეო, ვით ზვარაკი ზედ დააკვდი,
ქართველების სიფხიზლისთვის შემოჰკარი მძლავრად ზარი,
მეთერთმეტე ჟამის მუშაკს გახსნილი გაქვს ზეცის კარი!

ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი.
23 ნოემბერი, გიორგობა, 2017 წელი.

1. ნერსე - ქართლის ერისმთავარი.
2. მუმნი - ხალიფა.
3. მაჰდი - ხალიფა.
4. ხაზარეთი - ჩრდილოეთ კავკასია, ქრისტიანები ცხოვრობდნენ.
5. სტეფანოზი - ნერსეს დისწული, ერისმთავარი.



შოთა ლეჟავა

***

სანთელი ვარ მთაწმინდის და სიონის,
სისხლი მე ვარ არაგვ-მტკვრის და რიონის,
შვილი მე ვარ დიდი შოთას ქვეყნისა,
სისხლის წვეთი მე ვარ ქართველ ერისა,
ცრემლი მე ვარ ხალხის ბედისწერისა,
მტვერი მე ვარ წინაპრების ძვლებისა,
ფარ-ხმალი ვარ საქართველოს მტრებისა,
ღმერთს ვუმადლი ამას, უფალს ზეცისა,
სისხლი მე ვარ რუსთაველის გენისა,
ჯიში მე ვარ ლომებ და ვეფხვებისა,
მომავალი მისი ბოკვერებისა,
არწივი ვარ კავკასიის მთებისა,
შრიალი ვარ მართვეების ფრთებისა,
მაძღარი ვარ ჩემი ბედის კვერისა,
რომ დიდხანს ცხვა, ცხვაო კვერი ერისა,
იმედი ვარ ხვალინდელი დღეისა,
ოხვრა მე ვარ ღმერთის წილხვედრ მიწისა,
მუზა მე ვარ უფლის მიერ ზეცისა,
რომ ეს მუზა ნაჩუქარი უფლისა.

***

არეულ საუკუნეში
არეულადა ვწერ,
არეულად ვუბერავ და
არეულად ვუსტვენ.
არეულად ვლაპარაკობ,
არეულად ვმღერი,
აქეთ-იქით ვიხედები,
ვითმე, როგორც შტერს,
ხმა მომესმის ზოგიერთის,
ვაი, დედაშენს,
ვერ ხედავენ ჩემ თვალებში
მომავალის მზეს.
ვარსკვლავ ბედზე დაბადებულს,
მე ჩემს ურემზე
აღარავინ არ მილოცავს
დაბადების დღეს.
მილოცავენ კი არა და
რატომ გაუჩნდი დედაშენს,
ღამით მთვარე დამნათოდა,
დღისით კიდევ მზე,
ქრისტე იშვა საპირეში,
მე კი ურემზე,
ჩემო შოთა, ნუ ნებივრობ
ღრუბლებს ზედა ცაში,
ჩამო ჩვენთან დიდ სოფელში,
ყრუ-მუნჯ-ბრძენ-ცრუ ხალხში.
მაინც ვეღარ დაარწმუნებ
სოფელს, კაცთ ნაშიერს,
რომ ვუყურებ მე გიგონებ
შენ მწყურვალე მშიერს.

***

ძაღლი ყეფს და ქარავანი
ისევ მიდის თავის გზითო,
საქართველო ვერ გავიგე
საით მიდის, რომელ გზითო,
ვიცი, მიდის, საით მიდის
და არ ვიცი, რომელ გზითო.

***

ყველა იძახის - მე, მე, მე,
არავინ იძახის - შენ, შენ, შენ,
ერთად ვიმღეროთ სიმღერა
მრავალჟამიერ - მე და შენ,
ერთად დავსხდეთ და დავლიოთ
ქართული ღვინო მე და შენ.
კაჟს-აბედს კვესი ჩამოვკრათ,
ცეცხლი დავანთოთ მე და შენ
და გავაბოლოთ ჩიბუხი.
ქართულ მიწაზე მე და შენ,
გამოიღვიძე, ქართველო,
ხელი ჩავკიდოთ მე და შენ.

***

ჩემი ხორცი მიწა არი
და ლურჯთვალა ზეცა-სული,
ვით ვულკანის ამოფრქვევა
ჩემს მიწიდან ამოსული.

***

ფრთაფარფატა მტრედო,
მომეც შენი ფრთები,
ციდან დავინახო
ჩემი ლურჯი მთები.

***

სანამდე, შოთა, სანამდე,
ლამაზი შენ ხარ მანამდე,
სანამ პირში სული გიდგას,
მანამდე, შოთა, მანამდე.
შიგნეულს გამოგიღებენ,
როგორც თომას მორივით
და მდინარის ზედაპირზე
დაგიგდებენ მორივითო.
იცურავე ჯერ ზღვაში და
მერე ოკეანეშიო,
ჩიჩიას რომ დავინახავთ
ზვიგენების კბილებშიო.
სანამ, შოთა, ლამაზი ხარ,
დაახვიე მანამდეო,
ეგ დროც მოვა, რომ იცოდე,
ამინ - უკუნისამდეო.

***

საქართველო, შენი მიწის
წყაროს ხმით ირაკრაკეო,
ნუ დადიხარ, საქართველო,
სხვისი ქვაბის რაწკუნზეო.

მიკვირს, არ მიკვირს

ცას და მიწას შორის მე ვარ,
ჯოგთა ურდოს ახლა შვილი,
მილიარდი წლების უკან
მე პირველი ვიყავ შვილი.

მილიარდი წლების შემდეგ
მე ვიქნები შვილის შვილი
და დავრჩები ქართულ მიწის
შვილთა შვილის, შვილის შვილი.

***

ზღვაზე ფრენენ თოლიები,
როგორც ჩემტან მერცხლები,
ზღვისპირეთის სიყვარულში
ისევ შევივერცხლები.
ვიცი, რომ მოფრინდებიან
ჩემი ბუდის მერცხლები,
ჩემს ბუდეში დავინახე
ჭორფლიანი კვერცხებიო
და რომ ვხედავ, აღარ მინდა
არც ოქრო და ვერცხლებიო,
ინავარდონ ზღვაზე - ხმელეთზე
თოლიებმა - მერცხლებმაო.
დაიჩეკონ ზღვაზე - ხმელეთზე
თოლის - მერცხლის კვერცხებიო.
კვლავ იფრენენ ზღვაზე - ხმელზე
თოლიები - მერცხლებიო,
ზღვისპირეთის სიყვარულში
ასჯერ შევივერცხლებიო.

***

მიყვარს ჩემი სიონი და
ნარიყალა, მეტეხ, მტკვარი,
ჩემი ძველი თბილისი და
და მთაწმინდის მთვარე წყნარი.

მიყვარს ჩემი ძველი მცხეთა,
სვეტიცხოვლის მაღლა ჯვარი.

***

სოფელო, ჩემო სოფელო,
ყრუ-მუნჯი-ბრმა ხარ, სოფელო,
ბოღმით და შურით სავსე ხარ,
მიყვარხარ მაინც, სოფელო.
სოფელო, ჩემო სოფელო,
ახლა გავსინჯო გემოო,
ისევ ის დარჩი, სოფელო,
ახლით რით დავიჩემოო.
ვარსკვლავის ბედზე ვშობილვარ
და ვმღერი, თავო ჩემოო,
ურემზე დაბადებული,
ჩემო ურემო, ჩემოო.

მე და ჩემი დედამიწა

„დედამიწა ავიკიდე
ზურგ ზე ბარგი-ბარხანით“.

დედამიწა ბრუნავდა და ახლაც ბრუნავს
და იბრუნებს - ვიცი,
ქარავანი მიდიოდა, ახლაც მიდის,
ისევ წავა - ვიცი,
ძაღლი ყეფდა, ახლაც ყეფს
და იყეფებს - ვიცი
და მამალი ხომ ყიოდა, ახლაც ყივის
და იყივლებს - ვიცი.

***

დედამიწა აღარ ბრუნავს - რატომ?
ქარავანი აღარ მიდის - რატომ?
ძაღლი არ ყეფს - რატომ?
და მამლებიც არ ყივიან - რატომ?
მე და ჩემი დედამიწა
მივქრით ბარგით - ბარხანით,
დავბრუნდებით როდის... გეტყვით,
ჩვენ მივდივართ დიი-დიი ხნითო.
მარტო ვიყავი, ახლაც მარტო ვარ,
მე თვითონ ვიცი, როცა მოვკვდები,
ჭირისუფალი ჩემი იქნება
ეს დედამიწა, თუ დავბრუნდები
დედამიწა გაჩერდაო რატომ,
ეს მე ვიცი მარტომ.

***

ტყემ მოიცვა საქართველო
და მამალი არა ყივის,
დაგვავიწყდა გემო ღვინის,
გემო ჭაჭის არაყის.
დაგვავიწყდა ღადრის მჭადი,
ყველი ჩვენი ძროხის რძის,
დაგვავიწყდა მუგუზლები
ბუხარს კვამლი არ ასდის.
და ბუხარში დედაჩემი
ცეცხლზე კეცებს არა ყრის,
დიდი კეცის კეცი მიდის,
მჭადი კეცზე არა ცხვის.
მსხლების ბაღში ჭრი-ჭრი, ჭრი-ჭრი,
ჭრიჭინები არა ჭრის,
ჭურ-მარანში ბაყაყები ყის, ყის, ყის.

„შენ ხარ ვენახი“ მამულში,
მამა ვენახს არ თოხნის,
მამა არაყს არ ხდის
მისი ფეხის ნატერფალში
წვიმის წყალი ახლაც დგის
და მის სახეს ვერა ვხედავ,
თვალებიდან ცრემლი მდის,
მისი ლანდის მოჩვენებით
მე სამშობლოს ვალს ვიხდი.

გამარჯობა, შოთა, ძვირფასო!

სოსო სიგუას
საუბარი ტელეფონით

ვინაა შენი ძვირფასი,
ავყვირდი ტელეფონშიო,
არავის ჩემთვის უთქვია
ეგ სიტყვა ცხოვრებაშიო.
და ვისთვის ძვირფასი
და ვისთვის ფასი
და ვისთვის ალმასი
და ვისთვის თასი.
მეორემ გაიმეოროს
ეგ სიტყვა კიდევ, „ძვირფასო“,
მისთვის ვიქნები თასი და
მისთვის ვიქნები ალმასი.
მაპოვნინე მე ის კაცი,
შოთას გული ალალ მისი.

***

შევინარჩუნოთ მიწა მთლიანად,
შევინარჩუნოთ ომახიანად,
შევინარჩუნოთ ხანჯალ-ხმლიანად,
შევინარჩუნოთ ზღვიან- ციანად,
შევინარჩუნოთ მიწა მთლიანად,
შევინარჩუნოთ ნამცეციანად,
„შენ ხარ ვენახი“ მამულიანად,
შევინარჩუნოთ ქვევრები ჩვენი,
შავი ღვინით და ხვანჭკარიანად,
შევინარჩუნოთ ღმერთის წილ-ხვედრი,
მიწა მზით, მთვარით, ვარსკვლავიანად,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტიანად.

***

ეხ, ჩემო ბედო,
სად ხარ კვეს-აბედო,
რომ შენს ნაპერწკალს
ფასი დაედო.

***

ნუ გეშინია, შენი ფეხის ხმის,
ნუ გეშინია, თოვლი როცა ცრის,
ნუ გეშინია, წვიმა როცა წვიმს,
ნუ გეშინია, ღვთის სანთელის წვის.

ნუ გეშინია, ნუ გეშინია,
ნუ გეშინია, შენი ფეხის ხმის.

ნინო ბიჭიკაშვილი

დებიუტი

საქართველო

ზეცა ღრუბლიანო, სახე ნაღვლიანო,
ფრთაჩამოტეხილო, გულით ნატირალო,
სისხლებდადენილო, სულით დარდიანო,
ჩემო საფიქრალო - შენ ხარ საქართველო.
სხეულდაგლეჯილო, ვენებდასერილო,
თვალებცრემლიანო, ჭაღარათმიანო,
მუხლებმოდრეკილო, ლოცვად გადამდგარო...
ჩემო სალოცავო - ჩემო საქართველო...
ველებდაქარგულო, მთებგადაკალმულო,
ვარდებიანო, გვირილიანო,
სამოთხედქცეულო, მიწამადლიანო,
ჩემო საამაყო - შენ ხარ საქართველო...
ღამეებნათევო, ნაზიარებელო,
მუდამ მვედრებელო, უფლის მნებებელო,
დიდგულიანო, დიდსულიანო,
ჩემო ფრთანათელო - შენ ხარ საქართველო!
ჩემო ვარმიანო, მაინც სალმიანო,
ჯვარზე მიჯაჭვულო, ლოცვა მადლიანო,
გროშად გაყიდულო, ჩემო ბრილიანტო,
ჩემო ფრთანათელო - შენ ხარ საქართველო!

მოგონება საარსებო

ფოთლებს არხევს ქარი შენგან მონაბერი,
მოჩუხჩუხებს მოწყენილი წმინდა წყარო,
შენი სუნთქვის თითოეული მონაბერი,
შენი თმების სურნელება საარაკო...
შენს პერანგზე დატოვილი ჩემი სუნთქვა,
შენს მკლავებზე სურნელება ჩემი,
საამური, ბრაზიანი შენი კოცნა
და ქალური სიხარული ჩემი...
შენი სულის ეგოისტი ქარიშხლები,
სიყვარული წამწამებზე მოელვარე,
მოფერებით შევსებული ნაპრალები,
ამ გრძნობისთვის ინთებოდა ცაზე მთვარე...
თავს მახსენებს ჩემს თვალებში შენი ლანდი,
ის მუსიკა, წარსულიდან მონაბერი,
მენატრება ჩემს ეზოში შენი კვალი,
ნაწვიმარზე სიოს მკრთალი დანაბერი...
დამრჩენია საარსებოდ მოგონება,
ყვავილებზე სურნელება შენი,
კაბაჭრელა ცისარტყელას თანადგომა
და ქალური სიხარული ჩემი.

ივლისში თოვა

მოდი, მოგიყვე ცხოვრების ნისლი,
მოდი, მოგიყვე დარდების თოვა,
ნაღველმა როგორ დაბარდნა გულში,
როცა შეწყვიტეს იებმა თოვა...
როგორ ათოვდა დარდები ბაღებს,
როგორ ჩამიკრა ტკივილმა გულში,
როგორ გაყინა შენს მოსვლამ ბაგე,
როცა აპრილი დგებოდა გუშინ...
როგორ სტკიოდათ ლოყებს იარა,
მღვრიე ნიაღვარს სულის ნოტები,
როგორც მყინვარი მნათობის მოსვლას,
სულში სუდარებს ჰფენდნენ გოდებით...
მოდი, მოგიყვე ივლისში თოვა,
მოდი, მოგიყვე ჩემი ზამთარი...
მოგიყვე - სხივის ნანატრი მღვიმე,
მისი განვლილი წლების ავდარი...
როცა მარტო ვარ დარდებთან მაშინ,
როცა ბავშვი ვარ მამის წინაშე,
როცა ჭაღარა დამათოვს თმაში,
როცა დავდგები ღმერთის წინაშე...
მოდი, ისმინე იანვრის ქროლვა,
ტრიალ მინდორზე ვეფხვის ღმუილი,
უიღბლობისას ნათქვამი ლოცვა,
ცრუ წუთისოფლის მწარე ტყუილი...

შემოდგომა

უკვე მოხუცდა, გულმა იგრძნო წარსულის
დარდი,
ლაღი ფიქრების შემოქროლვას გული
ვეღარ გრძნობს,
სხეული დადნა, დაძაბუნდა, როგორც
ლაჟვარდი,
მზის გადახრისას დაღამებას რომ
თანაგვიგრძნობს...
სევდამორეულს აღარ ძალუძს კვლავ
გაღიმება,
ფერწასულ ფოთლებს აღარ შვენით ლაღი
ღიმილი,
იქნებ, ის დროა, რომ დაწეროს მან აღსარება,
იქნებ, გაუქრეს დამჭკნარ სახეს დაღი
ტკივილის.
გავიდა ხანი, როგორ მალე გავიდა ხანი,
გუშინ არ იყო, ნუში თეთრად გადაპენტილი?
გუშინ არ იყო, რომ მერცხალმა მომიყვა
რაღაც?
რაღაც საამო, თბილ ქვეყნებში გადახდენილი?
დარდჩამდგარ თვალებს სევდა უფრო
მოსძალებია
და ელოდება, სამუდამოდ როდის ჩამოთოვს,
დაასამარებს ჭრელ სამოსელს თეთრი
ფანტელი
და მის ქალურ შარმს საქართველოს მიწას
შეატოვს...
სუსხია ყველგან, სუსხი სულში, სუსხი სხეულში,
მომკვდარა ირგვლივ ყველაფერი, რაც
ლამაზია,
აღსარებაა ქვეყნად მისი ბოლო სათქმელი,
სიკვდილის წინ ხომ აღსარება ანდამატია...
გულგატეხილი თვალებს ნაბავს, ნებდება
სიკვდილს,
სასოწარკვეთილ თვალებს ცრემლი
მოსძალებია,
დათოვლილ მკერდით მაინც ამბობს
იმედიანი:
„განვმეორდები, თეთრი ფიფქიც
წარმავალია“.
დაჰბერავს ქარი, ააშენებს ფაფუკ გორაკებს,
დათბილულ სახლებს დაამშვენებს
თეთრი სტაფილო,
ყინვა ნებივრობს და ერთ მყუდრო
ოთახში ცელქი
გოგონა იტყვის: „არ მიყიდე ქურქი, მამილო?“
მორბის მდინარე, მოაქვს რაღაც კარგი
ამბავი,
მერცხლებიც ცაში სასიმღეროდ ყელს
იღერებენ,
ჯეჯილიც წელში იმართება და ხმაშეწყობით
კვლავ დაბრუნების მრავალჟამიერს
იმღერებენ...

თამილა გოგოლაძე

წიგნი ღირსეულ ცხინვალელ მამულიშვილზე

რამდენ ტკივილად მოღელავს ლიახვი, რამდენ სევდას იტევს ცხინვალსა და ცხინვალელებზე დაწერილი თითოეული სტრიქონი. ერთი ასეთი წიგნი სულ ახლახანს გამოჩნდა ქართული წიგნის თაროზე. ესაა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრის, ბედისწერით ცხინვალიდან იძულებით გორში გადმოსახლებულის, ბატონ რობერტ ოდიკაძის წიგნის „ცხინვალის მემატიანეზე“, ცნობილ ქართველ მკვლევარ-ისტორიკოსზე, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. გორში) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანზე, პროფესორ მიხეილ ცოტნიაშვილზე, რომელსაც 80 წელი შეუსრულდებოდა...

მასალა წიგნისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე გროვდებოდა რობერტ ოდიკაძესთან. ის იყო შემსწრე და მომსწრე ყველა მომენტისა ბატონ „მიხეილის ცხოვრებიდან, გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე, რომელსაც თვით ბატონი რობერტი რედაქტორობდა, ნაცნობებისაგან, ახლობლებისაგან, კოლეგებისაგან, ცხინვალში დარჩენილებისაგან, განურჩევლად ეროვნებისა სისხლი ეწურებოდა ავტორს ცხინვალელთათვის საყვარელი ადამიანის უდროო გარდაცვალების გამო, ცხინვალზე სევდით რომ აღესრულა, გულზე გადავლილი სევდით.

რ. ოდიკაძე მოგვითხრობს მ. ცოტნიაშვილის, როგორც ისტორიკოსის წვლილზე, რომელმაც თავის „ცხინვალის ისტორიაში“ გამოწვლილვით შეისწავლა ქალაქის წარმომავლობა, რომელიც, მისივე აზრით, მცენარის, რცხილის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს, მისი ძველი უბნების ისტორიაზე, ქალაქის უძველეს ტაძრებზე და ისტორიკოს ლექტორის ბიოგრაფიაზე...

„უმაღლეს სასწავლებელში აღმზრდელის სამაგალითო თვისება სტუდენტი-ახალგაზრდობისა და ისტორიული მეცნიერებისადმი ენით აღუწერელ სიყვარულზე აღმოცენდა, რაც, ამავე დროს, სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის მყარ საფუძველს ქმნიდა. ჭეშმარიტი მეცნიერი, მწერალი და ჟურნალისტი, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ერთხანს შეთავსებით ისტორიისა და საზოგადომცოდნეობის კათედრასაც განაგებდა. ამავდროულად ხელმძღვანელობდა საქართველოს საერთაშორისო „ცოდნის“ ცხინვალის რეგიონულ განყოფილებას“ (გვ.14) აქვე რ. ოდიკაძის თვალი ცოტნიაშვილთა გვარის წარმომავლობის საკითხსაც სწვდება, ცდილობს რა მოიშველიოს დოკუმენტური მასალა.

„მედგრად იდგა ბედკრულ ცხინვალელებთან, უამრავ ნაცნობ-მეგობრებთან, იმ ადამიანებთან, რომლებსაც ქართველებისაგან გამოხშირული ლიახვისპირა ძირძველი ქართული ქალაქის გოდება გულთან ახლოს მიჰქონდა... საოცარი, კაცურკაცობის რაღაც განსაკუთრებული იერი ამშვენებდა. ყველას მაგნიტივით იზიდავდა. ბობოქარი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ერთფეროვნებას გაურბოდა, თანამემულეთათვის თაფლის სანთელივით იწვოდა და ანათებდა...“ (გვ.21).

მკითხველს თვალწინ გადაეშლება არამარტო ამ ერთი გამორჩეული ცხინვალელის, არამედ მთელი ქალაქის ყოფა შორ თუ უახლოეს წარსულში...

90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების ისტორია, იქაურ-აქაურთა, ცხინვალის უნივერსიტეტში მომუშავე კოლეგების (ვ. ახალაიას, ნ. მესხრიკაძის, ზ. ცოტნიაშვილის, ვ. სომხიშვილის, შ. ქურდაძის, რ. ბაქრაძის და სხვ.) თვალით დანახული მიხეილ ცოტნიაშვილი და განსაკუთრებით თავები „ვაი, რა მუხა წაიქცა“, ჩანაწერები მიხეილ ცოტნიაშვილის ცხოვრებისეულ მომენტებზე, ფოტოობიექტივად დაჭერილ წუთებზე...

წიგნს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია, თითოეული ბწკარი წიგნისა გახარებს ღირსეული მამულიშვილის დაფასების გამომხატველი განცდის უშუალობით და ტკივილიანი სევდით...

სიყვარული ყველას არ შეუძლია. ბატონ მიხეილს შეეძლო და სწორედ ამითაა გამსჭვალული წინამდებარე წიგნიც. ამიტომ უწოდა რ. ოდიკაძემ წიგნს სახელად „ცხინვალის მემატიანე“...

წიგნის რედაქტორები არიან გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი მზია ზანგალაძე და თინა კვაღინიძე, მხატვარი ლევან მჭედლიძე. გამოიცა ეს შესანიშნავი წიგნი „უნივერსალში“, 2017 წელს.

ახალი ჟურნალი

ყოველი ახალი ლიტერატურული ორგანოს გამოსვლა მოვლენაა და ჩვენთვის მით უფრო სასიამოვნო და მისასალმებელია ჟურნალ „ისინდის“ დაბადება, რაკიღა იგი გახლავთ ჭეშმარიტად ეროვნული, ობიექტური და პროფესიონალ მწერალთა რაზმისგან წარმოქმნილი ჟურნალი.

ჟურნალს რედაქტორობს მკითხველისათვის კარგად ცნობილი მწერალი იკა ქადაგიძე, რომელიც თავის პრინციპულობას და ობიექტურ სვლაგეზს არც ამჯერად ღალატობს.



ნიკოლოზ იოსებიძე

გამოვიდა ცნობილი პოეტის, სატირიკოსის და მეცნიერის ნიკოლოზ იოსებიძის რჩეული ლექსების კრებული.

ვულოცავთ ბატონ ნიკოს დაბადების 80 წლის იუბილეს და ვბეჭდავთ რამდენიმე ლექსს მისი რჩეულიდან.

მტრობა ზეიმობს ჯერ არნახული

უპატრონობით ხმება ბერმუხა,
„მუმლმა“ დაიწყო მტვრევა ტოტების,
აქამდე ქართველს უნდა ექუხა,
მაგრამ დრო არის დონ კიხოტების,
ამაოდ ებრძვის ქარის წისქვილებს
მბჟუტავი სული ქართველი კაცის,
მუშტების ქნევით ვერ მოიცილებს,
ამდენ გამყიდველს, მტერსა და მაცილს.
დაკნინებული ჯიში ქართული,
მისძალებია ხალხი ლოთობას,
ქართველი კაცი ყანწშემართული
სუფრაზე ავლენს პატრიოტობას.
დროა ღალატის, ცრუქართველობის,
არაკაცობის, მტრობის და სიძვის,
განცდით ქართველთა უდარდელობის
წინაპრის ძვლები სირცხვილით იწვის.
აღმაშენებელს მშფოთვარე დარდით,
ალბათ, მდუღარე ცრემლები სცვივა,
წმინდა ქეთევანს, ნაწამებს შანთით,
წაგვრილი მიწაც მკერდივით სტკივა.
სამგლოვიაროს რეკავს მთაწმინდა,
ბანს აძლევს ზარზმა, ოშკი, ხახული,
თამარ დედოფლის თვალზეც გაწვიმდა,
მტრობა ზეიმობს ჯერ არნახული.

თქვენ, ვითომ ევროპელებო!

როგორც ბავშვს ძუძუ გამშრალი,
რომელსაც თვითონ გამოსწოვს,
ისე ზოგს თავის სამშობლო,
„გამოწოვილი“ არ მოსწონს.
არ მოსწონს სიტყვა ქართული,
ენის, ადათის ძველობა
და მოიგონა ქართველის
საეჭვო ევროპულობა.
თქვენ, ვითომ ევროპელებო,
წადით, ადგილი დაცალეთ!
„გოიმ“ ჭაშმარიტ ქართველებს,
ეროვნულობა აცალეთ.
ოღონდ, ნავაჭრი დატოვეთ
გაყიდულ ქართულ მიწა-წყლის,
თან გაიყოლეთ მყიდველი,
მიწას ხელიდან ვინც გვაცლის,
ჩემი ლამაზი მთა-ბარი,
შემკული მწვერვალ-ჭიუხით,
ყანა, ბაღი და ვენახი,
მირონცხებული სიუხვით.
მამული, ენა, ღვთის მადლი,
დედის ნამღერი ნანინა,
მტერმა მომხდურმა ვერც ერთზე
ხელი ვერ დაგვაბანინა.
ჩაკრულო, მრავალჟამიერ,
წინწყარო, ხასანბეგურა...
დიაცს ნამუსად მანდილი
და ვაჟკაცს ქუდი ეხურა.
ღმერთო, გვიშველე, ავისმქნელს
შენ დაუმოკლე ხელები
და მოგვაცილე თავიდან
სამშობლოს გამყიდველები!

შეგონება

ნუ წაუკითხავ მშიერ კაცს მორალს,
რომელსაც პური არსობის უჭირს,
ნურც მდიდარ მაძღარს, რბილ ტახტზე
მგორავს,
გაცხოველებულს და მონას კუჭის.
ნებისყოფა და ტანჯვის ატანა,
ღმერთმა განსაზღვრა წმინდა იობით,
უნდა დავთრგუნოთ ჩვენში სატანა
და ვიარსებოთ ზნეობრიობით.
განა სიცოცხლე იმად ღირს მხოლოდ,
რომ მუცელპურად იცხოვროს კაცმა?!
კაცურ მიზნისთვის ბოლოს და ბოლოს,
ქრისტესმიერი ჯობია ჯვარცმა.

განაჩენი

კაცის კაცური იერი მომწონს,
ქალისა, მხოლოდ დედაკაცური,
გულს მირევს ვაჟი ნაწნავდაწნული
და საქციელი არაკაცური.
არც „ვაჟკაცური“ ქალები მიყვარს,
ალკოჰოლის და თამბაქოს მონა,
მე მებრალება, პატრონი ვინც ჰყავს,
უპირველესად „ბიჭი-გოგონა“!
იყავ ისეთი, როგორიც გშობა
კურთხეულ დედამ, მაცხოვრის
მადლით,
ვაჟებსა გმართებთ ქალების ქმრობა,
ქალებს დედობა - მამულის ხათრით.
უფლის გმობა და გარყვნილებაა,
თუ მამაკაცი კაცს ირთავს ცოლად,
უბინძურესი დაწყვილებაა,
ქალისთვის ქალის მეუღლედ ყოლა.
უფალმა ღმერთმა იმიტომ შექმნა
კაცად ადამი და ქალად ევა,
კაცობრიობის საწყისი სრულქმნა,
მკრეხელობაა მისი დარღვევა.

ვშიშობ, მზეც არვინ წაგვლიტოს

სხვა საქართველო სად არის,
სხვა გელათი და ვარძია?!
დიდება, ვინაც დავითის
აკვანი გადაარწია.
ვინც გაწვრთნა მეფე გიორგი,
ვინც თამარს ძუძუ აწოვა,
ვინც რუსთაველის სამშობლო,
აყვავებული დატოვა.
მთელი სამყარო არ ღირდა
სვეტიცხოვლად და მცხეთადა,
ღვთივკურთხეული ქვეყანა
გვიქციეს ჯოჯოხეთადა.
გვჯიჯგნეს და გვჟუჟეს მტარვალთა,
ძუძუმწოვრიდან კაცამდე,
რომ არა მტრები, დაგვთვლიდნენ,
დღეს რომ ვართ, ალბათ, ათ იმდენს.
შერჩათ, რაც გვხოცეს წარსულში,
ყაენებმა და შაჰებმა,
შემდეგ ამ ბინძურ „ბიზნესში“
„დიდი“ რუსეთიც ჩაება.
ორასი წელი გვიმონეს,
ვერ მიაღწიეს საწადელს,
შანსი მოგვეცა ქართველებს
ურუსოდ შევხვდეთ ახალ წელს.
დღეს ყველა ერთად ჩალიჩობს,
ქართველის გადაჯიშებას,
ნერგავენ უკონტროლობას,
ხალხის ნებაზე მიშვებას.
ნერგავენ ნარკომანის,
უზნეობას და სიბილწეს,
ამიტომ არის, ქართველებს
გული სხვაგან რომ მიგვიწევს.
ვშიშობ, მზეც არვინ წაგვლიტოს,
მინდა, ჩვენი მზე აქ ენთოს
და საქმე საქართველოსი
ქართველმა კაცმა აკეთოს.

ძარცვა-გლეჯის ათწლეული

მინისტრები მოვხსენით
ქვეშევრდომთა
თანხლებით,
მაგრამ თან გავატანეთ
მოპარული თანხები.
უფრო გასუქდებიან,
ჩვენ კი უფრო გავხდებით,
მერე მოვლენ ახლები,
ვაშა-ტაშით დავხვდებით.
გაქურდავენ ხაზინას,
ქურდი მამაძაღლები,
კიდევ მომრავლდებიან
სრა-სასახლე-სახლები...
მგელსაც შეუჭამია
თხა, სხვა თხაზე ნაკლები,
ფულში ჩაიხრჩობიან
პრეზიდენტის მძახლები,
ჩვენ პრობლემად გექნება
საკვები და წამლები,
მე ისევ ძველებურად
წამხდარ ნერვებს ავყვები,
ისევ იფუთფუთებენ
ჩემს ჯიბეში თაგვები.
კვლავ გაყინულ ლოგინში
„ბათინკებით“ ჩავწვები,
ქირებს, ხარჯებს ოჯახის
ვერაფრით ვერ გავწვდები
და ჩემს ხსოვნას შერჩება
ძარცვა-გლეჯის ათწლედი!

დღეს-ხვალ მამული დაგვრჩება ოხრად

არ მომწონს ვაჟი ნაწნავდაწნული,
შემოჭერილი რეზინის რგოლით,
ქართველი ქალი, აქოთებული
ალკოჰოლით და თამბაქოს ბოლით.
ტრაგედიაა „კეკლუცი“ ვაჟის
დედაკაცური მიხრა და მოხრა,
სიკვდილის ბუზი კეფაზე გვაზის,
დღეს-ხვალ მამული დაგვრჩება ოხრად!
დიახ, გახდება მტრების საჯიჯგნი,
თუ დავივიწყეთ ჩვენი ადათი,
უნდა გავთვალოთ ყველა ნაბიჯი,
შევინარჩუნოთ შნო და ლაზათი.
„ევროპულ მოდელს“ და ჩვენს
საქციელს,
დღესვე წერტილი თუ არ დავუსვით,
უცხო ჩვევებმა მთლად დაგვაქციეს,
გაუფასურდა სინდის-ნამუსი,
ღმერთო, გვაღირსე დრო დადგეს
კვლავაც,
ასრულდეს ჩვენი გულის წადილი,
სიწმინდედ ჰქონდეს ქართველ ხალხს,
მამაცს,
რაინდობა და ქალის მანდილი!

ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!

კაცსა, რაც მოეხუშტუროს,
განა ყველაფერს ქმნა უნდა,
სამშობლოს დაცვა სჭირდება,
თორემ გაყიდვას რა უნდა?!
ასე ნელ-ნელა ქვეყანა
სხვაზე თუ გაიყიდება,
პასპორტში ეროვნულობის
ჩაწერაც არ დაგჭირდება.
„რა დიდებული აზრია“ –
სხვებზე გაყიდვა მამულის,
ყველა თმა ყალყზე მიდგება,
რომ მახსენდება წარსული.
რა ძალა ედგათ წინაპრებს,
თუნდაც იმ სამას არაგელს,
ხომ სწამდათ, საფლავების მეტს
არ მიიღებდნენ არაფერს.
ან იმ ცხონებულ თევდორეს,
ცხრა ძმას, ცხრა ხერხეულიძეს,
სამშობლოს საძირკველში ხომ
მათი ძვლები და სული ძევს.
რა ძალა ედგათ დემეტრეს,
დავითს, თამარს და ერეკლეს,
დღეს თუ ქვეყანას გაყიდდით,
მტრებს თავი რატომ შეაკლეს.
ვის მოუვიდა ეს აზრი,
ნეტავ, მამულის გაყიდის,
საზღვარგარეთში გადების,
ვითომდა საძმო გზა-ხიდის?
მას, ვისაც ხელეწიფება,
ვისაც „ხმა ამოეღება“,
ვინც ჩვენი დროშა ოცნებით
უცხო ფერებზე შეღება,
ვისაც ფეხებზე ჰკიდია
ქვეყნის აწმყო და წარსული,
ვისი ხელითაც ქვეყანას
უკვე ჯვარი აქს დასმული!
ღმერთო, საკადრი მიაგე
მტერს, გამყიდველს და უკეთურს,
ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!
ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

***

ნელ-ნელა ვცოტავდებით,
კრიზისია ქართულ ჯიშში,
ნუთუ მართლა ვეღარ ვხვდებით,
სხვებს გვითვლიან ანგარიშში.
უცხოელის აქ მრავლობა,
ვერ გავიგე, რაში გვაწყობს,
არ სჭირდება ყალბი ძმობა,
არც წარსულს და არცა აწმყოს.
ღმერთმა ყველა გაამრავლოს,
ევლოთ წინაპრების კვალზე,
ოღონდ თავის მიწა-წყალზე!
ოღონდ თავის მიწა-წყალზე!

ნემა ელიზბარაშვილი

ფერიცვალება

ვუძღვნი ჩემს ძმას ნოდარს

ღამეა.

ცხელა.

ძლიერი ქარი ქრის. ფოთლების გამაყრუებელი შრიალი და ჩამოყრილი ხილის ბაგაბუგი აყრუებს არემარეს.. სხვა დროს ღამღამობით მდინარის წყლის ჩქამი აქამდეც აღწევს, --- ახლა ქარისაგან ყურთასმენა აღარაა.

ძილი არ მეკარება. ღამის სიბნელეს მიყურადებულს დროდადრო მეჩვენება, რომ ქარი ჩადგა... მოულოდნელობისაგან გული სიხარულისაგან გადამიქანდება... მაგრამ არა, ეს ქარი სუნთქავს, წამიც და ძლიერად შეუბერავს. ქანცგაწყვეტილი ღამეს ძილბურანში ვატარებ.

დილით ქარის თავაწყვეტილი ნავარდისაგან ნაადრევად ჩამოყრილ ფოთლებს ვათვალიერებ მკვახე ნაყოფებითა და პაწაწინა რტოებიანად ჩამოცვენილს.

გვალვისაგან მდინარეში წყალმა ისე დაიკლო, რომ სოფლის წისქვილი ვეღარ ფქვავს. წყლისა და მოსვენების მოლოდინშია მიწა და ყველა სულდგმული.

ქარისაგან გამთენიისას მამლები აღარ ყივიან და დღისით ქათმები საქათმიდან ვეღარ გამოდიან. ჩემმა რძალმა საკენკი საქათმეში დაუყარა.

გუშინ მდინარეზე ჩავედი საბანაოდ, მაგრამ სანამ შინ მივიდოდი ქარისა და სიცხისაგან ისევ გასაბანებელი გავხდი. დაწოლის წინ გრილი შხაპისათვის აბაზანაში შევედი. აბაზანის კედლებზე შავი ტარაკანა დაცოცავდა და წვალობდა, კედლის ნახევრამდე რომ ავიდოდა ისევ შიგ ვარდებოდა.

დასაძინებლად დავწექი. ქარი ანგრევდა არემარეს. ღამით პატარა ბიჭუნას ტირილმა გამომაღვიძა, დედას ითხოვდა. პატარას ბებო და ბაბუ მზრუნველობას არ აკლებენ, მაგრამ როდესაც მშობლები ენატრება, მოხუცების წუხილს საზღვარი არა აქვს...

ვიხსენებ როგორ დაიწყო ყველაფერი... ჯერ დიდი ხანი გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავით, შემდეგ საბაზრო ეკონომიკა დაიწყო, ე. ი. დედაქალაქი ერთ დიდ ბაზრად გადაიქცა და ქუჩაში გამოიტანა ხალხმა გასაყიდად ყველაფერი. შოკურ თერაპიას ეძახდა ამას მთავრობა. მაგრამ თერაპიის რა მოგახსენოთ... შემდეგ დაიწყო ომი აფხაზეთში და ქალაქის ქუჩები აივსო მათხოვარი ქალებით, მაწანწალა ბავშვებით და ომში დასახიჩრებული მეომრებით. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მიტინგები და მთავრობის საწინააღმდეგო აქციები დაიწყეს. მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების ნაწილი ციხეებში გაამწესა, ნაწილი უცხოეთს მიაწყდა. ბიჭუნას მშობლები მიტინგების ორგანიზებაში დაადანაშაულეს და პოლიტიკური ემიგრანტები არიან.

დასაძინებლად დავწექი. ქარი კვლავ ბობოქრობდა და არ მაძინებდა. ჭალაში მზის ჩასვლამ და მთაზე შემორჩენილი ქუჯის ციხის ნანგრევებმა მოგონებებით დამაბრუნა ჩემი ცხოვრების ყველაზე მყარ რიტმში; გამახსენდა ბებიაჩემის ისლით დახურული ქოხი, ყვავილებით მოქარგული ზურმუხტისფერი მდელო, ზაფხულის თაკარა მზე და ლურჯი, ლურჯი ცა. მდინარის პირას ფართოდ გაშლილ საძოვარზე გამოსული საქონელი, ბანაობა, თევზაობა, ზაფხულის ხვატში ფეხშიშველა სიარული თბილ მიწაზე და კაკლის ხის ჩრდილქვეშ მდელოზე კოტრიალი, შუადღისას ჭრიჭინობელების "ორკესტრი". ღამით მოვარდნილი ნიაღვარი და მეორე დილით თაკარა მზეში ისლიდან ავარდნილი ბუღი – გეგონება ცეცხლი უკიდიაო - მზეზე რომ შრება წვიმის შემდეგ. გაზაფხულზე უნაზესი და ულამაზესი ყვავილებით გადაპენტილი ალუბლისა და ატმის ხეეები. მაისის თვეში აყვავებული ვარდის სურნელი და ღამით ცაზე ამტყდარი "ვარსკვლავთცვენა". სოფლის შეყრა "ჯარობაზე" და უტკბესი "თუთარჩელა" და "ვაი, შური საყვერალი". ალვის ხის კენწეროებზე მოყარყატე ყვავები და უსურვაზით დაბურული თუთის ხეებში მობინადრე ბეღურების ბარტყების ჟღურტული. ზაფხულის მიწურულს შებინდებისას ციცინათელების ციალი. ზღვიდან მონაბერი ნიავისაგან ტანაყრილი სიმინდის ყანების იდუმალი შრიალი. შემოდგომით ტყვიისფერი ღრუბლებით დამძიმებული ცა და წვრილი წვიმა. მოსავლის აღებამდე იისფერ "ჩე გოლაზე"* ნაადრევად ჩამოყრილი თოვლის სუსხი. ლუკა მეწისქვილის წუხილი, "ჩე გოლას" მთაზე გვირაბი, საიდანაც ქარი უბერავს, სტალინის მითითებით მეცნიერებმა უნდა ამოქოლონო: "დაღუპავს, ქიგალე, აქაურობას სინესტე აბა რა!" გაუგონარი სევდისაგან ჩემი უდროოდ დაბერებული ბებო... სიცოცხლის ბოლომდე მისი განწირული სულისკვეთება - ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილის მოლოდინში. ბებოს მუდამ საქმიანი ფუსფუსი; კერიაზე მოგიზგიზე ცეცხლი და ქოხის კარებიდან შემოჭრილი ქარისაგან ათრთოლებული ჭრაქის შუქი. ახლადადუღებული რძის სურნელი, შამფურზე შემწვარი წიწილა და ტაბაკაზე ჩამორიგებული ცხელი ღომი, ფაქიზად შეკმაზული ტყემლის საწებელა, კეცზე შემწვარი დაწინწკლული კალმახი... ბებოს ალერსიანი ხელები; კოკათი წყლის ტარება, გობზე ცომის ზელა, ძროხის წველა, ყველის "ამოყვანა". მისი ტკბილი ალერსი — ქიგალე ბები! ჩქიმი ჭიჭე ბაღანა!,** მეზობლის ეზოდან ჟუჟუნა ბიცოლას მაგიური ბუტბუტი:

ალამია, მალამია,
მელა — მაკუდელაია,
გვერს უღუს გედგუნა
გოლას ოხონუანა,

აი ოჭიში, ვაი ოჭიში, გვერს მეტახეს ოჭიში...*** ბუტბუტი მანმადე გრძელდება, სანამ ბალახზე მოსრიალე გველი თავს კუდის ბოლოსთან არ მიიტანს და ბადრი მთვარის ფორმაში არ გაილურსება... ამასობაში პორფილე ბაბუ დაკოჟრილი ხელებით ყალიონის გამართვას იწყებს: აბედის პატარა ნაჭერში კვესი ნაპერწკალს აჩენს და ყალიონიდან ღრუბლის პაწაწინა ნაფლეთი ამოდის დროგამოშვებით... ამ დროს ჩვენს ეზოში კრუხი თავგამოდებით ებრძვის ქორს. გამორბის ბებიაჩემი —— ჰაუ!!! ჰაუუუ!!!...

თითქოს ამ ქორივით გამომტაცა დრომ ყველაფერი და გააყოლა ქალაქისაკენ მიმავალ შარაგზას, თუ შარაგზამ ჩამოიტანა ქალაქი აქ თავისი ელექტროობითა და ტექნიკით...

გამთენიისას ჩამეძინა. როცა გამეღვიძა, მზე თავზე დამნათოდა. სიცხისა და ქარისაგან დაოსებულმა ფანჯარაში გავიხედე. ბიჭუნა ეზოში გოჭებს დასდევდა. ორი თეთრი იხვი გუბურაში ჭყუმპალაობდა.

შუადღისას უფრო ჩამოცხა და ქარიც გაძლიერდა.

გზის გასწვრივ ჩამწკრივებული დიდრონი ალვის ხეებიდან ერთი ქარმა გადატეხა. დაბინდებისას მომეჩვენა, რომ ხის უკან ვიღაც იდგა და მითვალთვალებდა. ჩემი შიში არ გამართლდა, მითხრეს კამეჩი იქნებოდაო.

დილით რომ გამეღვიძა, ჯერ ისევ ბნელოდა. სანთელი ავანთე და სასტუმრო ოთახში გავედი. ფეხებთან შავმა ტარაკანამ გამიარა, შემეშინდა. კედლის საათს დავხედე, ექვსის ათი წუთი იყო. ისევ საწოლში დავბრუნდი. ქარი არ მაძინებდა. ოდნავ ჩამთვლიმა თუ არა, უჩვეული ფუსფუსი შემომესმა. ფანჯარაში გავიხედე. ეზოში კამეჩი ახალდაბადებულ ბატს ****ლოკავდა, რომელიც გაფარჩხული ფეხებით იდგა და ისე კანკალებდა, გეგონებოდათ საცაა წაიქცევაო, მაგრამ უცებ კუნტრუში დაიწყო. შორიახლო ცუგა ჩაცუცქულიყო და ყურებაცქვეტილი ათვალიერებდა ოჯახის ახალ ბინადარს.

დღის განმავლობაში ამინდი შეიცვალა. ქარი ნელ-ნელა შესუსტდა და მზის ჩასვლასთან ერთად მიყუჩდა. ღამით არე-მარე გაირინდა, ჭრიჭინობელები ახმაურდნენ. სუროშემოვლებული წაბლის ფუღუროში ვასაკა აყიტყიტდა. აგვისტოს მიწურულისათვის უჩვეულოდ გაშიშვლებული ხეები მთვარის შუქზე საცოდავად გამოიყურებოდა.

გამთენიისას მამლები ყიოდა...

მშვიდი, წყნარი დილა გათენდა.

ეზოში გავედი. ბალახზე გამოსხმული ნამის მარგალიტები მზის სხივებზე ათასფრად ციმციმებდა.

საუზმის შემდეგ სოფლის გამგებელმა ჩემი ძმა ელექტრო ქსელის შესაკეთებლად წაიყვანა.

მე და ბიჭუნა ჰამაკში ვისხედით, როდესაც ცუგა ყეფა-ყეფით ჭიშკრისაკენ გაემართა. ბიჭუნამ თავის ბაბუს მოჰკრა თვალი, გაიქცა და მის ასატაცებლად დახრილ მოხუცს კისერზე შემოხვია ხელები. ბაბუმ უსახელო ქურთუკის შიდა ჯიბიდან ნაცრისფერი, ჭრელი კნუტი ამოიყვანა. აღტაცებულმა ბიჭუნამ კნუტი პაწია ხელებით სათუთად მიიხუტა მკერდზე.

ზენა ქარს კოლხეთში ჩვეულებრივ წვიმა მოსდევს ხოლმე, მაგრამ ცაზე ღრუბლის ერთი ქულაც კი არა ჩანს. უსაშველოდ ცხელა... გუბურაში წყალი დაშრა და იხვები მის ირგვლივ სხედან უმოქმედოდ, სამაგიეროდ ბახვას გაუჩნდა საქმე — კნუტი ჰყავს მოსავლელი.

ნაშუადღევს მდინარისაკენ გავეშურეთ. სიმინდის ყანის გასწვრივ ღობეს მივუყვებოდით. ბრჭყვიალა მზე ალერსით დაგვნათოდა და წყლიდან წამოსული ნიავი გველამუნებოდა სხეულზე. ჩემი ძმა წინ მიდიოდა, მხარზე გადაკიდებული ბადით და ცუგა გვერდზე მისდევდა აპრეხილი კუდით.

მდინარეს რომ მივუახლოვდით, დამფრთხალი ყანჩა აფრინდა, ცის სილურჯეში შესრიალდა, ჰაერში კამარა შემოჰკრა და მოპირდაპირე ნაპირისაკენ გაეშურა. მისი წყვილი შორს, მეორე ნაპირზე წყალში ცალ ფეხზე იდგა...

რიყეზე ჩავედით. მდინარე ნებიერად გატოტვილიყო ხეობაში. თავთხელ ადგილებში ხმაურით გადადიოდა ქვებზე, ღრმა ადგილებში კი, უხმაუროდ, მდორედ მიედინებოდა. მზის სხივები თვალისმომჭრელი სილამაზით ცელქობდა წყლის ზედაპირზე. სწორედ აქ ისროლა ბადე ჩემმა ძმამ და მერე მძიმედ დაუწყო ამოწევა... მალე ჩამავალი მზის სხივებზე ბალახებში აფართხალდა ბადიდან ამოყრილი თევზი...

მზე ჩადიოდა. შორს, წისქვილთან ცხენები ბალახობდნენ და მათი დაგრძელებული ჩრდილები გეომეტრიულ სხეულებს ხაზავდნენ მინდორზე.

ბანაობის შემდეგ საოცარი სიმშვიდე ვიგრძენით. ამასობაში მზე არაჩვეულებრივად გადიდდა ჰორიზონტზე, მეწამულად აკაშკაშდა და ქუჯის ციხეს შარავანდედი დაადგა. მალე ფართოდ გახელილი ცალი თვალით მიეფარა მთას.

სოფლისაკენ მიმავალმა ნახირმა ჩაიარა.

შინისაკენ გავემართეთ.

ჩვენი ძროხა უკვე ჭიშკართან გვიცდიდა და ღობის მეორე მხარეს ხბო ადგილს ვერ პოულობდა...

ბინდი ჩამოწვა და ლამფა ავანთეთ. სუფრა აივანზე გავშალეთ. შემწვარ თევზს შევექცეოდით ღომითა და ტყემლის საწებელათი, თან "იზაბელას" ვაყოლებდით...

ზღვაურმა დაუბერა და წვიმა დაიწყო.

ბებომ ბიჭუნა დასაძინებლად წაიყვანა და თავისი ჭრელი კნუტიც გაიყოლა. ღამით ფისოს ბიჭუნას საწოლთან მუყაოს ყუთში სძინავს.

დაწოლისას კოკისპირულად წვიმდა. სახურავზე წვიმის წვეთების მონოტონური ხმაური ოთახში მყუდროებას ღვრიდა. დაძაბულობა მომეხსნა და მალე ჩამეძინა, მაგრამ ღამე კოშმარულ სიზმრებში გავატარე.

მესიზმრა: ეზოში დამშრალი გუბურა უნდა ამომევსო. მდინარისაკენ წავედი... წყალი რომ მოვიტანე, გუბურა სავსე დამხვდა. ისევ ჭალაში დავბრუნდი. მდინარე ჰორიზონტზე რამდენიმე ლაპლაპა ზოლად გატოტვილიყო. ახლოს რომ მივედი, წყლის ნაცვლად ლიანდაგი შევნიშნე... ჩქარმა მატარებელმა ჩამოიქროლა და ბოლო ვაგონის ფანჯრიდან ჭრელმა კნუტმა ისკუპა...

მოღრუბლული დილა გათენდა. ეზოში გავედი. მოქუფრულ ცას თითქოს ჰაერი დაემძიმებინა. ჩემი ძმა ჭიშკართან იდგა და ცოლი წასვლას აჩქარებდა:

—ხომ ქარწყექ, ვარე მორცხა! მალას ქუმორთი! *****

ქმარი რომ გაისტუმრა, ბარი აიღო და ღობის ძირში ორმოს ამოთხრას შეუდგა. თან წუხდა – როგორ მოახერხა ამ პატარა კნუტმა ვედროზე ამძვრალიყოო და ქაღალდის ხელსახოცში შეხვეულ დამხრჩვალ კნუტს მიწა მიაყარა.

ბავშვმა რომ გაიღვიძა, ჩემი ძმა დაბრუნებული იყო. სანამ ბებო ჩაცმაში ეხმარებოდა, ყუთიდან პატარა, კუნაპეტივით შავი კნუტი გამოძვრა და რძით სავსე ფინჯანს დაეწაფა.

ბიჭუნამ ეს რომ დაინახა, განცვიფრებულმა ხმაამოუღებლად კნუტს დიდხანს უყურა და შემდეგ იკითხა: — ბაბუ, ბაბუუუ!!! ჩემს ფისოს რა დაემართა?

—არაფერი, ქიგალე! ალბათ წუხელის შავი ტარაკანები შეჭამა და გაშავდა. — მშვიდად მიუგო მოხუცმა.

* "ჩე გოლა" — "თეთრი მთა"

** ქიგალე, ჩქიმი ჭიჭე ბაღანა — შემოგევლე, ჩემო პატარა ბავშვო.

*** ალამია, მალამია,
მელა - მაკუდელაია
გვერს უღუს გედგუნა,
გოლას ოხონუანა,
აი ოჭიში, ვაი ოჭიში, გვერს მოტახეს ოჭიში...

ალამია, მალამია,
მელა – კუდაგრძელა,
გველს უღელში შეაბამენ,
მთას მოახვნევინებენ,
აი ზურგი, ვაი ზურგი, გველს მოტეხეს ზურგი...

**** ბატი — ზაქი

***** ხომ ქარწყექ ვარე მორცხა. მალას ქუმორთი — ხომ ხედავ საშველი აღარაა, მალე მოდი.

ბელა ალანია

ნუთუ

ზამთარს გაუგრძელდა ღამე,
ხეს შემოძარცვია ფრთები,
იქნებ, სულაც მოგიგონე,
იქნებ, სულაც მეჩვენები ?!
ტყეს გახუნებია ფერი,
თოვლი დაკვდომია ძახველს,
ქარი, მაწანწალა ქარი,
ფიქრებს მძივად შემომაბნევს...
ფესვებს შესცივნიათ ძლიერ,
ნისლში არეულა მთები,
ნუთუ, აღარ გიყვარვარო,
ნუთუ, ველარაფერს ხვდები ?!
ზამთრის მდუმარების ღამეს,
თოვლი დაკვდომია ძახველს,
გეტყვი, რომ ვიცოცხლებ შენთვის,
და რომ...
უშენოდ ვერ გავძლებ...

ჭიკჭიკა ჩიტი

მე მიხარია, რომ ჩიტები სახლობენ
სულში
და ატოკებენ არეული გონების სიმებს,
ფანჯრიდან ჭრაქი მოანათებს
დაორთქლილ მინებს,
ღამე გულდაგულ მიგვიკერებს
დაკარგულ ღილებს.
სულის ტრამალში არემარეს
ჟღურტულით იკლებს,
ვითარცა ცისკენ გაჭიმული ნათელი სიმი,
ტყის უდაბურთა ჭრაქადაა ქცეული ისიც
და ელოდება ღამის მეხრეს, რომ იშვას მითი,
გულის ფიცარზე ჩამომჯდარა ჭიკჭიკა ჩიტი.

დამეგბედები

ამიყოლიებს შენი უბის
სურნელი ისევ,
გავყვები ბილიკს
ლურჯი ფიქრით
ბევრჯერ გაკვალულს,
დამხვდება გზები
შერეული თოვლებს
და ნისლებს
დამიღამდება
უშენობით
ასე გათანგულს...
დამესიზმრება,
რომ ცისკარში
ვხვდებით ერთმანეთს,
სულის კუნძულზე ერთად
ვსახლობთ ფერად
რიფებთან,
გამეღვიძება
ფრთაფიქრებით შენამდე
მოსულს,
უშენოდ დილაც შენთან
ერთად გამითენდება.
დამღლის ლოდინი
უსასრულო, რა
მიხაროდეს,
აუხდენელი ოცნებები
დამდის ცრემლებად,
მერე რაა, რომ ზოგჯერ
არ ხარ ჩემს სიახლოვეს,
მე მაინც შენი სიყვარული
დამებედება...

უკვდავი მუზა

მინდა, რომ ვიყო მე შენთვის მუზა
და შთაგაგონო ფრთიანი ლექსი,
სადც მეტყოდი : ,,ვფიცავარ შენს თავს,
რომ დასაკარგად არ მემეტები''...
ძნელია, ისე იცხოვრო თითქოს,
მზის დიდი გული გიჭირავს ხელში,
სხივთა მთოველი გათენდეს დილა,
ენით უთქმელი აღმაფრენებით...
რთულია, იყო სულ დიდი ბავშვი,
სულში ახარო სიცოცხლის ნერგი,
გტკიოდეს ყველა გამხმარი ტოტი,
არ შემიჩნიო ნატკენი ნეკნი...
მინდა, რომ ვიყო უკვდავი მუზა,
ვის სიყვარულსაც დავიჩემებდი,
ვისაც ვეტყოდი : ,,ვფიცავარ შენს თავს,
რომ შენგან გაჩნდა, დღეს, ერთი ლექსი...

მიყვარხარ!

დიდი ხანია ვეძებ ერთ სიტყვას,
ამ სიტყვის მიღმა გმინავს სამყარო,
ძნელია ალბათ ამოსათქმელად,
რომ არასოდეს აღარ ინანო.
სად, სად ვიპოვო ის ერთი სიტყვა,
უთქმელობამაც რომ არ დამტანჯოს?!
გაგილამაზო სიცოცხლე ისე,
რომ დედამიწა შევაზანზაროთ...
მზის სხივებს შევწვდე ცის ბილიკებით,
და ჭიუხები შემოგატარო...
გულში დაფლული სიტყვა- მიყვარხარ!
უნდა გითხრა და აღარ დავმალო..

***

ზამთარს გაუგრძელდა ღამე,
ხეს შემოძარცვია ფრთები,
იქნებ, სულაც მოგიგონე,
იქნებ, სულაც მეჩვენები?!
ტყეს გახუნებია ფერი,
თოვლი დაკვდომია ძახველს,
ქარი, მაწანწალა ქარი,
ფიქრებს მძივად შემომაბნევს...
ფესვებს შესცივნიათ ძლიერ,
ნისლში არეულა მთები,
ნუთუ, აღარ გიყვარვარო,
ნუთუ, ველარაფერს ხვდები?!
ზამთრის მდუმარების ღამეს,
თოვლი დაკვდომია ძახველს...
გეტყვი, რომ ვიცოცხლებ შენთვის,
და რომ...
უშენოდ ვერ გავძლებ.

***

მინდა, რომ ვიყო მე შენთვის მუზა
და შთაგაგონო ფრთიანი ლექსი,
სადაც მეტყოდი: ,,ვფიცავარ შენს თავს,
რომ დასაკარგად არ მემეტები..."
ძნელია, ისე იცხოვრო თითქოს,
მზის დიდი გული გიჭირავს ხელში,
სხივთა მთოველი გათენდეს დილა,
ენით უთქმელი აღმაფრენებით...
რთულია, იყო სულ დიდი ბავშვი,
სულში ახარო სიცოცხლის ნერგი,
გტკიოდეს ყველა გამხმარი ტოტი,
არ შეიმჩნიო ნატკენი ,,ნეკნი"...
მინდა, რომ იყო უკვდავი მუზა,
ვის სიყვარულსაც დავიჩემებდი,
ვისაც ვეტყოდი: ,,ვფიცავარ შენს თავს,
რომ შენგან გაჩნდა, დღეს, ერთი ლექსი"

მაია ხოფერია

ბაფთები ბედის

მე ვაგროვებდი ნაწვიმარზე მზის სხივებს
კრძალვით,
მერე ღამეებს გადავყევი შენთან ნათენებს,
ვერ დავივიწყე ბედნიერი წუთი თუ წამი
და ლექსში ვწვავდი რითმას ასე ფიქრში
ნაფერებს...
ვიცი შენთან ვარ უხილავი ძაფით შეკრული,
სადღაც ზეცაში გაინასკვა ბაფთები ბედის,
ზოგჯერ თუ თავი მეცოდება ასე ბედკრული,
სიყვარულია თუ სასჯელი ნებაა ღმერთის...
მიფრინავს წლები, ორმოცდაათს
გადავცდით უკვე,
ქალობა, ვნება, შევსვი ბევრჯერ შენი
პეშვიდან,
დრო ულმობელი გვექაჩება, ცხოვრებას
უტევს
და არ მეგონა უშენობა ასე შემშლიდა...
მე ისევ ფიქრში ვერ გელევი, გეხვევი რკალად,
არც შენ ნებდები უჩემობას, თუმცა ხარ
მშვიდი.
მე თუ ვერ ვათბობ ცივ დეკემბერს, მაინც
ვარ მყარად,
შენ გენატრება, ის დრო როცა ფერებით
გშლიდი...

***

(ღამეა ცივი)

და იყო ღამე
მსუსხავი ფიქრით
და სახურავზე
ტიროდა წვიმა.
თენდება დილა,
საოცრად მკრთალი,
მე კი ვიხსენებ
წუხანდელ სიზმარს...
როგორ ვიარეთ
მუხლამდე თოვლში,
როგორ მათბობდა
შენი ხელები
და მაშინ გეტყვი,
რატომ ვერ გთმობდი,
თუ გაღვიძებულს
მომეფერები...

როგორც აპრილი

მე ახლა ვცეტობ, როგორც აპრილი,
ტანზე მაკვდება ატლასის კაბა,
რა მოხდა მერე, თუ ვარ დაღლილი
და მონატრება ტკივილად დამაქვს...
და თუ მერევა ნაბიჯი ხშირად,
თუ ვერ გიყვები გუშინდელ ამბავს,
მე მოგონებებს ვაბრუნებ გზიდან
და კვლავ ფიქრებში ოცნებად მყავხარ...
პ.ს. რადგან ვერ ვიხდი ატლასის კაბას
და სული რჩება შეშლილ ქარებთან,
შენ თუ სიყვარულს შორს ჩემგან კარგავ,
მე ლექსებს ვტოვებ სახლის კარებთან...

მე მოგიკვდები

იცი ? - გიკვდები, როგორც კვდება
თოვლში ბეღურა,
არ შემიძლია ავირბინო აღმართი შენი,
არც საბანი მაქვს და არც პლედი, რომ
მომეხურა,
მე ქარიშხალმა დამამსხვრია საფრენი
ფრთები...
იცი ?-გიკვდები, როგორც კვდება
თოვლში ჩიტები
და ოცნებები გაფანტული ცას ნისლად
შერჩა,
მე დაგიმალე ჩემს თვალებში ცელქი
ჭინკები,
ჩვენს დაობლებულ სიყვარულზე რამე
რომ ეთქვა...
გადაფრენისას ჩემი სული მოგყვება ცაში
სხეული ქუჩას მიუყვება ახლად ნათოვარს,
არ შემომხედო ფეხშიშველი თუ შეგხვდი
გზაში,
მოწყალე თვალებს ნუ გამატან, როგორც
მათხოვარს...
ნუ გამახსენებ ჩვენს შეხვედრებს ფიქრში
ჩამოშლილს,
კოცნა, ფერება გაგიჟებდა, თუმც ყრიდი
წყალში,
ვით ომში, ისე სიყვარულში ღონე
გამოცლილს,
შენ როგორც კაცთან, ჩემს ქალობას
გიტოვებ ვალში...

p.s. მე მოგიკვდები, როგორც კვდება
თოვლში ჩიტები,
რომ მერე, სადღაც სიყვარულზე წერონ
მითები...

სახალისო

ღრუბელ, ღრუბელ გა-რო-ნი-ნე,
გატარებდი ხელის გულზე,
ჩემი თავი გაპოვნინე,
დაგეწერე ბედად შუბლზე...
გახსოვს ? - ლექსებს გიკითხავდი,
როგორ ვწერდი ლამფის შუქზე,
ცისარტყელას კაბა მეცვა,
გიჟდებოდი შარი - შურზე...
მერე დაღმართს მოვყვებოდი,
მოფერებით გათანგული,
ღამე მისით თენდებოდა,
ფიქრში ფიქრით დაქანცული...
მე შენთვის ვწერ, ან რატომ ვწერ,
რა აზრი აქვს სიტყვას, რითმას,
თუ პასუხად სიჩუმე და
ან დუმილით ,,არა'' გითქვამს...
მომიტევოს ზამთრის დილამ,
ვხედავ ციდან ფიფქი მათოვს
და სიცივით შეშინებულს,
ისევ შენზე ფიქრი მათბობს...

მე ლექსებს არ ვწერ

მე ლექსებს არ ვწერ,
უსასრულოდ სტრიქონებს ვკარგავ,
ხან ავფრინდები, ხან ვეშვები,
ციდან უბრალოდ
და იქნებ ახლა, უშენობით
არც ვიყო კარგად,
ვარ ისე, როგორც ღამე ხშირად,
არის უმთვაროდ...
მე ლექსებს არ ვწერ,
სტრიქონს ვფანტავ წვიმაში, ქარში,
მე ლექსებს არ ვწერ,
რითმას ვეძებ სევდიან მგზავრში
და თუ ბნკარედებს ნაწვალევი
სიცოცხლეც მიაქვს,
გზაზე მიმავალს, ვიღაც მაინც
დამაწევს ტყვიას!

„სანამ ვისწავლი არსებობას ქვეყნად უშენოდ"

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი მძლავრი შენაკადია ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების შემოქმედება. ასე იყო ყოველთვის... არაერთი შედევრი იქმნებოდა საზღვარგარეთ. მათი ნაწარმოებების სიღრმისეული გაანალიზება, კიდევ უფრო მეტად გვაგრძნობინებს, რაოდენ დიდი მადლია საკუთარ ფესვებთან სიახლოვე და რა მტკივნეულია სამშობლოსგან შორს ყოფნა... თითქოს სხვანაირად უყვართ, სხვანაირად სწამთ, სხვანაირად აფასებენ საქართველოს - ჩვენზე უფრო მეტად...

„სადმე წამიყვანა ნეტავ,
სადმე საქართველოს მთებში,
ბილიკს ამადევნა კენტად,
წვიმის დამაწია თქეში..." -

არ მგონია ვინმეს პოეზია უყვარდეს და ეს ლექსი არ იცოდეს.

ავტორსაც კარგად იცნობს საქართველო...

მანანა ფრუიძე წლებია უკვე შორეული ამერიკიდან ეფერება მშობლიურ მიწას და საკუთარ თვისტომს.

სიყვარულით, სიყვარულით და მხოლოდ სიყვარულით გვათბობს დილით აგორებულ მზესავით. თვითონაც არაფერს ითხოვს ამ ღვთიური გრძნობის გარდა;

„იცით რა მინდა?
სიყვარული მინდა მაწვიმდეს,
მიმტროს ამინდმა,
გალუმპული სული აწივლდეს,
მან რაც წავიდა,
აღარაფრით ავნოს აწინდელს,
დადგეს წამი და ულამაზეს
წამად გაცივდეს, ჩემი მზერიდან
თქვენს მზერაში გადავნაწილდე..." -

არ მწყინდება ამ სტრიქონების კითხვა. ვუკითხავ სხვებსაც, ორჯერ, სამჯერ, დაუსრულებლად... არც სხვებს ბეზრდებათ. ეძებენ მერე პოეტს, ეძებენ სხვა ლექსებში, ეძებენ სამშობლოს იქითაც და საქართველოშიც - თავსხმა წვიმაში მუხის გვერდით ჩამომჯდარს, პეშვში წყალჩაგუბებულს და ბედნიერს...

„გადავიხვეწეთ უცხოეთში შენცა და მეცა" - წუხს საქართველოს ნაჯიჯგნ მიწას მონატრებული პოეტი და ფიქრით ისევ ჩვენთან ბრუნდება.. იცის, რომ მამული ხელისმოჩრდილვით ისევ გამოჰყურებს, იქ შორეულ მიწაზეც იცავს საქართველოდან ადევნებული უხილავი ანგელოზი. კეთილი დევივით წამოადგება თავს მამადავითზე გაწოლილი ნისლი და სიონში სანთლისმიერი სურნელებით გაბრუების სურვილი. არც იმის წარმოდგენაა ძნელი, როგორ იწერება ეს სტრიქონები, ხატის წინ დამხობილი და სამშობლოს საოცრებაზე მლოცველი პოეტის მიერ.

გაგჩენიათ სურვილი ხნულში ფეხშიშველი დარჩენის და იქვე აღსასრულის? გაგჩენიათ სურვილი მიწად ჩაჰყოლოდით სიმინდის მარცვალს? - როგორ უსამნოდ უნდა გიყვარდეს შენი მიწა, რომ ეს მოინატრო... ამაოა სხვაგან გათენება, შეთხზული ღიმილი, გათოშილი გრძნობა, სისხლის გაგიჟება, სადღაც გადანახული ლოცვები, თოვლზე გაყინული წიწვის მწვანე იმედები... შუბლზე დაწერილი ბედი და სიყვარულის მონატრებაც ამაოა ზოგჯერ... გადარჩენა მხოლოდ სამშობლოს ნახვაა, მობერებული დედის მოფრთხილებაა, ერთადერთი შვილის ჩახუტებაა, სხვეტიცხოველში სანთლების დანთებაა;

„შენი მონატრება ახლა აღარაფერს მომცემს
მაგრამ გადამარჩენს ნახვა საქართველოს მიწის."

სამშობლო ყველაფერზე მეტია, უფრო მეტი ვიდრე ზღვაა და მდინარე, ვიდრე სისხლთან შეზავებული ცრემლის წვეთი, ვიდრე ქვიშაზე მოხეტიალე ტალღა, აზალიების თვალების კვესა და ცა - ციცასავით მკლავზე წამოწოლილი... სამშობლო ნამოსახლარზე მოფრენილი ყორნის ხილვაზე მტკივნეულიცაა ამასთან ერთად...

„სამშობლო ბევრად უფრო მეტია,
ვიდრე სიცოცხლე კაცის სამყოფი,
ცად ავარდნილი ხსოვნის სვეტია,
სამურზაყანოს სულის გამყოფი..."

...პოეტის სიკვდილის წარმოდგენასაც კი რაღაც მისტიკაში გადავყავართ, შავ-თეთრი ფერებით გაფერადებულ სამყაროში:

„ისეთი სიკვდილით მოგიკვდები,
კლდენი ჩამორეცხონ ცრემლებმა,
შორიდან მოგიარონ მორიდებით,
სიტყვა ვერ შეგბედონ მდევრებმა."

...ჩამოშავებულა ხვამლი და მთაშავა, გოდებს მამული, სიკვდილს მოყურადე ძაღლივით დაჰყმუის ტკივილი ბებერი რიონის ნაპირებს... წევს „სივრცეებზე მოფიქრალი" პოეტი „ახლად გამოჩორკნილ სატივეზე," რათა თავისი წასვლით სამუდამოდ გაგიხელოს ღამის აჩრდილივით მოკედლებული სიმარტოვე:

„ისეთი სიკვდილით მოგიკვდები,
შენში უჩემობა გაგიჟდეს..."

კითხულობ ლექსებს და უყურებ პოეტის ორ ხატს:

ერთში სანთლით ხელში სამშობლოზე მლოცველი ქალია გამოსახული,

მეორეზე - თავდავიწყებული მიჯნური; ალერსისათვის გაჩენილი, ჩარჩოებში ვერჩატეული და ნაპირიდან ვნების ტალღებად გადმოსული:

„შიშველ თეძოებს მიკოცნიან მლაშე
ტალღები
და სველ ქვიშაზე ნაკვალევად რჩება
წარსული...
მე შენს ალერსში ძუკნასავით
გავითანგები,
დამავიწყდება, რომ თავადის ვიყავ
ასული...
და ცხელ ტუჩებზე დაგაკვდები ისე
ძალით,
აღგიგზნებ სხეულს გახელებულ
მდედრის კერტებით..."

აგანთებს ეს ინტიმი მამრს, აგამღვრევს და აგაზვავებს, როგორც მოულოდნელად მოვარდნილი წვიმის თქეში მთის მდინარეს, ქალის ევასეულ მაცდურ ბუნებასაც შეგახსენებს და შენს მისიასაც... ვეღარსად წახვალ, უნდა მიიღო გამოწვდილი ხელი, უნდა გათბე და გაათბო სიყვარული...

ერთი კოცნა, ერთი მოფერება, ერთი ალერსი - ასე იწყება სიცოცხლე და ასე გრძელდება; „ქალი რა არის, - აკოცებ და გონიდან წაშლი..."

რამდენ გოგოს გაახსენებს პირველ გრძნობას, პირველ არჩევანს, პირველ ტრფობას პოეტის სტრიქონები:

„მურისციხემდე მომყვა მდევარი,
სიპს ცხენისწყალი ტალღებს ახლიდა,
მე - თავნება და დაუდევარი,
ვიპარებოდი მამის სახლიდან."

მდინარის დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო - ნათქვამია... მეც სიღრმეში შესაღწევად აღმა მივყვები მანანა ფრუიძის პოეზიის მდინარებას. ისედაც ხომ შემხვედრი გზით გთხოვს სვლას მისი პოეზიის ქალური ხიბლი...

მიდიხარ შენს არსში თავდაჯერებული და გულზე ტალღასავით გეხეთქება სტრიქონები:

„მე მოვედი და მოვიტანე სურნელი ქალის,
ტრფობით და ვნებით ავსებული შლეგი სხეული,
მზედაკრულ მკერდზე აბურცული
საკოცნი ხალი
და ლტოლვა, ლტოლვა - მამრისაკენ
მდედრისეული..."

ბოლოს, თითქოს დასასრულისკენაც მიდის პოეტი, მდედრისეული ლტოლვაც უნდა დასრულდეს დარჩენილი დღეების გადასარჩენად -

„ოღონდ სულ ცოტა, სულ ცოტა ხანს
უნდა მაცადო,
სანამ ვისწავლი არსებობას ქვეყნად
უშენოდ"-ო...

დროს ითხოვს პოეტი.. ამის სწავლას კი დრო არ ეყოფა, არც ამქვეყნიური და არც იმქვეყნიური...

დაშორებაც შეუძლებელია, მოგონებების სკივრის დაცლაც...

ხვალ ისევ დაწერს,
და მეც, ხვალ ისევ მოგიყვებით მის პოეზიაზე...

დავით ახლოური

თამარ ტყაბლაძე

საოცარი გრძნობა, დაბადება

იდუმალი განცდა,
მოლოდინი დიდი,
საშინელი ტანჯვა
და თან შვება მშვიდი...

ეს ის განცდა არის,
რასაც ვერ ვგრძნობთ ბედად,
სიხარული ქალის,
რადგან ჰქვია დედა...

დედას...

ფანჯრის რაფასთან
რატომ დამჯდარხარ
ვგრძნობ, სევდას
მალავ ღამის ფიქრებით,
ნეტავ სადა ხარ ოცნებით ახლა
თუმცა მე ვიცი, ჩემთან იქნები...
რატომ ჩამქრალა შენი ღიმილი?
და დაუნამავს ცრემლებს თვალები?
იქნებ ფიქრებით წარსულს მისტირი?
და ამ დღევანდელ დღეს ემალები?..
გთხოვ, გაიღიმე, ჩემო დედიკო
და შეიმშრალე ცრემლი თვალიდან
მე შენ მიყვარხარ
და სიყვარულით
ჩვენ ამ ცხოვრებას
მაინც გავიტანთ...

არეულობა...

ეტიუდი

უცებ ვიგრძენი,
მიწიდან ცამდე
გაუდგამთ ფესვი
შეუცნობ დარდებს...
ჩასახლებულან ჩემში და ჩემთან
ცხოვრობენ თავის დარდებთან ერთად...
იდუმალი და თანაც ვნებიან
მოგონებებით არსად ქრებიან...
დღითა და ღამით არსად მიდიან,
გარეთ კი... ისევ მწუხრის ბინდია...

კადრი

ჩვენი ცხოვრება გადის კადრებად, —
იღებენ ხან კარგს,
ხანაც ცუდ კადრებს,
ხან ფიქსირდება განცდილი სევდა,
ხან სიხარული, რაც გვერგო ადრე...

და ეს კადრები რჩება წარსულში:
ზოგში ვიღიმით,
ზოგშიც — ვიცრემვლით, —
შემოვინახავთ
ყველა კადრს ჩვენთვის
მერე ვუყურებთ გაფაციცებით; —

ვხედავთ წარსულში
როდის რას ვგრძნობდით,
რაც დღესაც სევდით
მოგვიხმობს შორით
და რა იქნება ის ბოლო კადრი,
რომელიც რჩება ოთხ ფიცარს შორის?..

შემთხვევითი შეხვედრა

შემთხვევითი ნახვა, —
მოწონება შენი...
განშორება წამით, —
მეგობრობა ჩვენი...
კვლავ შეხვედრა ჩუმი,
გრძნობის მოსვლის ეშხი, —
მოიპარა ჩემთან
და დამკვიდრდა ჩემში...
დაიბუდა ჩემთან,
ვერ გავნდევნე ვერა,
უცებ გაქრი სადღაც,
თუმც მეწვევა, მჯერა...
მინდა ფრენა მასთან,
მოფერება უცებ
და ნათდება რაღაც,
გრძნობას გული უცემს...
დრო იქცევა ფერფლად,
უცებ ქარიც მოვა,
მიმოფანტავს ირგვლივ
ყვავილების თოვას...

ვახტანგ ჭანკოტაძე

საბედისწერო არჩევანი

გამრჯე ფუტკრებს უღრან ტყეში
დაუნიშნავს გამგებელი:
უწიგნური, მოთავისე,
ქვემძრომელი, როგორც გველი.
გამგებელმა სულ ოთხ ნლში
გადაჭამა ყველაფერი,
ნათესავებს დაურიგა
კერა, ფუძე, ტყე და სერი.
აზუზუნდნენ ფუტკრები და
მოითხოვეს არჩევნები.
„ჩვენი ის გამგებელი გვინდა,
ვისაც მოდგმა არჩევს ნებით".
გაუყალბეს არჩევნები,
ძალადობდა დათვიც, მგელიც
და მოაჯდა ფუტკრებს თავზე
ისევ ძველი გამგებელი.
გათავხედდა ძველი შეფი:
„ჩემს შეცვლელს ვერ იპოვითო,
ახლა ნახეთ, სულს ამოგხდით,
თუ ვერ შევძლებ, ვიყო „ხვითო".
ტყეც გაკაფა, საძოვრებიც,
პარპაშობდა ყეფა-ღრენით,
საწყალ ფუტკრებს ქანცი გაძვრათ
შორ მანძილზე ფრენა-ფრენით.
კიდევ ორ წელს იზუზუნეს,
მერე იწყეს ხოცვა-კლება,
ვინც გადარჩა, საგანგებო
მოიწვიეს უმალ კრება.
იმსჯელეს და ითათბირეს,
ერთობაზე დადეს ფიცი.
თქვეს: „გვაჯობეს, მოგვატყუეს,
ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით.
ამის შემდეგ ვიყოთ ერთად,
ხეს არ მისწვდეს ისევ მუმლი
და მომავალ არჩევნებში
ავირჩიოთ ღირსეული.
შეფს ამბავი მიუტანეს:
„გაფრთხილდიო, კრახი გელის",
მას კი დიდი იმედი აქვს
თოფიანი ხარბი მგელის.
ფუტკრებს ძალა აღარ ჰყოფნით
(დროს ვერ გრძნობენ განახლებულს).
ვერ ამჩნევენ პატიოსანს,
მშრომელს, კეთილს, განათლებულს.
ერთი წელიც გაატარეს
შიმშილსა და სიბნელეში,
დაძაბუნდნენ, დაუძლურდნენ,
ძლივს აგნებდნენ ყვავილს ტყეში.
არჩევნების წინა დღეს კი
გამარჯვებულ კაცის პოზით,
შეფმა ფუტკრის დოვლათიდან
თითოს მისცა თითო კოვზი.
გაყალბება ახლა უკვე
არ მოსვლია არვის თავში
და ფუტკრებმა საკუთარი
ხმა შეფს მისცეს ერთ კოვზ თაფლში.
კვლავ დამარცხდნენ ფუტკრები და
აღარ უჩანთ სხივი თვალში,
კი, თქვეს, ჩვენზე ახიაო,
რომ შვილები ჩაძვრნენ ვალში.
.....
.....
„რაც მოგივა, დავითაო,
ყველა შენი თავითაო".

საქართველოს მწერალთა კავშირში

გაუგონარი სისულელე

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს განცხადება

თბილისში არის ერთი უწყინარი სამედიცინო დაწესებულება, რომლის ზოლებიან პიჟამოებში გამოწყობილი პაციენტები გისოსებიანი ფანჯრების მიღმა სხედან და არაფერს აშავებენ. ოღონდ ეგ არის, ხანგამოშვებით თავს აცხადებენ ინდოეთის მაჰარაჯად, ინგლისის დედოფლად, ნაპოლეონად და დავით აღმაშენებლადაც კი.

გასული წლის 22 დეკემბერს ვინმე ციცინო ბოჭორიშვილს, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობასთან შეხების არავითარი წერტილი არ გააჩნია, შეუკრებია თავისი თანამეინახენი და საკუთარი (?!) ხელმოწერით ზოგისთვის ილია ჭავჭავაძის, ზოგისთვის ვაჟა ფშაველას, თავისთვის კიდევ შექსპირის პრემია მიუნიჭებია.

მწერლობას ყოველთვის ყავდა საეჭვოდ ამგზავრებული ჭკუამრუდენი და ჩვენ ამ ლიტერატურულ აფიორაზე არას ვიტყოდით, რომ არა ერთი გარემოება; თურმე ისინი, ვინც ციცინო ბოჭორიშვილმა „გააუკვდავა“, ყელმოღერებულნი იდგნენ და მადლობის გრძნობით (აქაოდა, როგორც იქნა, სამართალმა პური ჭამაო) იღებდნენ ციცინოს დარიგებულ ფარატინა ქაღალდებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს ისღა დარჩენია გაუქმებულად გამოაცხადოს ციცინო ბოჭორიშვილის და მისი მსგავსი ხლმსუბუქების მიერ გაცემული ყველა პრემია და წოდება, ხოლო თვით ქ-ნ ციცინოს ვურჩევთ, ყურადღების მისაქცევად სხვა საქმეს მოკიდოს ხელი.

აქვე გვინდა მკითხველებს შევახსენოთ სამდივნოს მიერ ორი წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამხარეო ორგანიზაციებს მწერალთათვის მისანიჭებლად დაუმტკიცდეს პრემიები:

მწერალთა კავშირის იმერეთის ორგანიზაციას: ლადო ასათიანის პრემია, დავით კლდიაშვილის პრემია, ზურაბ კუხიანიძის პრემია.

მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას: ტბელ აბუსერიძის პრემია, მემედ აბაშიძის პრემია, ზურაბ გორგილაძის პრემია, ფრიდონ ხალვაშის პრემია.

მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციას: გიორგი შერვაშიძის პრემია,

მწერალთა კავშირის კახეთის ორგანიზაციას: გიორგი ლეონიძის პრემია, ჟურნალ „ოლეს“ პრემია, გურამ რჩეულიშვილის პრემია.

მწერალთა კავშირის გორის ორგანიზაციას: გიორგი ერისთავის პრემია, გიორგი შატბერაშვილის პრემია.

მწერალთა კავშირის მცხეთა-მთიანეთის ორგანიზაციას: მირზა გელოვანის პრემია.

მწერალთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციას: ტერენტი გრანელის პრემია, რევაზ მარგიანის პრემია.

მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციას: ანთიმოზ ივერიელის პრემია, შოთა ლომსაძის პრემია.

სხვა დანარჩენ პრემიებს (გარდა რუსთაველის პრემიისა) გასცემს მხოლოდ საქართველოს მწერალთა კავშირი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის (ან თანათავმჯდომარის) და საპრემიო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო
25.01.2018.

ურთიერთ მიტევებისა და სიყვარულის საღამო!

23 იანვარს საქართველოს მწერალთა კავშირმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართა ნაირა მარშანიას ორი წიგნის „ადრე თუ გვიან“ და „რანა ილი პოზნა“ (თარგმნა მაია მახარაშვილმა) წარდგინება, რომელიც ქართულ-აფხაზურ ტრადიციებსა და ურთიერთთანადგომას ეძღვნება. „ურთიერთმიტევებისა და სიყვარულის საღამო“ გახსნა მაყვალა გონაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ რევაზ მიშველაძე, ვახტანგ ყოლბაია, რიმა ბერიძე, მაია მახარაშვილი, ნიკა წულუკიძე, ბადრი ქუთათელაძე, რეზო ადამია, ნაირა ბეპიერი, ირმა ოსია... ანსამბლ „ნართების“ მიერ ქართულ-აფხაზური ფოლკლორული სიმღერები შესრულდა. საღამო იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ დარბაზი გაერთიანებული იყო ერთიანი საქართველოს იმედით, ქართველ გამომსვლელებს ოსები და აფხაზები ენაცვლებოდნენ.

ღონისძიებაზე კომპოზიტორმა და შემსრულებელმა ნანა მესხმა აუდიტორიას შესთავაზა ნაირა მარშანიას ლექსზე შექმნილი სიმღერის პრემიერა.

დასასრულს ქალბატონმა ნაირა მარშანიამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

***

1 თებერვალს, თბილისის ლადო ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო ნიაზ ბოლქვაძის წიგნის „აზროვნების ეკოლოგია“ წარდგინება. შეხვედრა გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ ქალბატონმა ნაირა სონღულაშვილმა. მან მიულოცა ავტორს ახალი წიგნის გამოსვლა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წიგნი გლობალური მნიშვნელობისაა, რადგან ის ზოგადსაკაცობრიო პრობლემებიდან გამოსავალი გზის ძიებაა, რაც გამოიხატება რელიგიათა შორის დაპირისპირების პრევენციაში. სიტყვით



გამოვიდნენ: ერეკლე საღლიანი, ოთარ ურუშაძე, როლანდ სინატაშვილი, მანანა გორგიშვილი, ევგენი დანჩენკო...

დასასრულს ნიაზ ბოლქვაძემ ისაუბრა იმ რამდენიმე ათეული წლის შრომაზე, რაც წიგნის გამოცემას დასჭირდა და დამსწრე საზოგადოებას თანადგომისათვის მადლობა უთხრა.

დოდო (დარეჯან) ვადაჭკორია-ხიმშიაშვილი

ქართველი მწერლები, ფართო საალიტერატურო საზოგადოება ძალზე დაამწუხრა ცნობამ ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი ქალბატონის დოდო (დარეჯან) ალექსანდრეს ასული ვადაჭკორია-ხიმშიაშვილის გარდაცვალების შესახებ.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მუდამ ქართველი მოზარდების ზნეკეთილ, ზნემაღალ, ქედუხრელ, სამშობლოს ერთგულ პატრიოტებად ფორმირებას ემსახურებოდა.

დოდო ვადაჭკორია ერთი მშვენიერი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება სძლიო დროს, ჟამთა სვლას, არ შეეპუო უსამართლოდ და უღვთოდ თავსდამტყდარ უბედურებას და არ დააჭკნო ის მშვენიერი ყვავილი, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში საკუთარ სულში ზრდიდი. ქალბატონ დოდოს არასოდეს დაუმალავს თავისი ასაკი, რომელიც ვერაფერს აკლებდა, რადგანაც მისი ხორციელი სილამაზე სულიერში ტრანსფორმირდა და შიგნიდან გაანათა, შიგნიდან გაასხივოსნა და გაასპეტაკა ეს ტრაგიკული ბედის მქონე ქედუხრელი ქალბატონი, ალიკვალი მისი მშობელი ქვეყნისა...

დოდო ვადაჭკორია დაიბადა 1923 წლის 15 ივნისს. 1941 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს დაასრულა. მას შემდეგ სადაც არ უნდა ემუშავა დოდო ვადაჭკორიას, იგი ყველან საოცარი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, ყველგან სიკეთესა და სათნოებას ასხივებდა...

დოდო ვადაჭკორიას ლიტერატურული დებიუტი 1950 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი პირველი საბავშვო მოთხრობა „ჭრელი ხელთათმანი“. მას შემდეგ ლამის შვიდმა ათეულმა წელმა განვლო და ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ამ მშვენიერი ქალბატონის სახით ქართულ საბავშვო მწერლობას ერთ-ერთი გამორჩეული წინამძღოლი ჰყავდა, რომელიც მის თავგამოდებულ მკითხველებთან ერთად იმ ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც ერთმანეთს გამუდმებით ებრძვიან სიკეთე და ბოროტება და სადაც გამარჯვებული (იქ მაინც) მხოლოდ სიკეთეა, მხოლოდ სიქველე და სამშობლოსთვის თავდადება...

დოდო ვადაჭკორიას საბავშვო პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „უცნაური დედობილი“, „ვინ მივა პირველი საქართველოში“, „დედის ლოცვა“, „ჩემი სოფელი“, „ვარსკვლავები საჩუქრად“, „ბროლის ციგა“, „კენკრა ტკბილია“, „ერთი კალთა სიყვარული“ შეიყვარეს პატარებმა, შეიყვარეს დიდი ადამიანური სიმართლისთვის, სიადავისთვის, იმ იდეალების ერთგულებისათვის, რომლებსაც საქართველოს სიყვარული, ვაჟკაცობა, მოყვასის გატანა და სათნოება ჰქვია. არ შეიძლება სულით ხორცამდე არ შეძრას მკითხველი დოდო ვადაჭკორიას მოთხრობების პრობლემატიკამ, თუნდაც უცხოეთში ბედისწერისაგან გარიყული პატარა ქართველების სევდამ და კაეშანმა, რომლებსაც ძილშიაც კი საქართველო და მათი დიდებული წინაპრების სახელი აბოდებთ...

დოდო ვადაჭკორიას საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებული მთარგმნელი იყო და ქართულად აამეტყველა შვედური და უკრაინული ზღაპრები, აზერბაიჯანული მოთხრობები: ვალერი მედვედევის „ვოვა ვესნუშკინი“, „ბარანკინის 36 ფათერაკი“, „ბარანკინი — კოსმონავტი“, „ბარანკინის ფანტაზიები“, ხალიდა ხასილოვას „უჩინარი მხედარი“...

თბილისის თოჯინების თეატრში წარმატებით დაიდგა დოდო ვადაჭკორიას პიესა „ბროლის ციგა“. მან საინტერესო წერილები მიუძღვნა გიორგი შატბერაშვილის, რევაზ ჯაფარიძის, ქეთევან ჭილაშვილის, ქიშვარდ ისაკაძის შემოქმედებას.

დოდო ვადაჭკორიას საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მთლიანად მოზარდებთან იყო დაკავშირებული. იგი წლების განმავლობაში არჩეული იყო მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის ბიუროს წევრად, ჟურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო საბჭოს წევრად. იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საქართველოს ისტორიის წრის პედაგოგი და უშურველად იღვწოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისთვის.

ჩვენ, ამ მშვენიერი ქალბატონის კოლეგები, მოხიბლული ვიყავით მისი პიროვნული ღირსებებით — შინაგანი ხიბლით, სათნოებით, უბრალოებით, მოხიბლულნი ვიყავით იმითაც, თუ რა საოცარი ერთგულებით ეფერებოდა საბჭოთა იმპერიისაგან უღვთოდ განწირული ძმის — უნიჭიერესი მწერლის კოტე ხიმშიაშვილის ხსოვნას, რომელიც სამშობლო ქვეყნის თავისუფლების წმიდათაწმიდა იდეალებს შეეწირა.

დოდო ვადაჭკორიას ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ნებისმიერი საბავშვო მწერლისათვის სანუკვარი შიო მღვიმელის პრემია. დაჯილდოებული იყო ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი — ღირსების ორდენით, ღირსეულად ატარებდა „ქართული კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდებას.

წავიდა ჩვენგან მშვენიერი მწერალი და მოღვაწე, დიდ ქართველ ბანოვანთა შთამომავალი, რომლის ხსოვნაც დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და თაყვანისმცემლების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ყურადღება!

საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის ახალი რომანი „წამება“ უკვე ბესტსელერად იქცა.

როგორც შევიტყვეთ, იგი დღემდე შემორჩა მხოლოდ ერთადერთ წიგნის მაღაზიას.

წიგნის შეძენის მსურველთ გაცნობებთ მისამართს: თბილისი, ვაჟა ფშაველას პროსპექტი, I შესახვევი, III კორპუსი I სართული, მაღაზია „მაცნე +“.

ტელეფონი 032 2 30 66 05.

იროდი ასანაშვილი

ახდა ოცნება

გათენდა დილა უიმედოდ, რწმენით აღვივსე,
გარს შემომერტყა ანგელოზთა გუნდი მლოცველი,
ავხედე უფალს, ცა განათდა სხივთა მფრქვეველი,
ზარმა დარეკა წინმავალი დიდი ოცნების.

ჩამესმა ხმები: გზა ხსნილია მწვერვალისაკენ,
დაფლეთილ გულის აღსადგენად ღვთიურ უფლებით,
შემოაბიჯე, უფლისაგან ნებამოსილო,
დღეს შენ იხილავ უნეტარესს ლოცვა კურთხევით.

განათდა ზეცა შემობრძანდა უნეტარესი,
მუხლმოდრეკილმა მის წინაშე აღვაპყარ ხელი,
შემოანათა ერის მამამ წმიდანის მზერით
მან აღავლინა წმიდა ლოცვა ერის და ბერის.

თითქოს გრიგალი წამოვიდა, სამყარო აღსდგა,
ბნელეთში სხივი ამონათდა უსპეტაკესი,
დღეს მე ვიხილე ერის მამა, ლოცვა მადლს ჰფენდა,
ახდა ოცნება, ჩემს წინ იდგა უნეტარესი!

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობენ პოეტ ეკა ბაქრაძეს დედის

დალი ბაქრაძის

გარდაცვალების გამო

ერეკლის გზეთი

№1

ფასი 1 ლარი

15 თებერვალი-15 მარტი 2018

მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.: 293-55-75

გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; sososigua@yahoo.com

9 771987 698009